



საქართველოს
ანტიკვნიტობის
სამეცნიერო ბიბლიოთეკა

708 /
1993/2



ქვეყნის ბიბლიოთეკა 2
1993

საქართველოს ისტორიისა და კულტურის
ქობულთა დაცვის საზოგადოება

GEORGIAN SOCIETY FOR PROTECTION
OF HISTORICAL AND CULTURAL
MONUMENTS

ГРУЗИНСКОЕ ОБЩЕСТВО ОХРАНЫ
ПАМЯТНИКОВ ИСТОРИИ И КУЛЬТУРЫ

წიგნულ „ქობლის მემორიის“ წლებანდელი ნომრების გამოცემა დააშინანსა
„კავკასიის კონცერნმა“.

რედაქცია უღრმეს მადლობას უხდის კონცერნის ბენეკალურ დირექტორს ბ-ნ
აშირან ქადაგიშვილს მცენატობისათვის.

მთავარი რედაქტორი

შოკაძე
გოგოშიძე

სარედაქციო კოლეგია

ანდროძე

აფანიძე

ვახტანგ

გვირიძე

ი რ ა კ ლ ი

ბოლქვაძე — პასუხისმგებელი მდივანი

კაკაბაძე

ჭაბარაძე — ნომრის რედაქტორი

შარიაშვილი

ლორთქიფანიძე

მ თ ა რ

ლორთქიფანიძე

მ ე ვ ა ნ

მათარაძე

მ თ რ ი

მეჩხარიაშვილი

მ ქ ა

პრივალოვა

ჯ უ ლ ი ი შ ი ა

რუხაძე

ი რ ა კ ლ ი

ციციშვილი

ბ ი ა

ხანიშვილი

20374

ქველვის ქობინა

2 (90)
1993

სამეცნიერო-პოპულარული ჟურნალი

ჟურნალი დაარსდა 1964 წელს

სამეცნიერო-პოპულარული
ბიბლიოთეკა

შინაარსი

თინათინ ჩინუა – სეიდაბადი ძველი თბილისია	5
ირაკლი მოსულიშვილი – „ქვაშეთის“ წმ. გიორგის ტაძარი თბილისში	8
ალა პროზოროვა, მერაბ ბოჭორიძე – ფასადების რესტავრაციის პრობლემები არქიტექტურის ძეგლებზე (ქ. თბილისის № 3 ექსპერიმენტული სკოლა)	10
თამარ ნემსაძე – ხოსხიოს ეკლესია	12
ირინე მირიჯანაშვილი – ხეილის ეკლესია	19
მალაქია დვალე – ბარაკონის ღვთისმშობლის ტაძარი	23
პიროპი ჯავახიშვილი – სტელის ფრაგმენტი სოფელ ელი-ქილისიდან	28
დავით ლომიძეშვილი, ბესიკ ლორთქიფანიძე – ნოქალაქეში გამოკვლილი ე. წ. „წებულური“ ცულებისა და დოქების რაობისათვის	31
დავით მინდორაშვილი – მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა მდ. თერგის ხეობიდან	33
ბესარიონ ჯორბენაძე, კახი წერეთელი – სოფ. გუდრუხის ღვთისმშობლის ეკლესია	36
მარინე ნიკოლეიშვილი – იმერული ხის ჭიშკარი	41
ბადრი სულაძე – გუდა-სტვირის ტრადიცია რაჭაში	44
იზა პარსენიშვილი – ბუხრის ნიმუშები საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმიდან	49
კარლო ტაბატაძე – ამბავი საოცრებად მიჩნეული ბირთვისის ციხისა	53
ან ჯონსტონი – შთაბეჭდილებები საქართველოზე	58
პარმენ ზამარაია – გაძარცვეს ნოქალაქევის მუზეუმი	60
გახუნება	
რთარ სანაბლიძე	62
კვალი ნათელი – გიორგი ჩიგოგიძის ხსოვნას	64
ანოტაციები	65–70



საინფორმაციო კვლევის თემატიკა

ჩვენი წერილის ასეთი სათაური ვა-
მოწვეულია იმ დამოკიდებულებით, რო-
მელიც დღეს ჩამოყალიბდა თბილისის
ამ ძველი უბნის განაშენიანებისადმი.
ამიტომაც სტატია ნაწილობრივ პუ-
ბლიცისტურ-საგაზეთო ხასიათისაა და
მას წუხილის კილო ატყვია. იგი ორი
ნაწილისაგან შედგება: ერთი – ამ ძვე-
ლი უბნის ისტორიულ-საქალაქმშენე-
ბლო განვითარების თავისებურებების
მოკლე ანალიზია და მეორე – სეიდაბა-
დის დღევანდელ მდგომარეობასა და მის
მომავლის ბედს ეხება.

ვახუშტი ბატონიშვილის აღწერით
„ტფილისი არს სამი ქალაქი – ტფი-
ლისი, კალა და ისნი. ჰყოფს მტკვარი
კალას, ტფილისს და ისნს: კალას უდის
ჩრდილოთ-აღმოსავლით, ტფილისს –
ჩრდილოთ და ისნს – დასავლით და სა-
მხრით. ხოლო კალასა და ტფილისს
ჰყოფს სალაღაკის წყალი...“

ტფილისს დის ცხელი წყალი კლდი-
დამ. არს მით აბანონი ექუსნი და დიდ-
შენი... აქ, თაბორს, ყოფილა ციხე. არ-
მედ აწ შემუსკრილი არს. აქ დასხნა შა-
სეფიმ სეიდნი, მის გამო სპარსნი უწო-
დებენ სეიდაბადს.“¹

ნათლად ჩანს, რომ გვიანდუ-
ლი სახელი სეიდაბადით ცნობილი,
სწორედ ის ნაწილია ქალაქისა, რომე-
ლიც მანამდე ატარებდა მის საკუთარ
სახელს – „ტფილისს“. ასე რომ სეი-
დაბადი ქალაქის უძველესი ნაწილია,
საკუთრივ თბილისია. რაც შეეხება ამ
უბნის საზღვრებს, მის მთავარ ქუჩასა
და სხვა საქალაქმშენებლო თავისე-
ბურებებს, აქაც დიდ სამსახურს გვიწევს
ისევე ვახუშტი ბატონიშვილის ნაშრომი
– მის მიერ 1735 წელს შედგენილი თბი-
ლისის გეგმა. ამ გეგმის მიხედვით ხე-
იდაბადი, თუმცა, მეჩხერად განაშენი-
ანებული ნაწილია ქალაქისა, მაგრამ კა-

რგად ჩანს მისი საზღვრები და ჭიშკ-
რები, მთავარი მაგისტრალური ქუჩა
ე. წ. განჯის გზა და თაბორის მთის
წვერზე დანგრეული ციხის დარჩენილი
ნაწილები.

დღევანდელი თბილისის განაშენი-
ანებაში სეიდაბადი ანუ ტფილისი ტე-
რიტორიულად ასე წარმოგვიდგება:
მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე, თაბო-
რის მთის კალთაზე შეფენილი განაშე-
ნიანება, დაწყებული გოგირდის აბანო-
ებიდან (აქ დღეს სალაღაკის წყალი
მიწის ქვეშ, ბუტონის გვირაბში მიედ-
ინება) 300 არაკველის შემორიალამდე
(აქ დღეს სეიდაბადის გაღავნის ბურჯე-
ბია დარჩენილი).

ვახუშტი ბატონიშვილის გეგმის შე-
დარებამ სეიდაბადის დღევანდელ გან-
აშენიანებასთან დადასტურა, რომ ძვე-
ლი განჯის გზა, თავისი მოხაზულობი-
თა და მიმართულებით, ძირითადად, ემ-
თხვევა დღევანდელი გრიშაშვილის ქუ-
ჩას, ბოლო მცირე მონაკვეთში კი, მირ-
ზა შეფი ვაზაზის ქუჩას.

თბილისის იმდროინდელ ისტორიულ
გეოგრაფიულ სიტუაციას თუ წარმოვი-
დგენთ, უნდა ვიფიქროთ, რომ განჯის
გზა ახლო აღმოსავლეთის ქვეყნებიდან
თბილისის მომავალი მთავარი გზა იყო
და სეიდაბადის აღმოსავლეთ გალა-
ვანში მოწვობილ განჯის ჭიშკართან
მთავრდებოდა. აღსანიშნავია, რომ შემ-
დეგ იმ ჭიშკრიდან დაწყებული ქუჩა,
რომელიც სეიდაბადზე გადიოდა, ისიც
განჯის გზად არის მოხსენებული. ვა-
ხუშტის მიხედვით არსებობდა განჯის
მეორე კარიც. ერთი, როგორც ვთქვით,
ქუჩის დასაწყისში (300 არაკველის მე-
მორიალთან), მეორე – ბოლოში, სეი-
დაბადიდან კალაში გადასვლისას (დღე-
ვანდელი ბოტანიკური ბაღის შესასვლე-
ლთან).



სეიდაბადის აღმოსავლეთ გალავანთან დაწყებული ეს ქუჩა მიემართებოდა მტკვრის გასწვრივ, ზეით, თაბორის მთის კალთის შუაწილზე, და ამდენად ამ გზით მოსული ადამიანი თაბორის მთის წვერზე მოთავსებული ციხის სათვალთვალო არეალში იმყოფებოდა. შემდეგ ეს ქუჩა, ნარიყალასთან მიახლოებისას, ორად იყოფოდა. ერთი ქუჩა ეშვებოდა დაღმართზე და მთავრდებოდა ხალაღაკის ანუ წაკისის წყლის პირას კალას გალავანში მოწყობილ ე. წ. აბანოს კართან (დღევანდელი ვრიშაშვილის ქუჩის დასაწყისი). მეორე, მთავარი გზა კი, შემოუბრუნდა თაბორის მთას და მიემართებოდა წაკისის ანუ საღალაღაკის წყლის გასწვრივ და მთავრდებოდა ქალაქის მთავარი ციხის — ნარიყალას ძირში, მეორე განჯის კართან, სადაც ხორციელდებოდა საბოლოო კონტროლი. ამ განხილვით თვალსაჩინო ხდება კარგად გააზრებული თავდაცვის სისტემა ქალაქის ნაწილებისა ცალკე და ერთიანობაშიც. ასეთივე თავდაცვის სისტემა არსებობდა მტკვრის მარცხენა სანაპიროზე, ისან-მეტეხის უბანში.

ზემოაღწერილი განჯის გზა კარგად ჩანს 1800 წელს კაპიტან ჩუიკოს მიერ, ხელსაწყოების საშუალებით (და ამიტომაც, ვახუშტი ბატონიშვილის გვეგმასთან შედარებით უფრო ზუსტად) შედგენილ თბილისის გვეგმაზე. ამ გვეგმაზე გამოხატული განჯის გზა, თიქმის, მთლიანად ემთხვევა მის დღევანდელ მოხაზულობას. ამავე გვეგმაზე სეიდაბადის ტერიტორია მთლიანად ზეების აღმნიშვნელი ნიშნებითაა დაფარული და წარწერა აქვს — „სეიდაბადის ბაღები“. სახლები არა ჩანს. არცაა გასაკვირი, ეს გვეგმა ზომ ალა-მაჰმად-ხანის შემოსევიდან 5 წლის შემდეგაა შედგენილი და სპარსთა ლაშქრის მიერ ქალაქის ნგრევისა და განადგურების პირველ დარტყმებს სწორედ სეიდაბადი მიიღებდა.

რაც შეეხება ბაღებს, მათ ვახუშტი

ბატონიშვილის გვეგმის მიხედვითაც სეიდაბადში დიდი ადგილი უკავიათ მტკვრის შესაფერისი ვახუშტი ბატონიშვილის სიტყვები თბილისის აღწერიდან: — „გარემო ქალაქისა წალკოტნი და სავარდენი მრავალნი, ყოელის ხილითა და ყუაილითა საესე“. აქვე მინდა მოვახსენოთ, რომ ჩემი წინაპრები და მეც სეიდაბადელები ვართ და ბავშვობის წლებიდან მკაფიო მოგონებად დამრჩა ვეპერთელა ხართუთის ზეებით დაფარული ბაღები. ჩვენს ოჯახში დაცულ, XX საუკუნის დასაწყისის ერთ ფოტოზე ამ ბაღებში მოქეიფე ხალხის ჯგუფია აღბეჭდილი.

სეიდაბადის საცხოვრებელი განაშენიანების დახასიათებისათვის აუცილებელია ვავიხსენოთ XIII საუკუნის დასასრულის ირანელი ისტორიკოსის ჰამდალამ ყაზვინის მიერ თბილისის აღწერა: — თბილისს შუაში ჩამოუღდის მტკვარი. ერთ მხარეს, მტკვრის ნაპირას სახლები ისეა აშენებული, რომ ერთი რივის სახლების ბანები ზედა რივის სახლების ქუჩაა. დღევანდელი არქიტექტურული ტერმინი რომ ვიხმართო, ეს ტერმინული განაშენიანების ერთი სახეა, რომელიც როდეს რელიეფზე სახლების თავისებური განლაგებით იქმნება. სიტყვები: მტკვრის პირი და სახლების ზედა რივი (ე. ი. ქანობიანი რელიეფი) გვაფიქრებინებს, რომ XIII საუკუნის თბილისში, სწორედ გვიან სეიდაბადედ წოდებულ უბანში უნდა ყოფილიყო ის განაშენიანება, რომელსაც ყაზვინი აღწერს.

ასევე საინტერესოა XVIII ს. მოგზაურის აბატ დე ლა პორტის აღწერა: „ვიდრე ჩვენ ქალაქში მივიდოდით, გვიჩვენებს მეფის სახლი, რომელსაც ეწოდება „ხეფი-აბადი“, ის მდებარეობს მაღლა და ჩანს, რომ არა ნაკლებ სასიამოვნოა მისი გარემო, ვიდრე შიდა მორთულობა. ამას უნდა დაეუმატოთ ისიც, რომ მთელ ბორცვზე მოწყობილია ბაქ

ნები, რომელზეც მოსწიქევენ ჩანსქერები და არხები“⁴².

ძნელია გადააჭარბო ქება ჩვენი წინაპრებისა, რომლებიც ასე გონივრულად იყენებდნენ რთულ რელიეფზე ტერასულად განლაგებული სახლების ბრტყელ სახურავებს და ასევე არ შეაფასო მათი გემოვნება იმავე რთულ რელიეფზე ბალების მოწყობის შემთხვევაში. ძნელი წარმოსადგენი არაა, რომ რელიეფზე შეფენილი სახლები და ბალები, მაღლა აღმართული ციხეების კოშკები (ნარიყალა, თაბორი, მტეხი) მთლიანობაში ქალაქის შთაბეჭდავსა და განუმეორებლად თავისებურ სახეს ქმნიდნენ, რასაც ადასტურებს სხვადასხვა დროის არაერთი მოგზაურისა და ისტორიკოსის ჩანაწერები.

სეიდაბადის ზემოაღნიშნული დაბასიათება ნებას ვვაძლევს დავასკვნათ, რომ მისი დაცვა-რეგენერაცია დღევანდელი თბილისელების მოვალეობაა და გარკვეულ პრინციპებზე უნდა იყოს დაფუძნებული. შევეცდებით მოკლედ ჩამოვაყალიბოთ ისინი:

1. გრიშაშვილის ქუჩა — ძველი ვანჯის გზა დაცული უნდა იქნეს მთლიანად, რადგან ის ყველაზე ძველი ქუჩაა თბილისში და ჩვენამდე მოღწეულია თავისი ძველი მოხაზულობით, სიგანით, კიშკრების ადგილმდებარეობით. ის უნდა დაიცვათ ისე რომ, თაბორის მთასთან ურთიერთობაში ძველი თავდაცვითი სისტემის წარმოდგენის საშუალებას ინარჩუნებდეს;

2. დღევანდელ განაშენიანებაში შემორჩენილია სეიდაბადის ბალების პატარა ნაწილი. ის მოუვლელია, მაგრამ ძველი ბალების სიშალოა და უნდა აღდგეს კეთილმოწყობილ ბაღად და არა მარტო ის. ამ უბანში ძველი, ამორტიზებული სახლების დანგრევისას, მხოლოდ ახალი სახლებით შეცვლის მეთოდი არ უნდა იყოს ერთადერთი. შესაძლებლობის ფარგლებში უნდა გაშენდეს ბალები, ძველი ტრადიციების და

ცვითა და იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენში ნორმალური ცხოვრების წესის რეპროდუქციას აქ ტერასულ განაშენიანებასთან ერთად ტერასული წყალვარდნილებიც შეიქმნას;

3. სეიდაბადის მოძველებული განაშენიანება უნდა შეიცვალოს ერთიანი რეკონსტრუქციის პროექტის საფუძველზე, რაც არ ნიშნავს აუცილებელ სახელმწიფო ხარჯების გაღებას ახალ მშენებლობებზე თუ განაშენიანების რეგენერაციაზე. აქ უნდა არსებობდეს პროფესიონალების მიერ ჩამოყალიბებული პრინციპების საფუძველზე შექმნილი სახელმწიფო პროგრამა, რეგენერაციარეკონსტრუქციის პროექტი კი, უნდა შეიცავდეს დასაშვებ ფარგლებში ამორჩევისა და ვარიაციის საშუალებებს სხვადასხვა სუბიექტის მოთხოვნილების შესაბამისად. პროექტის შემსრულებელი სუბიექტები კი შეიძლება იყვნენ: ინდივიდუალური მშენებლები, ამხანაგობები ორგანიზაციები და სხვა. ამის გამოცდილება ბევრ ქვეყანაში არსებობს. ახალი არაფერი გვითქვამს, მაგრამ ამის ხაზგასმა ჩაეთვალით აუცილებლად, რადგან ამ ბოლო ხანებში განჩნდა აზრი, რომ ძველი უბნების რეკონსტრუქციის ერთიანი პროექტის არსებობა მაშინ იყო საჭირო, როდესაც მას სახელმწიფო ასრულებდა, ახლა კი ცალკეული პროექტებით შეიძლება ააშენო. ეს არა მარტო აზრია, არამედ სამწუხარო რეალობაა. ამ ბოლო პერიოდში ქალაქის მერიის მიერ ხდება სეიდაბადში ნაკვეთების გაცემა ინდივიდუალური ბინათმშენებლობისათვის, ყოველგვარი საქალაქო მშენებლო ნორმების გაუთვალისწინებლად. მაგალითად, რამდენიმე თვის წინ სეიდაბადის ბაღის ადგილას ოთხსართულიანი საცხოვრებელი სახლის აშენების ნება მიეცათ ინდივიდუალურ მშენებლებს, რომლებმაც მოჭრეს აკაციის ხეები. იქვე მახლობლად მიმდინარეობს იმ უბნისათვის შეუფერებელი მასშტაბის საცხოვრებელი სახლის მშე-

ნებლობა. იგრძნობა, რომ სეიდაბადში ახალი სახლების მშენებლობა მოდურ ფორმას იღებს. განსაკუთრებით შემაშფოთებელია ის, რომ განზრახულია ახალი სახლების აშენება ინდივიდუალური პროექტებით განჯის გზის ბოლოს, იქ სადაც თაბორის მთის კალთა პირდაპირ უყურებს ნარიყალას და მასთან ერთად ერთ სივრცულ კომპოზიციაში აღიქმება. საშიშროებაა, რომ გამოუსწორებელი შეცდომა იქნეს დაშვებული, რომელიც ძველად აღიარებულ ამ სივრცულ კომპოზიციას შეცვლის და და-

ამაზინჯებს. სასწრაფოდ უნდა შეიცვალოს დამოკიდებულება სეიდაბადის განაშენიანების მიმართ. თვითონ მუხრანის მოუცია ჩვენთვის ამ ადგილის ულამაზესი ხედები. ჩვენ ვალდებული ვართ ისე გამოვიყენოთ ეს თავისებური სილა-მაზე ისე მოვუაროთ თაბორის მთის კალთებზე გაშლილ ძველ „ტფილისს“ — სეიდაბადს, რომ მისი განახლების შემდეგ იგი დღევანდლამდე მოღწეულ ნარიყალა-მეტეხის შესანიშნავი სივრცული კომპოზიციის ორგანულ განვითარებად წარმოგვიდგეს.



ირაკლი მოსულნიშვილი

„ქვაშეთის“ ფ. ბიორპის ტაძარი თბილისში

დიდი ხნის წინათ, დღევანდელი „ქვაშეთის“ ტაძრის ადგილი და მისი მიმდებარე ტერიტორია დაფარული იყო ტყით. აქ მდგარა საკერძე VI საუკუნის ტეტრაკონქის ტიპის ეკლესია, რომელიც კაპიტალურად გადააკეთა 1742 წელს გივი ამილახვარმა. არქიტექტორ ლ. ბილფელმა მიიღო კონკრეტული დავალება ამილახვრების მთავარი სალოცავის, სამთავისის ტაძრის მცირე ასლის ასაგებად. იგი აშენდა 1910 წელს ძველის ადგილზე, ლ. ბილფელის გადარჩენილ ნახაზზე ტაძრის სამხრეთი ფასადი ზუსტად იგივეა, რაც ამჟამად არსებული ტაძარი. ამავე ნახაზზე დასავლეთის მხრიდან კარიბჭეა. ავტორს თავიდანვე კქონია გვერდში ტაძარზე კარიბჭის მიშენება. გარდა

ნახაზისა მოძიებულია დასავლეთის ფასადის ფოტოანაბეჭდი, სადაც ნათლად არის გამოკვეთილი კარიბჭის მისადგმელად დატოვებული მოუპირკეთებელი კედლის არეალი და დასავლეთის კარის დიობი მასში ჩასმული კარის ფრთა გახსნილ მდგომარეობაში.

აღნიშნულ ფოტოანაბეჭდთან დაკავშირებით მინდა მკითხველს გაეახსენოს: „ქვაშეთის“ ტაძრის დასავლეთით რუსთაველის გამზირზე, სამხატვრო გალერეის გაგრძელებაზე ჯორჯაძის ქუჩამდე იღვა ჰიგიენის ერთსართულიანი ნაგებობა. ხსენებულმა ნაგებობამ დრო მოჰკამა და დაანგრის. ქვაშეთის ტაძარი მთელი სიღიადით წამოიშრათა რუსთაველის გამზირზე. ეს უხერხულად მოხვდა თვალში სასახლის სარკმლებიდან მა-



შინდელ მთავრობასა და ტაძრის ხედის გასანეიტრალებლად, დასავლეთის მხრიდან ჯორჯიის ქუჩიდან ვალერეამდე მიჯრით ალვის და ნაძვის ხეები დარგეს.

მოგვიანებით ტაძრის დასავლეთის კედელზე კარიბჭისათვის დატოვებული არეალი ეკლარის ქვით მოაბარკეთეს.

აღმოჩენილი მასალებისა და საპატრიარქოს სურვილით 1988 წელს განხორციელდა დასავლეთ ფასადზე კარიბჭის მიმუშავებისა და ტაძრის ეზოს ფარგლებში არსებული ტერიტორიის კეთილმოწყობის საპროექტო სამუშაოები, რომელიც დაიწყო 1989 წ. მარტში. შემდგომში გაჩნდა ქეთევან წამებულის ქანდაკების დადგმის იდეა. ქანდაკების ავტორებმა მიაღწიეს იმას, რომ ტაძრის ინტერესებს დაქვემდებარებული კეთილმოწყობის პროექტი დაირღვა და ქანდაკების ინტერესებს დაექვემდებარა. ამას ხელი შეუწყო და მხარში ამოუდგა მაშინდელი ქალაქის მერიის ხელმძღვანელობა. ამჟამად, ჯერ-ჯერობით ქანდაკება არ დადგმულა, მაგრამ უკვე განხორციელებული „კეთილმოწყობა“ დარჩა ტაძართან და მომსახურებელ მეტ-ნაკლებ შეუსაბამოაში. ამის შესახებ ვაჟაკეთე რეაგირება, მაგრამ ვერაფერს გავხდით ძლიერთა ამა სოფლისათა წინაშე.

ძმათა შორის ატეხილმა ომმა დაცხრილა და დაანგრია რუსთაველის გამზირის ნაგებობები, დაიხრია „ქვაშვეთის“ წმინდა გიორგის ტაძარი და დაინგრა მის ეზოში არსებული ერთსართულიანი საცხოვრებელი სახლები.

ამ გარემოებასთან დაკავშირებით, როგორც ავტორს, დამევალა „ქვაშვეთის“ ტაძრის კურატორობა. გაწმინდეთ ტაძრის ტერიტორია ნანგრევებისაგან და დავამუშავეთ ეზოს კეთილმოწყობის პროექტი, რომელშიც გათვალისწინებული იყო მცირე ზომის სამრეკლო (3,0X3,0X7,5), საეკლესიო მსახურთა სამყოფი ერთსართულიანი ნაგებობა საერთო ფართობით 50 კვ. მ, ნაკურთხი წყა-

ლი-შადრევანი და ტაძრის დასავლეთი კარიბჭის წინ აღდგენა იმისა, რაც დაღუპული იქნა ქეთევან წამებულის დაკვების დადგმისას.

პროექტი განხილული იქნა ძველთა დაცვის სამეცნიერო-მეთოდ საბჭოზე და სათანადო შენიშვნების გათვალისწინებით რეკომენდაცია მიეცა შემდგომი დამუშავებისათვის. ამის შემდეგ კორექტირებული პროექტი წარუდგინეთ ქალაქის მთავარ არქიტექტორს. საბჭოზე განიხილეს და დაადგინეს, რომ გამოცხადდეს კონკურსი.

ამჟამად, მიმდინარეობს ტაძრის კეთილმოწყობის სამუშაოები ქეთევან წამებულის ქანდაკებასთან დაკავშირებით, რომლის საკვანძო გადაწყვეტები ტაძრისათვის და ფეხითმავალი ხალხისათვის ჩემის აზრით მოუხერხებელია.

თვით ტაძრის კედლებზე წამოიწვეს გაწმენდის და ნატყვიარების შევსების სამუშაოები. ჩემი პოზიცია იყო და არის, ნატყვიარი კედლები და საერთოდ კედლები ხელუხლებლად დარჩენილიყო, თუ დამუშავდებოდა კედლის ზედაპირი წარმოადგენილი მქონდა, რომ გაიწმინდებოდა ქიმიურად და ძველი დარჩებოდა თავის არსებულ ტონალობაში.

ამჟამად იგი იწმინდება ჯაგრისით და ზუმფართით. ქვა იდებს გაცრეცილ თეთრ ფერს, ზედაპირი ზდება გლუვი, იკარგება ქვის ფაქტურა, რელიეფი სიღრმე, ორნამენტირებული ნაწილების ჩაღრმავებები ვერ იწმინდება და ა.შ. მიმანინა და აუცილებელია მიმდინარე „გაწმენდის“ სამუშაოები დაუყოვნებლივ შეჩერდეს. საპროექტო ინსტიტუტის „საქრესტავრაციის“ ლაბორატორიამ ან ვინც ამ საქმეს აწარმოებს კედლის ზედაპირის დამუშავების მეთოდები წარადგინოს ძველთა დაცვის მთავარ სამმართველოს სამეცნიერო მეთოდ საბჭოზე განსახილველად. საბჭოს გადაწყვეტილება უნდა იყოს საფუძველი შემდგომი მოქმედებისა, რაც აუცილებლად უნდა დაინერგოს პრაქტიკაში.



უსადაგის რესტავრაციის პრობლემაში არქიტექტურის კაპლანაზა

საქართველოს ჟურნალისტთა ასოციაცია

(ქ. თბილისის № 3 ექსპერიმენტული სკოლა)

უკანასკნელ პერიოდში მომეტებულად შეინიშნება საჭიროება ქ. თბილისის ისტორიული ნაწილის შენობების რესტავრაცია-რეკონსტრუქციისა და კონსტრუქციული გაძლიერებისა. ამის მიზეზია გარკვეულწილად დასუსტებული გრუნტები ქალაქის ძველ რევიონებში, ნაწილობრივ მიწისძვრებში და რაც ყველაზე სამწუხაროა, ბარბაროსული ნგრევები, გამოწვეული 1991-1992 წწ. ზამთრის ცნობილი მოვლენებით.

რესპუბლიკაში დღეს შექმნილი რთული პოლიტიკურ-ეკონომიკური მდგომარეობა შეუძლებელს ხდის ყველა დაზიანებული და ავარიული შენობის დაფინანსებას; ამის გამო ბუნებრივია, აღსადგენი სამუშაოებისათვის უფრო ხშირად ირჩევა ობიექტები არა ისტორიულ-არქიტექტურული ფასეულობის ნიშნებით, არამედ გამომდინარე მოთხოვნილებით და შენობის ფართე „მხედველობითი არეალით“. სწორედ ამ მიზეზით „რესტავრაცია“ მიმდინარეობს შენობის ერთ ან ორ მთავარ ფასადაზე, ხოლო დანარჩენი ფასადაები და ინტერიერები, რომელთაც მრავალჯერადი გადაკეთების შედეგად ძირეულად აქვთ შეცვლილი თავდაპირველი სახე, ხელუხლებელი რჩება.

სამწუხაროდ, აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების დროს ქალაქის ძველ უბნებში, ხშირია უბეში დარღვევები და გადახვევები რესტავრაციის მეთოდური პრინციპებიდან, ეს კი იწვევს ნაგებობის თავდაპირველი სახის კიდევ უფრო დაკარგვას. ამის ძირითადი მიზეზია ის, რომ სამუშაოებს ასრულებენ არაპროფესიონალები რესტავრაციის დარგში, დაწვეული არქიტექტორებით და დამთავრებული მშენებლებით.

ამ საკითხთან დაკავშირებით, ასევე

აუცილებელია აღინიშნოს მაკონტროლებელი სახელმწიფო სტრუქტურების ზახიურობა.

ზემოაღნიშნულის ფონზე ინტერეს-მოკლებული არ იქნება, განვიხილოთ ერთერთი ობიექტი შესრულებული 1989 წელს. კერძოდ, საქმე ეხება № 3 ექსპერიმენტული სკოლის შენობის რესტავრაციას ქ. თბილისში, ქიქოძის ქ. № 4 (ყოფილი მახარაძის ქუჩა).

ეს მაგალითი ნიშანდობლივია რამოდენიმე მიზეზით.

გასამაგრებელი სამუშაოები ბოლო პერიოდში ჩატარდა ორჯერ, პირველად 1984 წელს, რომელსაც მოჰყვა მთავარი ფასადის დამახინჯება; მოიშალა ნაწილი ნაძერწი დეტალებისა, შეივსო და გადაკეთდა რამოდენიმე თავდაპირველი ღიობი.

აქვე უნდა აღინიშნოს, რომ შენობაზე ამ პერიოდში შესრულებული გეოლოგიური დასკვნის რეკომენდაციებით აუცილებელი იყო მთელი რიგი სეისმოდეგურის საინჟინერო-კონსტრუქციული ღონისძიებების ჩატარება, რაც არ იქნა გათვალისწინებული. აღბათ ესევ იყო ერთ ერთი მიზეზი 1987 წლის მიწისძვრის დროს შენობის ძლიერა დაზიანებისა. ამის შემდეგ დაიწყო მეორე ეტაპი გამაგრებითი სამუშაოებისა, რომლის დროსაც შენობის გამაგრებას შეუდგინ უბეში და ვიზუალური კონსტრუქციული ელემენტებით, ფასადებისა და ინტერიერების ძლიერი დამახინჯების ხარჯზე (სამუშაოებს ასრულებდა ქ. თბილისის საბინაო-კომუნალური მეურნეობა).

საბედნიეროდ ქალაქის არქიტექტურულ დაგეგმარებითი სამმართველოს წერილის საფუძველზე ეს სამუშაოები შეჩერებულ იქნა და ობიექტის სარეს-

ტერაციო-გამაგრებითი პროექტისა და ზედამხედველობის შესრულება დაევა-
ლა სარესტავრაციო ფირმა „ხერთვისს“. სააქტორო ჯგუფმა (არქიტექტორები —
მ. ბოჭორიძე, ა. პროზოროვა და ლ. ბო-
კუჩავა) ჩაატარა შენობის კვლევითი
სამუშაოები და დაამუშავა მისი აღდგე-
ნა-გამაგრების პროექტი. რომლის მი-
ხედვით ძირულად შეიცვალა მიდგომა
ინჟინრული გამაგრებისადმი და იგი მი-
ესადაგა თვით არქიტექტურას.

პირველ რიგში შენობა მთლიანად გა-
ნთავისუფლდა ახლად მოწვობილი ლი-
თონის მჭიმებისა და უხეში კონსტრუქ-
ციებისაგან; შემდეგ, დაწყებული პირ-
ველი სართულიდან სხვენის გადახურ-
ვამდე, ახლიდან მოეწყო ვიზუალურად
ფარული ინჟინრულ-კონსტრუქციული
ლონისძიებების მთელი სისტემა; ფარუ-
ლობის მისაღწევად ფასადებზე გაიჭრა
არხები, გამოყენებულ იქნა სართულ-
შუა გადახურვის ღონეები და კარ-ფან-
ჯრების ორმაგი ჩარჩოების შუა ნაწი-
ლები;

გადაიწყო შენობის დაზიანებული კუ-

თხე, კონსტრუქციული ღონისძიებების
გათვალისწინებით აღსდგა კონსტრუქცი-
ონული ფრაგმენტები; შემოწმდა სართულშუა
გადახურვების ხის კოჭების ვარჯისა-
ნობა და ნაწილობრივ შეიცვალა ახ-
ლით;

საინჟინრო-კონსტრუქციული ღონის-
ძიებების სრულად ჩატარების შემდეგ
დაიწყო შენობის ფასადებზე და ინტე-
რიერში არქიტექტურული დეტალების
საგულდაგულოდ აღდგენა-გამაგრება.
კოსმეტიკურმა სამუშაოებმა სრულად
დამალა კონსტრუქციული ელემენტები
და შენობას დაუბრუნდა თავდაპირველი
იერი. ძველი ნიშნების საფუძველზე
აღსდგა და მოეწყო საღურგლო და ჭე-
ღური ნაკეთობანი ფასადებზე და შიდა
ეზოში.

ვფიქრობთ, სარესტავრაციო სამუშაო-
ების ამ მცირე მაგალითიდანაც ჩანს, რომ
შესაძლებელია შესრულდეს ავარიულ შე-
ნობაზე რთული საინჟინრო-კონსტრუქ-
ციული ღონისძიებები, ისე, რომ მაქსი-
მალურად იქნას შენარჩუნებული მისი
მხატვრულ-არქიტექტურული იერსახე.



ჯავახეთის ზეგანზე, ახალქალაქიდან 4 კმ-ის მანძილზე, სოფ. ხოსპიოში შემონახულია სუფთად თლილი ქვით ნაგები ორი დარბაზული ეკლესია. ამათგან ერთი, X ს-ის ეკლესია, მდ. თაუფარაენის (ჯავახეთის მტკვრის) მარცხენა ნაპირზეა სამანქანო გზის მახლობლად. ხოლო მეორე XIV საუკუნისა. იგი მდინარის მარჯვენა ნაპირზე სოფლის განაპირას ფერდობში შეჭრილ მცირე ბაქანზე დგას. ეკლესიაზე ლიტერატურაში ცნობები არ მოგვეპოვება. ხოსპიოს X ს-ის ეკლესიის შესახებ პირველ ცნობას გვაწვდის ი. პ. როსტომაშვილი.¹

აქ, ეკლესიის ტუნწ მონაცემებთან ერთად ხაზგამდგარია ძველის გადაკეთების მომენტი. ადგილობრივი ბუკის, ფალავანდიშვილის მიერ მიწოდებული ცნობის თანახმად, თურქი მოხელის ბრძანებით ეკლესია კომკად გადაუკეთებიათ და კომში თვით მოხელე დაბინავებულა. ე. ი. თურქების ბატონობის დროს, XVIII საუკუნეში. 1933 წელს, ჯავახეთის ექსპედიციის დროს ეკლესია მოინახულა ნ. ბერძენიშვილმა. მას საანგარიშო მოხსენებებში მოჰყავს როსტომაშვილის წიგნში მოცემული ინფორმაცია და თავადაც აღნიშნავს, რომ გადაკეთება მართლაც თურქი მოხელის მიერ უნდა მომხდარიყო, ადგილობრივი მკვიდრი ამას ვერ გაბედავდაო.²

ჩვენ, არქიტექტორ-რესტავრატორებმა ხოსპიოს X ს-ის ეკლესია, პირველად ვინახულეთ 1971 წლის ზაფხულში, ჯავახეთში მოწყობილი ექსპედიციის დროს. ძველი სოფლის შუა, მოსწორებულ ადგილას დგას. რელიეფი ოდნავ დაფარდებულია დასავლეთიდან აღმოსავლეთისაკენ. ეკლესიას სამხრეთიდან სოფლის ყორე ქვით შემოზღუდული ძველი ხასაფლაო ემიჯნება. ტერიტორიაზე, დასავლეთის ფასადის წინ შემონახულია სვეტის ბაზა, რომლის აქ არსებობა, ეკლესიასთან მიმართებაში, გაურკვეველია.

ძველის დათვალიერებისას, სიკვდილსა ცხადი ხდება, რომ იგი პროფესიონალის აგებულება: ფასადების საპირე წყობა ამოყვანილია საგანგებოდ სუფთად თლილი, ერთმანეთთან კარგად მორგებული მოვარდისფრო ნაცრისფერი აბულის კარიერის ქვით. მართალია, წყობაში ნახტომებაც გვხვდება, მაგრამ რიგების თარაზულობა მკაცრად არის დაცული.


ეკლესიის აღმოსავლეთი ფასადი სამსაფეხუროვან ცოკოლზე დგას. პირველი ორი საფეხური მასიური, უხეშად დამუშავებული შავი ფიროვანი ბაზალტის ქვისაა. იგი კედელს ბოლომდე არ მიჰყვება, თანდათანობით ერწყმის რელიეფს სამხრეთის მიმართულებით. ზედა მესამე საფეხური, ეკლესიის ქვაა, ვარდისფერი სუფთად თლილი სწორი კუთხით. იგი წყდება ჩრდილო კუთხის ქვასთან.

ძველზე შერჩენილია კალიან ტუნწი, მაგრამ თავისი დროისათვის დამახასიათებელი დეკორი: აღმოსავლეთის სარკმლის ზედანის მაღალ სწორკუთხა ქვაზე მოცემულია ბრტყელი, გრაფიკული კვეთით შესრულებული ბიბლიური კომპოზიცია „ღანიელი ლომებთან ხაროში“ კულმოკეცილი ზაღებიანი ლომების ფიგურები დიაგონალურადაა განლაგებული ქვის კუთხეების მიმართ. ლომებს შორის ხელეგბამილი ადამიანის პატარა ფიგურაა მოთავსებული. სარკმლის ნახევარწრიულ თაღს კი უშუალოდ შემოყვება (ინტერვალის ვარეშე) ბრტყელი, განიერი წარბი მოკლე გადანაკეცებით. ამ ქვის ქვედა რიგში, სიმეტრიულად, სარკმლის ორივე მხარეს ჩასმულია გეომეტრიული ორნამენტით დაფარული მცირე ზომის კვადრატული ქვები. დასავლეთისა და სამხრეთის სარკმელთა შემკულობა, აღმოსავლეთისაგან განსხვავებით, კედლის სიბრტყიდან ამოზიდული, სადა არსებობა, მოკლე პორიზონტალური გადანაკეცებით, პროფილის ვარეშე. ამათგან სამხრეთისა ნახევარწრიული მოხაზულობისა და სარკმლის





ზოხი, ხედი სამსრუ-ღახუჯიდან ჩხტუჩიძის და ჩხტუჩიძის შეშუბ-

გ ა ბ გ



ქანა ხედი სამსრუდან





თალიდან 3-4 სმ-ითაა დაშორებული. დასაველეთისას წაგრძელებული ოვალური მოხაზულობა აქვს და სარკმლიდან მნიშვნელოვნად მაღლაა აწეული. სამხრეთის ფასადზე სარკმლის აღმოსავლეთით, თითქმის კარნიზის ძირში მოთავსებულია პატარა ქვა, რომელზეც გრებილ ჩარჩოში ჩასმული სამი ადამიანის რელიეფური ფიგურაა ამოკვეთილი. დასაველეთის შესახველის არქიტრაზე ბრტყელი კვეთით შესრულებული მედალიონში ჩასმული ტოლმკლავა ჯვარი ყოფილა, დაზიანების გამო ამჟამად თითქმის აღარ იკითხება.

ეკლესიის გეგმის მოხაზულობა წაგრძელებული სწორკუთხედაა, შიგ ჩაწერილი ღრმა, ნახევარწრიული მოხაზულობის აფსიდით. აფსიდი დარბაზული მოცულობიდან 20 სმ-ის სივანის მხრებითა და ტრიუმფალური თალითაა გამოყოფილი. დარბაზიც სამადაა დანაწევრებული 2 წყვილი ერთსაფეხურიანი პილასტრითა და აწეული ცენტრიდან მოხაზული საბჯენი თალებით. საბჯენი თალების იმპოსტები სადაა და მარტივი. შედეგა თაროსა და ოდნავ ჩაკვეთილი სიბრტყისაგან. შესახველი ორია. ერთი დასაველეთის კედლის ღერძზეა გაჭრილი, მეორე დარბაზის ცენტრში, პილასტრებს შორის. ორივე შესახველი შიგნიდან თაღოვანია, ვარედან სწორკუთხა, დიდი ზომის არქიტრავის ქვით გადახურულნი. ინტერიერი საკმაოდ კარგად ნათდება სამი სარკმლით. საკურთხევლის სარკმლის გარდა თითო სარკმელია შესახველელების თავზე. სარკმლები შიგნიდან საკმაოდ განიერი და მაღალია, სუფთადაა მოხაზული ნახევარწრიული თალებით. ინტერიერში კედლის წყობა არაერთგვაროვანია. განსხვავებული, უხეში წყობა მიგვანიშნებს იმაზე, რომ კედლების შეღუსვა თავიდანვე უნდა ყოფილიყო გათვალისწინებული. მართლაც, წყობის უსწორმასწორობა ბათქაშითაა შესწორებული და კედლებზე აქა-იქ ძალიან თხელი შეღუსილობის ფრაგმენტებიც არის შერჩენილი. ძირითადი

კონსტრუქციული ელემენტები: პილასტრები, საბჯენი თალები, კამაროვანი კარ-სარკმელთა საპირეები, მაღალი ოსტატობით შესრულებული სუფთად თლილი, ერთმანეთთან კარგად მორგებული ქვითაა ნაწარმოები, გაშიშვლებული კედლების ფონზე მკვეთრად იკითხება და წმინდა გრაფიკულობის ასოციაციას იწვევს.

მიუხედავად იმისა, რომ გვიანდელი დანამატების ქვეშ ძველი თითქმის სრული სახით შემონახა, მდგრადობის თვალსაზრისით, 1971 წელს უკვე მეტად ავარიული და საზიფათო მდგომარეობა იყო. განსაკუთრებით კი ჩრდილო-დასავლეთ კუთხეზე. ვაიხსნა კედელი ჩრდილო კუთხესთან; ნაპარლის სივანემ ზედა ნაწილში 20-25 სმ-ს მიადწია; სათანადოდ გარეთ იყო გადაქანებული ჩრდ. კედელიც, რომლის აღმოსავლეთ ნახევარში წარმოქმნილი დიაგონალური ბზარი კედელს მთელ სიმაღლეზე გახდევდა; ამავე კედელზე გამოპერილიყო ზედა რიგების წყობის დიდი ნაწილი. აღმოსავლეთ კედელზე გამჭოლი ვერტიკალური ბზარი სარკმიდან დაწყებული ფასადის მთელ სიმაღლეს მოიცავდა. წერილი ვერტიკალური ბზარი აღინიშნებოდა სამხრეთი ფასადის ცენტრშიც. ბზარების შედეგად ძველი ოთხად იყო გახლეჩილი.

კამარა სრულად შერჩენილიყო მხოლოდ აფსიდისა და აღმოსავლეთ საბჯენ თალებს შორის, დანარჩენ ორ სექციაში მისი მხოლოდ საწყისი ქვებილა იყო ადგილზე, დასავლეთ საბჯენი თალიდან კი პირველი, ქუსლის ქვები. მდგომარეობას კიდევ უფრო ამძიმებდა გადაკეთების დროინდელი წყობა, რომელიც ჯერ კიდევ საკმაო რაოდენობით იყო შერჩენილი ჩრდილოეთის, სამხრეთის და აღმოსავლეთის კედლებზე. აღსანიშნავია, რომ სამხრეთ ფასადზე დამატებული წყობის ქვეშ მთლიანად ადგილზე იყო ეკლესიის თანადროული თარო კარნიზი. გადაკეთებისას ეკლესიის კედლები აუმაღლებიათ, დაუშენებიათ



საბრძოლო ხართული თავისი სალოდეებით. სალოდეთა ნაშთები შემორჩენილიყო აღმოსავლეთ, დასავლეთ და ჩრდილოეთ ფასადებზე. დასავლეთის ფასადზე გვიანი წყობა უკვე აღარ არსებობდა, გარდა კეზთან დარჩენილი სალოდეს ნაშთისა. აქ ზედა ნაწილში, ძირითადად ჩრდ. მხარეს, დარჩენილი იყო ფრონტონის თავდაპირველი საპირე ქვების ნაწილი, ქანობის განმსაზღვრელი ირიბად წაკვეთილი ქვით. საოცრად ამაღლებული და დამახინჯებული აღმოსავლეთის ფასადი კოშკად აღიქმებოდა, გრძივ ფასადებთან ერთად მთლიანობაში კი ძველი ციხე კოშკის შთაბეჭდილებას სტოვებდა. აღსანიშნავია, რომ დაშენებული კედლების საპირე წყობის ნაწილი ისეთივე ქვით იყო ნაგები, რაც ეკლესიისა, ოღონდ უფრო მცირე ზომის კვადრებით, ნაწილი კი უბრალო, ფორიანი, შავი ფერის ბაზალტის ქვით. გათლილი ქვის წყობაში შიგადაშვებ ეკლესიის კარნიზის ქვებიც იყო ჩატანებული, როგორც ჩანს, იმ პერიოდისათვის, როდესაც ეკლესიაზე დაშენება მიმდინარეობდა, კედლები უკვე დაზიანებული იყო და პარალელურად ისინიც შეაკეთეს; შეკეთებულს გავს წყობა დასავლეთის ფასადზე. შესასვლელის გასწვრივ. ჩრდილოეთის ფასადზე კი, დასავლეთ ნახევარში, გვიანი, დამატებული წყობა კარნიზქვეშა რიგიდან იწყებოდა. ამ ფასადზე აღარ არსებობდა კარნიზიც. როგორც არქივში დაცული დოკუმენტაციით ირკვევა, ძველის აუაროული მდგომარეობა უფურაღლებოდ არ დარჩენია ძველების შესკვრით. 1951 წელს ადგილობრივი ზღისსუფლების ინიციატივით, ლითონის მჭიმებით უცდათ კედლების შეკავება, მაგრამ საქმე ბოლომდე ვერ მიუყვანიათ. ოთხი მჭიმიდან სამი მოშუებული იყო და თავის დანიშნულებას ვერ ასრულებდა.

1953 წელს, სამეცნიერო სარესტავრაციო საწარმოო სახელოსნომ ჩაატარა ფოტოფიქსაცია და ძველის გამაგრებით სამუშაოებზე აქტი და მოსაზრებები შე-

ადგინა, მაგრამ არც ის განხორციელებულა. არქივში დაცულია შემდგომი 1955-57 წწ. გადაღებული ფოტოებიც. 1971 წელს კი, ჩვენს მიერ წინასწარ სამუშაოებთან ერთად ჩატარდა ძველის დოკუმენტური ფოტოფიქსაციაც. არსებული მდგომარეობის არქივში დაცულ მასალასთან შედარებამ ცხადყო, რომ ბოლო 18 წლის განმავლობაში ძველზე მდგომარეობა შესამჩნევად გაუარესდა. აღარ იყო ადგილზე 1951-57 წწ. დაფიქსირებული ფრონტონის ქანობის განმსაზღვრელი, ირიბად წაკვეთილი ქვა აღმოსავლეთ ფასადის სამხრეთ ნაწილში. ჩამოიშალა სამხრეთის დასავლეთი კუთხის 5 რიგი მიმდებარე წყობის ქვებით. მდგომარეობა კიდევ უფრო დაამძიმა 1976 წლის მიწისძვრამ.*

ამ დროს ჩამოცვივდა საპირე ქვები დასავლეთის ფასადის ზედა რიგებიდან; სამხრეთის ფასადზე ჩამოიშალა სარკმელი და მიმდებარე საპირე ქვები კარნიზითა და მის თავზე გვიან დამატებული კედლით. გატყდა წარბით შემკული სარკმლის სათაურის ქვა. ჩაიქცა და დაიმტვრა დიდი ნაწილი კამარის შერჩენილი ქვებისა. შექმნილი ვითარების გამო დღის წესრიგში დადგა ძველზე აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოების ჩატარების აუცილებლობა. ანაზომის საფუძველზე 1977 წელს დამუშავდა აღდგენის პროექტი პრინციპულად გადასაწყვეტი იყო გვიანი, დამატებული კედლების მოხსნა-არ მოხსნის საკითხი. მართალია X საუკუნის ეკლესიის ციხე-კოშკად გადაკეთება ერთგვარად ისტორიულ მოვლენებთან იყო დაკავშირებული და შესაძლებელია გამართლებულიც ვოფილიყო მისი ამ სახითვე დაკონსერვება, მაგრამ ეს ხერხი, ნაგებობის გადარჩენის თვალსაზრისით, სასურველ შედეგს არ მოგვცემდა. ვერ გავასწორებდით გადაქანე-

* მაღლობით მიწა აღენიშნო, რომ 1967 წელს მიწისძვრის დროს ჩამოშლილი სამხრეთის ფასადის ფრაგმენტის, ვ. ცინცაძის მიერ გადაღებული ფოტოები მომაწოდა რ. მეფისაშვილმა.



ბულ ჩრდ. კედელს, ვერ შეეკრავდით კედლებს, ვერ გადაუხურავდით ძველს. ამიტომ, ძველთა დაცვის მთავარ სამმართველოს სამეცნიერო მეთოდურ საბჭომ მართებულად სცნო გვიანი კედლების მოხსნა და დადასტურა ძველის თავდაპირველი სახით აღდგენის მეთოდის სისწორე. როგორც აღწერილან, ასევე ფოტოებსა და ნახაზებიდან ჩანს, რომ ის ელემენტები, რომლებიც სრული აღდგენისათვის საყრდენი მომენტებია, თითქმის ყველა ადგილზე იყო დადასტურებული და ეჭვს არ იწვევდა.

ძველზე აღდგენითი სამუშაოების ჩატარებისა და სწორი რესტავრაციის თვალსაზრისით, პრობლემატური იყო ფრონტონის ხაზის ზუსტი განსაზღვრა. საინჟინრო თვალსაზრისით კი — გადახრილი ჩრდილოეთის კედლის გასწორება.

გამოხაზულ ანაზომებზე მუშაობისას აღმოჩნდა, რომ ჩრდ. კედლის ორივე კუთხეზე გვიანი წყობის ქვეშ ადგილზე იყო კარნიზქვეშა კუთხის ქვები. სამხრეთის ფასადზე კი კარნიზი ადგილზე იყო დადასტურებული განივი ფასადების ზედა რიგებში შერჩენილ ირიბად წაკვეთილ ქვებზე გატარებული ხაზებით შექმნილ ფრონტონის მოხაზულობაში ზუსტად მოთავსდა კამარა, რამაც დადასტურა ქანობის დახრის სისწორე. იგივე დახრა 42° მოგვცა — 1957 წლის ფოტოზე აღბეჭდილმა ქვამაც. ამრიგად, 1972 წლის არქიტექტ. არქეოლოგიური ანაზომისა და არქივში დაცული ფოტომასალის გამოყენებითა და შეჯერებით შესაძლებელი გახდა დასაბუთებულად დაგვემუშაუებინა ძველის თავდაპირველი სახით აღდგენის პროექტი. პარალელურად შესრულდა ჩრდ. კედლის მოჭიმვისა და ნაგებობის გამაგრების საინჟინრო-კონსტრუქციული ნახაზებიც.

ძველზე საწარმოო აღდგენითი სამუშაოები დაიწყო 1978 წელს, დაიგმა ხარაოები და პირველ რიგში მოიხსნა დამატებული გვიანი წყობა. აღდგენითი სამუშაოები ვაართულა იმან, რომ ანა-

ზომსა და ფოტოებზე დაფუძნებული წყობის ნაწილი, მიწისძვრის შედეგად ული ნგრევის შედეგად აღარ იყო ადგილზე. საჭირო გახდა წყობის აღდგენა. ნახაზებისა და ფოტოების მიხედვით ახალ ხსნარზე გადაიწყო მორყეული და ხსნარგამოქარული ქვები. აღდგა სამხრეთ-დასავლეთი კუთხე. ამის შემდეგ მოჭიმვით გასწორდა ჩრდილო კედელი და მოეწყო რკინა-ბეტონის სარტყელი ნატარდა პზარების ინექტირება. ინტერიერში აღდგა საბჯენი თაღები და კამარა. ადგილზე დავაზუსტეთ ფრონტონის ქანობები, რომლებიც ზუსტად დაემთხვა საპროექტო ნიშნულებს 42°-იანი დახრის კუთხით. სამხრეთ ფასადზე შერჩენილი კარნიზის მიხედვით გაითალა და მოეწყო თარო კარნიზი. ძველი დაიხურა ლორფინის სახურავით. სამწუხაროდ, საშუალება აღარ გვქონდა ფრონტონებზე საპირე წყობის აღდგენისას ზელოსნებისათვის უშუალოდ გავვეწვია ზელმძღვანელობა. თითქოს არც იყო ამის აუცილებლობა, რადგან ძირითადი საკვანძო და საპასუხისმგებლო მომენტები უკვე გადაწყვეტილი და შესრულებულიც იყო, ხოლო ძველზე მუშაობდნენ მაღალი კვალიფიკაციის მქონე ქვისმთლელი და გამოცდილი სამუშაოთა მწარმოებელი, რომელთაც არაერთ ძველზე შესრულებათ სამუშაოები საკმაოდ მაღალ დონეზე. აქ, კი ალბათ ყურადღების მოღუნებისა თუ სამუშაოების გაიოლების მიზნით, მოხაზული ფრონტონის ფარგლებში საპირე წყობა აწარმოეს თვითნებურად, პროექტში მოცემული წყობის ნახატის უგულვებელყოფით, რაც დაუშვებელია, მიუხედავად იმისა, რომ საგანგებო შემოწმების გარეშე ეს შეცდომა ძნელად შეიმჩნევა.

ინტერიერის გაწმენდის შემდეგ გამოვლინდა იატაკის ნაშთები. იატაკი მოგებული იყო სუფთად თლილი მუქი ფერის ქვის კვადრებით. სამწუხაროდ ქვები ისე იყო დაღეწილი წერილ-წერილ ნატეხებად, რომ მათი შენარჩუნება ვერ მოხერხდა. იატაკი მოეწყო დახერხილი




ბაზალტის ფილებით. აღდგენითი სამუშაოები დამთავრდა 1980 წელს.

დღეს, ძველზე ნატარებელი სამუშაოების ახალიზაცია და ანკარიშის დროს, უნდა აღინიშნოს ის მომენტები, რომლებიც უშუალოდ ძველის აღდგენასთვის თითქოს არაარსებითი იყო და ამიტომ, პროექტირებისა თუ აღდგენითი სამუშაოების წარმოებისას ყურადღების მიღმა დავერჩა. აღწერილას აღინიშნა, რომ ძველის ჩრდილო კედლის ქვედა ნაწილი (სიმაღლით 3-4 მ), ორივე მხრიდან განსხვავებული, უხეშად შესწორებული შავი ფერის ფოროვანი, მცირე ზომის ბაზალტის ქვებითაა ამოყვანილი. იგი გამოყარდნილია ძველის საერთო ხასიათიდან და თავიდანვე იქცევა ყურადღებას. პირველი შთაბეჭდილებით, თითქოს აქ მინაშენი უნდა ყოფილიყო, რომელიც დაფარავდა ამ განსხვავებას, მაგრამ კედელს არავითარი კვალი არ ეტყობოდა. კარების, ან მისი კვალის უქონლობაც გამოირიცხავდა აქ მინაშენის არსებობას.

აღსანიშნავია ისიც, რომ ამ ფასადის თლილი ქვით ნაგები ზედა ნაწილიც განსხვავდება ეკლესიის დანარჩენი კედლების წყობისაგან. თუ სამ ფასადზე ბაპირე წყობის რიგები ძირითადად კუთხის ქვების სიმაღლისაა, ჩრდ. ფასადზე კუთხის ქვები წყობის ორ რიგს მოიცავს. ქვები კვადრატით მიახლოებულ ფორმისაა, შედარებით უდებარად და მუშავებული, მომრგვალებული, რუხეებით, მამინ, როცა სხვა ფასადებზე ქვები მკაცრად დაკუთხულია და ერთმანეთთან მჭიდროდაა მორგებული. შემდგომ მთელი ჩვენი ძალისხმევა გადატანილი იყო ხაპსუხისმგებლო საკვანძო საკითხების გადაწყვეტასა და შესრულებაზე. და რადგან ჩრდ. კედლის ამ ნაწილს საერთოდ არ ვეხებოდით, შემოადინიშნულ ვითარებაზე ყურადღება აღარ ვაკვირებდით. კუთხის გრძელ ქვებს შორის უბრალო ქვის წყობით შევსებული უბნები ჩრდ. კედლის კუთხეებზე აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადების მხრიდან, გვიანდელ შეკეთებად მივიჩნიეთ. აზომ-

ვების დროს, დასავლეთის ფასადზე „გვიანი შეკეთება“ უკვე ძალზე მორყეული და დაზიანებული იყო, ხარვესტარაციო სამუშაოების დროს კი ამ ქვების ნაწილი აღარ დავკვავა ადგილზე. ამიტომ, დასავლეთის ფასადზე, შეორე და მეოთხე რიგში, ეს უბნები უბრალო წყობის ნაცვლად თლილი ქვებით აღვაღვანეთ. აღდგენის შემდეგ სწორედ ამ ქვებმა მიიქცია ჩემი ყურადღება, რადგან სწორედ ეს ქვები არ ჩაჯდა წყობის საერთო ხასიათში. მიუხედავად იმისა, რომ ჩრდ. კედლის განსხვავებული წყობა სულ მარჯვნივ და ვფიქრობდი კიდევ, რომ იგი სხვა ეკლესიისა უნდა ყოფილიყო, ეს აზრი მკაფიოდ არ ჩამოძვალაბებია. ახლა კი ამ ქვებმა თითქოს ძალით დამანახა, რომ ჩრდილო კედელი აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე შემომკლავებული კუთხის ქვებით, (აღმოსავლეთ ფასადზე კუთხის 7, დასავლეთისაზე – 6 რიგი), სხვა, უფრო ადრეული (VIII-IX სს.) ეკლესიისა იყო, ამ პერიოდში დამკვიდრებული დამახასიათებელი კედლის წყობით, როდესაც კუთხეები, შესასვლელები და სხვა... ამოკვავდათ სუფთად თლილი ქვით, კედლის რიგით წყობაში კი ხმარობდნენ მცირე ზომის უხეშად პირმესწორებულ ფორივან შავ ბაზალტს, მომრგვალებული კუთხეებით. ამ წყობის დამახასიათებელია, ისიც, რომ სუფთად თლილი კუთხის ქვების კედლისკენ მიმართული ბოლოები არ არის დაკუთხული, შენარჩუნებულია ბუნებრივი, უსწორმასწორო ფორმა და ორგანულად ერწყმის უბრალო ქვის რიგით წყობას. (ხელიშია, აღანბა, დუმეილა, შალოშეთი, გუნდუ და სხვ.). სწორედ ამიტომ, ხუროთმოძღვრმა აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადების ჩრდ. კუთხეებზე არ შეცვალა არასწორი მოხაზულობის გრძელ ქვებს შორის მოქცეული უბრალო წყობა თლილი ქვებით, დატოვა იგი ხელუხლებლად და მიაღვა თავისი, სუფთად თლილი ქვის კედელი ახალი ცოკლით აღმოსავლეთ ფასადზე. ამიტომაც, რომ ამ ფასადზე

2034





ცოკოლის თლილი ქვის საფეხური წყდება ჩრდ. კუთხის ქვასთან, კუთხიდან 90 სმ-ზე.

ამრიგად, ხოსპიოს X ს-ის დაბრახულ ეკლესიაში ჩართულია ადრეული ეკლესიის ელემენტები: ადრეული ეკლესიისა აღმოსავლეთ ფასადის შავი, ფოროვანი, უხეშად დამუშავებული ქვის ცოკოლის ორი რიგი, რომელიც ჩრდილოეთითაც ვრცელდება, და მასზე დაფუძნებული ჩრდ. კედლის ქვედა ნახევარი თავისი შემოკლავებული კუთხეებით. წყობის ანალიზის შედეგად აღმოჩნდა, რომ შესასქლელებიც ძველი ქვებითაა აწყობილი: ამაზე მიგვანიშნებს ის, რომ ორივე შესასქლელის ქვები შიგნიდან არასწორი მოზახულობისაა, რაც ფასადებზეც ვლინდება. მათგან განსხვავებით გვიანი, X ს-ის სარკმლების წყობა ისეთივე დაკუთხული და სუფთად თლილი ქვისაა, როგორც ფასადებისა. მას შემდეგ, რაც გამოიკვეთა არსებული ეკლესიის გაბარიტებში ჩართული ძველი ეკლესიის ფრაგმენტების არსებობა, შეიძლება ახსნა მოექმენოს დასავლეთ ფასადის წინ შემონახულ, ადგილდაკარგულ სვეტის ბაზასაც. არ არის გამორიცხული ადრეულ ეკლესიას თაღებით გახსნილი სამხრეთის მინაშენი ჰქონოდა.

ძველის ორფენოვნობის გარკვევის შემდეგ განსაკუთრებული სიძნადით წარმოჩინდა ძველის II პერიოდის მშენებლის პიროვნება. მისი პროფესიონალიზმი და საქმისადმი დამოკიდებულება. მან ბრწყინვალედ გადაწყვიტა დასახული ამოცანა: მორგებოდა და გამოეყენებინა უკვე არსებული ძველი ეკლესიის ფრაგმენტები, რაც ერთგვარად ზღუდავდა კიდევ მას. განსაზღვრული იყო ეკლესიის გეგმის გაბარიტები, ხოლო ჩრდ. კედელზე არსებული პილასტრებით — ინტერიერის დანაწევრების რიტმი. პროპორციები და ფასადების მკაცრი, ლაკონური და დაბეჭდილი იერსახე კი უდაოდ მისი დამსახურებაა. მის ოსტატობასა და გემოვნებაზე მეტყველებს აგრეთვე ჩრდ. ფასადის გადაწყვეტაც. კედლის ახალი, ზედა ნაწილი ნაგებია წიბოებშერბილებული მცირე ზომის კვადრე-

ბით არა იმიტომ, რომ ეს ფასადი მთლიანად რეზარისხოვანია და შედარებით უფრო რად ნაგები, (რაც პირველი შთაბეჭდილებით იქმნება), არამედ იმიტომ, რომ მან გაითვალისწინა უკვე არსებული კედლის წყობის მასშტაბი, ფაქტურა და ახალი კედელი შესაბამისი მასშტაბითა და ქვევით ამოიყვანა.

ძველზე აღდგენითი სამუშაოები დამთავრდა 1980 წელს. მიუხედავად პროექტირებისა და მშენებლობის დაშვებული ხარვეზებისა, შეიძლება ითქვას, რომ ძველზე, როგორც საინჟინრო-გამაგრებითი, ისე აღდგენითი სამუშაოები საკმაოდ მაღალ დონეზე და ხარისხიანად ჩატარდა. განადგურებას გადაურჩა და რევიონს შეემატა კიდევ ერთი, თავისი ეპოქის ნიშნების მატარებელი, საიმედოდ დაცული ძველი.

არ შეიძლება მადლიერებით არ აღინიშნოს ის კოლექტივი, რომელთა მონაწილეობითა და ძალისხმევით შესრულდა ძველის აღდგენა-გამაგრებითი სამუშაოები. ჩატარებული სამუშაოები მიმდინარეობდა დამსახურებული არქიტექტორ-რესტავრატორის რუსუდან გვერდწითელის კონსულტაციებით;

კონსტრუქციული-გამაგრებითი სამუშაოები დაპროექტდა დამსახურებული ინჟინერ-კონსტრუქტორების მიხეილ ცენტერამისა და დიმიტრი დათუნაშვილის მიერ და განხორციელდა მათთავე ზედამხედველობით;

საწარმოო აღდგენით სამუშაოებს ხელმძღვანელობდა გამოცდილი სამუშაოთა მწარმოებელი შოთა ომიადე, ხოლო უშუალო შემსრულებლები იყვნენ ათისთავი გიორგი ქუქიაშვილი და ოსტატი — ქვისმთელი კირილე კურდოვი თავისი ბრიგადით.

1 Н. П. Ростомов, «Ахалкалакский уезд в археологическом отношении» 1898 г., стр. 119.

2 ნ. ბერძენიშვილი, საქართველოს ისტორიის საკითხები, წიგნი I, ისტ. ვეოგრაფია, საქ. აკადემიის გამომცემლობა, თბ. 1969, გვ. 57.

3. ანგარიში ძველზე ჩატარებულ საინჟინრო-გამაგრებით სამუშაოებზე გამოქვეყნებულია, იხ. „ძველი ზეგობარი“ № 58, 1981 წ. გვ. 27.

ფეოდალური საქართველოს ისტორიაში VIII-IX საუკუნეები გარდამავალი ეტაპია. ამ ხანის საქართველოში წამყვანი და განვითარებადი ფეოდალური ურთიერთობა, მაგრამ ამავე დროს, არსებობენ წინაურ წყობილების ძლიერი გადმონაშთები, რომელთა გარდაქმნის პროცესი მთელი ადრეფეოდალური ხანის მანძილზე მიმდინარეობს.

თავისთავად ისტორიაში VIII საუკუნით მთავრდება ერთი დიდი ეტაპი, ადრეფეოდალური ხანისა და დგება მეორე ეტაპი, როდესაც სრულდება უკვე ეკონომიური და სოციალური სტრუქტურის საბოლოო მოწყობა ფეოდალურ ურთიერთობათა საფუძველზე.

VIII საუკუნის მიწურულსა და IX საუკუნის დამდეგს, საქართველოს სხვადასხვა დაწინაურებულ რაიონებში წარმოიქმნენ მსხვილი სამეფო-სამთავროები: ტაო-კლარჯეთის, კახეთის, ქერეთისა და აფხაზეთის. ამ პოლიტიკური ორგანიზაციების წარმოქმნას თან სდევდა ახალი საქალაქო ცენტრების აღმოცენება, რადგან თვით ეს სამეფო-სამთავროები წარმოიქმნენ საქართველოს ეკონომიკურად დაწინაურებულ რაიონებში. ქალაქების წარმოშობა და აღორძინება, სხვა ფაქტორებთან ერთად, განაპირობა, ერთი მხრივ, სოფლის მეურნეობის შემდგომმა დაწინაურებამ და მეორე მხრივ სოფლის მეურნეობიდან ზელოსნობის გამოყოფის პროცესის გაღრმავებამ ადრეფეოდალური ხანის მეორე პერიოდში.

ამ ეპოქის წერილობით ძეგლებში არაერთი ცნობა მოიპოვება ამა თუ იმ ზელოსნობისა და ზელოსნობის ცალკე დარგის შესახებ. შუასაუკუნეთა განმავლობაში ზელოსნობის წამყვან დარგს „სამშენებლო ზელოა“ წარმოადგენდა.


„ქართული ზუროთმოძღვრების განვითარების ახალი ეტაპის დაწყებამ IX საუკუნეში დიდი ბიძგი მისცა სამშენებ-

ლო საქმეს. ზელოსის ამ დარგის დაწინაურებაზე მიგვიითითებს, როგორც იმდროინდელი შესანიშნავი არქიტექტურული ძეგლები, ასევე წერილობითი წყაროებიც“¹.

გარდამავალ ხანაში, რომელიც საქართველოს ცალკეულ პროვინციებში კულტურული ცხოვრების ხელმეორე გამოცობლებისა და ქვეყნის გაერთიანებისათვის ბრძოლას ემსახურება, ძალიან დიდი ადგილი უჭირავს სამონასტრო მშენებლობას, განსაკუთრებით სამხრეთ რაიონებში – ტაოში, შავშეთ-კლარჯეთში. ამ პერიოდში ქართული ზუროთმოძღვრება ახალი სტილის ჩამოყალიბების რთულ, შინაგანი წინააღმდეგობებით სავსე პროცესს განიცდის. ამ შემოქმედებითი ძიების გზაზე ბევრია მნიშვნელოვანი მხატვრული მონაპოვარიც. დამახასიათებელია ზუროთმოძღვრული თემებისა და ფორმების დიდი მრავალფეროვნება: ზოგი წინა ხანიდანაა შემკვიდრებით მიღებული, ზოგი სულ ახალიც ჩნდება: ზოგი მათგანი სრული გაშლა-განვითარებას აღწევს, სხვები იმთავითვე კვდება.

ამ ხანის საეკლესიო არქიტექტურის ნიმუშები საქართველოს მრავალ კუთხეშია. დიდი სამონასტრო ანსამბლების გვერდით შენდება ერთნაირი ე. წ. დარბაზული ტიპის ეკლესიები, რომლებიც მეტად საინტერესო მასალას შეიცავენ და გარკვეული ადგილი უჭირავთ ქართული ზუროთმოძღვრების განვითარების გზაზე.


ამგვარი „დარბაზული“ ტიპის ძეგლს წარმოადგენს ზეილიშას ეკლესია, რომელიც დგას ასპინძა-ახალქალაქის გზის პირას, მთის შევაკებულ ფერდობზე. იგი სამწებაროდ, გარშემორტყმულია ორსართულიანი საცხოვრებელი სახლებით და ახლად გაშენებული ბალებით რაც ერთგვარად აუფასურებს ძეგლის შთაბეჭდილებას.



ზეილიშა.

როგორც უკვე აღვნიშნეთ, ზეილიშის ეკლესია მიეკუთვნება „დარბაზულ“ ტიპს, მოკლე სამხრეთისა და ჩრდილოეთის მინაშენებით. შინაგანი სივრცე პარმონიული პროპორციებისაა, — ფართო და თავისუფალი. კედლების მასალა შიგნითაც და გარეთაც ტლანქად თლილ, საშუალო ზომის, სწორ რიგებად დაწყობილ ბაზალტის ქვებს წარმოადგენს. წყობის ეს ტიპი ცნობილია თრიალეთის ხუროთმოძღვრებაში: ოლთისი და თეთრი წყარო; მესხეთ-ჯავახეთში: ყიზილ-დერესი და ალანმა; ქართლში: რუისი და თელოვანი; ზურტაკეტში: შინდლარი და ამადლება, დათარიღებული VI-VII სს. კახეთში VIII-IX სს. ძეგლებში: ზედაზენი, გურჯაანი, ვანნაძიანის ეკლესიები და სხვა.

ზეილიშა ეკლესია თავისი მინაშენებით ერთდროულადაა აგებული, მათი წყობა ეყვლება გადამხლედი.



გეგმა.

საკუთრივ ეკლესია საკმაოდ დიდი (მისი გარე ზომებია — 7,2x15,5 მ, ჩრდილოეთის მინაშენისა — 3,2x7,8 მ., სამხრეთისა — 3,0x5,0 მ.)

ინტერიერში ეკლესია აფსიდური მომრგვალებით მთავრდება, რომელიც გარე კედლების სწორკუთხედშია ჩაწერილი. გრძივი კედლები დანაწევრებულია ორი წყვილი, ორსაფეხურიანი პილასტრებით სამ ნაწილად; პილასტრების შუა შვერილებს ვერდნობოდნენ გადახურვის კამარის საბჯენი თაღები, გვერდით ნახევარშვერილებს კი კედლების თაღები. აფსიდის მიმართულებით გვერდითი თაღების დიაპტრი თანდათან მცირდება, რის გამოც დასავლეთის მხრიდან შემოსულს ექმნება ინტერიერის პერსპექტიული წაგრძელებისა და გადიდების ილუზია.

ეკლესიას ორი შესასვლელი აქვს: სამხრეთით და დასავლეთით. სარკმელი ხუთია — ერთი საკუთხეველში, სამი სამხრეთის და ერთი დასავლეთის კედლებში. სამხრეთის კარი დაზიანებულია. არქიტრავის ქვა აღარაა, შესასვლელის ორივე მხარეს პროფილირებული ქვებია ჩაყოლებული.

ჩრდილოეთის მინაშენი წარმოადგენს მოკლე სათავსს, რომელიც აღმოსავლეთიდან აფსიდალური მომრგვალებით მთავრდება. გრძივი კედლები სადაა. გადახურვის კამარა, რადიალურად დალაგებული, ბრტყელი, გაუთლელი ქვებითაა გადაყვანილი კირის ბსნარზე, ამ მინაშენს დამოუკიდებელი შესასვლელი არ აქვს. ის უკავშირდება მთავარ სივრცეს აფსიდის გვერდზე გაჭრილი გასასვლელის საშუალებით. სარკმელი ერთია, რომელიც აღმოსავლეთის მხარეს გადის, შიგნიდან მას ოთხკუთხა ფორმა აქვს და საკმაოდ კარგადაა შენახული.

რაც შეეხება სამხრეთის მინაშენს, იგი თითქმის მთლიანადაა დანგრეული, მაგრამ მაინც ჩანს, რომ მას აღმოსავლეთიდან აფსიდური მომრგვალება არ ჰქონია, გადახურვის კამარა კი თლილი ქვით ყოფილა გადაყვანილი.

ხეილიშის ეკლესიის კომპოზიციური

გადაწყვეტა ნათელია. იგი საკმაოდ მარტივია და მას ახასიათებს დეკორატიული მოყენება მხოლოდ კონსტრუქციული ნაწილების ხაზგასასმელად. ეკლესიას სამხრეთიდან და ნაწილობრივ დასავლეთიდან ორსაფეხურიანი ცოკოლი აქვს. აღმოსავლეთისა და მითუმეტეს ჩრდილოეთის ფასადებზე ცოკოლი არ გრძელდება, ეს გამოწვეულია ძველის ადგილმდებარეობით, იგი დამრეც ფერდობზეა აღმართული.

აღმოსავლეთ ფასადს ბაზილიკური, მოხაზულობა აქვს, მიუხედავად ამისა ეს ფასადი სიმეტრიული არ არის. იმის გამო, რომ ძველი, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ ფერდობზე დგას და კარგად ჩანს, რომ სამხრეთის მინაშენი უფრო დაბლა მდებარეობს ვიდრე ჩრდილოეთისა.

აღმოსავლეთის მხარეს ეკლესიას ორი სარკმელი აქვს — ერთი ჩრდილოეთის მინაშენისა და მეორე აფსიდის. აფსიდის სარკმელი კარგადაა შენახული. ამ საკმაოდ მაღალი და განიერი სარკმლის ზედა ნაწილი, ნახევარწრიულივე თავსართით, გრძელი, ჰორიზონტალური მხრებით უშუალოდ კი არ აზის ღიობს, არამედ სტოეებს მის ირგვლივ თავისუფალ არეს. თავსართის ზედა, ვიწრო ოლე სადაა და ქვედასაგან ღარიათა გამოყოფილი. ქვედა ოლე შედგება ბრტყელი სამკუთხა კუნთების მწკრივისაგან. მოხერხებულადაა გადაწყვეტილი სამკუთხედის გადახედა ნახევარწრიულად სწორ გადანაკეცებზე საგანგებო ფიგურის ჩართვით.

დასავლეთის ფასადი აღმოსავლეთის ფასადზე უფრო ვიწროა, იმის გამო, რომ ორივე მინაშენი თვით ეკლესიაზე უფრო მოკლეა და დასავლეთის კედლამდე არ გრძელდება ამ ფასადის ასიმეტრიულობა, მისი სიეწროვის გამო ნაკლებად იგრძნობა. დასავლეთის ფასადის მთავარ კომპოზიციურ აქცენტს წარმოადგენს სიმეტრიის ღერძზე განლაგებული შესასვლელი და სარკმელი.

შესავლელი გადახურული იყო არქიტრავით. მას ამკობს ნახევარწრიული



მოზაზულობის, კედლის სიბრტყიდან მძლავრად გამოწეული პროფილირებული თავსართი, რომელსაც მოკლე პორიზონტალური მხრები აქვს.

სამხრეთის ფასადის დეკორატიულ აქცენტებს წარმოადგენს სამი სარკმელი და კარი, რომელიც ვაჭრულია შუა სარკმლის გასწვრივ. ძალზე საინტერესოაა გადაწყვეტილი სარკმელები, მათ ისეთივე თავსართი აქვთ, როგორც აღმოსავლეთის სარკმელს, იმ განსხვავებით, რომ მარცხენა სარკმელს სამკუთხა კუწუბების მაგივრად აქვს მოკლე ცილინდრების მწკრივი, რომლებზედაც თითოეულზე ამოკვეთილია წრე. შუა სარკმელი შემკულია ნახევარწრიული თაღებით. ამგვარი ანალოგები გვხვდება ალანძასა და შალოშეთში.

შუა და მარჯვენა სარკმელებს შორის კედლის ზედა ნაწილში პორიზონტალურად ჩატანებულია მოგრძო ქვა, რომლის ცერად ჩაჭრილ სიბრტყეზე შემდეგი ასომთავრული წარწერაა: — ქრისტე შეიწყალე თოდოიტი. სამხრეთის შესასვლელის არქიტრავის ქვა არ არსებობს, მას ორივე მხარეს აუყვება პროფილირებული ფილები.

ჩრდილოეთის ფასადი სრულიად სადაა. ეკლესიას ექნებოდა დამაგვირგვინებელი კარნიში, ამჟამად იგი აღდგენილია და ამ პერიოდისათვის დამახასიათებელი თარი-კარნიშით სრულდება. მხოლოდ ერთ ნაწილში სამხრეთ ფასადზე, მარჯვენა კუთხეში დატანებულია თაღების მწკრივით შემკული კარნიშის ქვა. სავარაუდოა, რომ ძველი თავის დროზე ამგვარი ღანგვარდნით იყო დაგვირგვინებული, რაც ასევე გვხვდება VIII-IX სს. ძეგლებზე. მაგ. ყიზილ-დერესი — VIII ს.

ძველი მეტად საინტერესო მაქალასა შეიცავს, ეს არის ტიპურად დატანული ეკლესია ჩრდილოეთისა და სამხრეთის მინაშენებით, მეტად საგულისხმო სარკმელებითა და მათი თავსართებით. იგი ზემოთ ჩამოთვლილი ნიშნებით შეიძლება მივაკუთვნოთ VIII-IX სს, ეპოქას რომელიც, როგორც ცნობილია, ქართული ხელოვნების საერთო განვითარებიდან, უკრ კიდევ მჭიდროდაა დაკავშირებული კლასიკურ შემკვიდრობასთან, ზოლო თავისი მიზანდასახულობით უარყოფს გამოუმუშავებულს, ძველს გადასწყვეტ ახალ შემოქმედებით გზებს ეძებს და რომელიც ამ განმასხვავებელი თვისებით VI-VII სს. და X-XI სს. ხელოვნებათა შორის კანონზომიერ შემაერთებულ კანონს წარმოადგენს.

ბუნებრივია, რომ ზეილიშის ზუროთ-მომღვარმა, იმყოფებოდა რა საქართველოს ზუროთმომღვრული შემოქმედების განვითარების საერთო კალაპოტში, თავის ზუროთმომღვრულ ნაწარმოებში აღბეჭდა ახლისა და სიახლის გამოზატველი ძიება, რაც შემდეგ სულ უფრო და უფრო აშკარად გამოხატულ ხასიათს ეღებულობს.

გაგრძელებული ლიტერატურა:

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 2.
2. ქართული ხელოვნება, 2, თბ., 1948; ოლთისი და თეთრი წყარო.
3. ნიკო ჩუბინაშვილი. ჭავჭავთის დარბაზულ ძეგლთა განვითარება VI-VII სს-დან XI ს-ის I ნახევრამდის. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის III სესიის მოხსენებათა თეზისები, 15 მაისი, 1948.
4. ლ. რჩელიშვილი. ზურტაკეტის მხარის ხელოვნების ძეგლთა დახასიათების საკითხისათვის. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის სოზოგადობრივ მეცნიერებათა განყოფილების XVI სესიის მოხსენებათა თეზისები, 6 მაისი, 1944.
5. ვ. ცინცაძე. თელოვანის ნაგებობა „წვარ-პატოსანი“ VIII-IX საუკუნეთა ზუროთმომღვრული ძეგლი. საქართველოს სსრ მეცნ. აკადემიის ქართული ხელოვნების ისტორიის ინსტიტუტის V სესიის მოხსენებათა თეზისები, 14 მაისი, 1950.

1. საქართველოს ისტორიის ნარკვევები ტ. 2, გვ. 354

2. ძველი აღდგენილია 70-იანი წლების ბოლოს სპეც. სამეცნიერო-საწარმო გაერთიანების მიერ. პროექტის ავტორები: რ. გვერდწითელი, თ. ნეშაძე.

ძველის აღდგენის საკითხისათვის

ისტორიულ ქვემო რაჭაში, ამჟამად ამბროლაურის რაიონში, სოფელ წესთან, მდ. რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქუთაის-ონის სახელმწიფო გზასთან აღმართულია დიდი გუმბათიანი, ე.წ. ბარაკონის ღვთისმშობლის ტაძარი. ტაძარზე შემორჩენილი წარწერა ვკამცნობს, რომ ის აუგია ოსტატ ავთანდილ შულაერელს რაჭის ერისთავის როსტომის დაკვეთით 1753 წელს.


ცნობილია, რომ რაჭის საერისთავო შეიქმნა X საუკუნის მეორე ნახევარში. რაჭის პირველი ერისთავები დაეფუძნენ სოფ. წესთან — ბარაკონში. ეს ის ადგილია, სადაც მდ. ლუხუნი ერთვის მდ. რიონს. ამ მდინარეთა შესართავთან აღმართულ მთაზე რაჭის ერისთავებმა ააგეს დიდი ციხესიმაგრე, რომელიც მინდა ციხის სახელითაა ცნობილი. აქ, რიონის პირზე დაიდგეს სასახლე და

საყარაულოა, რომ მაშინ სასახლესთან დარბაზული ეკლესიაც ააშენეს. ამჟამად სასახლისაგან და ეკლესიისგან აღარაფერია დარჩენილი, მათი ამ ადგილზე არსებობის მცირე ნიშნების გარდა. ცნობილია, რომ ისინი ვასაპჭოების შემდეგ იქნენ დანგრეული.

სწორედ ამ ეკლესიის და სასახლის დასაუღუთით, იქვე, აავო ერისთავმა როსტომმა ახალი დიდი გუმბათიანი ტაძარი, ვინაიდან მცირე დარბაზული ეკლესია მას აღარ აკმაყოფილებდა.

როსტომ ერისთავს რაჭის გამგებლობა ხელთ ეპყრა დაახლოებით 1750 წლიდან 1769 წლამდე. როსტომი მეტად ძლიერი ერისთავი იყო და იმერეთის მეფე სოლომონ I-ს, რომლის ქვეშევრდომიც იყო ის, არ ემორჩილებოდა. უფრო მეტიც, როსტომმა ბრძოლა გამოუცხადა მას, მიიძხრო ლეკან აბაშიძე და 1752 წელს მათ დაამარცხეს მეფე და იმერეთიდან გააძევეს კიდეც. სოლომონ პირველმა მოახერხა და 1753 წელს მეფობა დაიბრუნა. როსტომს ამის შემდეგაც არ შეუწყვეტია მეფესთან ბრძოლა. როდესაც მეფემ დაინახა, რომ თავის ურჩ ხელქვეითს ძალით ვერ სძლედა მოტყუებით ნაიფვანა მთელი ოჯახით ქუთაისს — 1769 წელს — დაატყვევა და თვალები დასთხარა. მეფემ რაჭის საერისთავო გააუქმა და მისი მიწები სამეფოს შეუერთა. ბრმა როსტომი მხოლოდ 1773 წელს დაუბრუნდა თავის რეზიდენციას ბარაკონში. როსტომ ერისთავმა ბარაკონის ეკლესიას მრავლად შესწირა ვკარ-ხატი, საეკლესიო წიგნები და სხვა განძი.

ბარაკონის დიდი ტაძრის აგება როსტომის სიძლიერის ნათელი გამოვლინება იყო. თავის ხელქვეითისაგან ისედაც უსაზღვროდ შეწუხებული მეფე არ შეიძლება ამას კიდევ უფრო არ გაეღი-



ბარაკონი. აღმოსავლეთის ფასადი. ავტორის ფოტო.



ზიანებინა და საბოლოოდ როსტომ რაჭის ერისთავის ტრაგიკულ ბედში ბარაკონის ტაძრის აგებამაც უეჭველად ითამაშა თავისი როლი.

გახაბჭოების შემდეგ ერისთავების ისტორიული სასახლე გაანადგურეს. ეკლესია ჯვარ-ხატების, წიგნების და საეკლესიო ძეგრთაგანსაგან გაძარცვეს, როსტომის საფლავიც მოთხარეს, გაძარცვის მიზნით. ცხადია, ეკლესიამ ფუნქციონირება შეწყვიტა. ამ ორიოდ წლის წინ ის ნიკორწმინდის მღვდლის გამგებლობაში გადასცეს და მიმდებარე ბაღ-ვენახებიც დაუბრუნეს.


ბარაკონის ეკლესიაზე წერილობითი წყაროები, ისტორიული ცნობები, მცირეა. დღემდე მკვლევარები ძირითად ფურადლებას ამახვილებდნენ ეკლესიის წარწერებზე, ძველში დაცულ ჯვარ-ხატებზე და მათ წარწერებზე. ბარაკონის ეკლესიის აღწერილობა და წარწერები სრულად პირველად გამოაქვეყნა გ. ბოჭორიძემ.¹ შემდეგ, ძირითადად ბოჭორიძეზე დაყრდნობით, გამოსცა ე. თაყაიშვილმა.² უფრო ადრე ბარაკონის დას. კარის ტიშისა და წარწერა გამოაქვეყნა მარი ბროსემ წრანგულ ენაზე თავის XII რაპორტში.³

ბარაკონის ტაძარი მონოგრაფიულად შესწავლილი აქვს აკადემიკოს ვ. ბერიძეს (შრომა ჩაბარებულია დასაბუჯლად გამომცემლობაში 1986 წელს, მაგრამ ჯერ არ გამოსულა).⁴

ბარაკონის გუმბათიანი ეკლესია გუმბათში სწორკუთხაა, ოდნავ წაგრძელებული აღმ.-დას. მიმართულებით. გუმბათი დაყრდნობილია საკურთხეველის ნახევარწრიული აფსიდის ორ კუთხეს და თავისუფლად მდგარ ორ რუწახნაგა სვეტს, კვადრატიდან წრეზე გადასვლა აფრების საშუალებით ხდება, ოთხივე აფრაში ჩასმულია ქვევრები რეზონატორად.* ეკლესიას სამი კარა აქვს,

ნაგებია თეთრი კარქვის კვადრატით. ძველი თავიდან გადახურული იყო ლორფინებით. შემდეგ კედლები დაფარეს შვეიდან იქონი. მთლიანად თუნუქით დაფარეს. ბარაკონის ეკლესია დიდი ზომის ნაგებობაა (გუმბათი 20,25 მ x 16,25 მ, ხოლო სიმაღლე 30 მეტრი აქვს). ის ყველაზე მაღალი ნაგებობაა რაც კი დღემდე აშენებულია რაჭაში. ეკლესიას სამი კარა აქვს, სამხრეთით, დასავლეთით და ჩრდილოეთით. ინტერიერი შელესვისა და მოხატვის გარეშეა დატოვებული. კედლები თეთრი ქვის კვადრებით არის ნაგები, კამარები და გუმბათის ხვერაკი — შირიმის ქვით. აღსანიშნავია კარგად ნათალი და დაწოილი ქვების დიდი ზომები. ძველი ძალიან კარგად არის განათებული. იგი ოცდაათი სარკმლით ნათდება. მათგან ხუთ-ხუთი აღმოსავლეთ და დასავლეთ ფასადებზე გადის, სამ-სამი სამხრეთითა და ჩრდილოეთით, თორმეტი კი — თორმეტწახნაგა გუმბათის ყელშია. ამათ გარდა, აღმ. ფასადზე კიდევ ორი პატარა წრიული სარკმელია გაჭრილი. ისინი სამკვეთლოს და სადიაკნეს თავზე არსებულ პატარა სათავსებს ანათებენ. ყველა კარს და სარკმელს ფართო მონუქურთმებული საბირეები შემოუყვება. ბარაკონის ტაძრის კამარები, თაღები, კარ-სარკმელთა სათაურები, ნახევარწრიულია, ე. ი. მის არქიტექტურაში არ იგრძნობა სპარსული არქიტექტურის არავითარი გავლენა, რაც ასე ნიშანდობლივია მისი პერიოდის ქართლ-კახეთის არქიტექტურის ძეგლებისათვის. გუმბათის ყველა სარკმლის თავზე ჩუქურთმით დაფარული გირნებია მოთავსებული. ეკლესიის ფასადზე უამრავი სხვადასხვა ფორმის და სიდიდის ჯვრებია. ეს ჯვრები ჩუქურთმებით არის დაფარული. ასევე ჩუქურთმით არის დაფარული კარნიზის ქვები. გუმბათის კარნიზის გარდა, ქვის თლა, ქვის კვეთა, ჩუქურთმის ჭრა, ყველაგან პროფესიონალი ოსტატების მიერ არის შესრულებული. თუმცა უნდა

* კიდევ ოთხი ქვევრი. იმავე მიზნით ჩასმულია დას. მკლავის ვადახურ კამარში, სამ-სამი კი ჩრდ. დას. და სამხრ. დას. კამარებში.



დასავლეთ კარის დეტალი.

აღინიშნოს, რომ მხატვრულად ისინი ვერ აღწევენ განვითარებული შუასაუკუნეების ძეგლთა ჩუქურთმის დონეს. ასევე თვალში ხაყვითა, სხედასხვა არქიტექტურული დეტალების არალოგიკური განაწილება ფასადებზე. ეს ყოველივე ძეგლის აგების ეპოქის დამახასიათებელი ნიშნებია. ინტერიერი ხალვათი და ნათელია. ნახევარწრიული უბემო აფსიდის გვერდებზე სწორკუთხა, წინიდან გახსნილი სამკვეთლო და საღიაკენაა. მათ თავზე კიდევ პატარა სათავსებია. როგორც ჩანს, ბარაკონის მშენებელმა ძირითადად ფურადლება ძეგლის გარეგან შემკობაზე გაამახვილა.

ბარაკონის ტაძარი ქვაზე კვეთილი ვრცელი წარწერებითაც არის შემკული. წარწერები მოთავსებულია სამივე კარის დიდი ზომის ნახევარწრიულ ტიმპანის ქვეშე. მათგან დას. კარის წარწერა ახომთავრულია, ხოლო სამხრ. და ჩრდ-ით წარწერები მხედრულია. სამივე წარწერის ტექსტი ძალიან მაღალფარდოვანია, ისინი მიძღვნილია ღვთისმშობლისა და ეკლესიის ამშენებლის რაჭის ერისთავის როსტომისადმი. კერ-

ძოდ, ამ წარწერებში აღნიშნულია, რომ „... რაჭის ერისთავმან როსტომ აღვაგე ეკლესია“... 1753 წელსო. აღმოსავლეთ ფასადზე დიდი ჯვრის მარჯვნივ კედლის სიბრტყიდან გამოწეულ ქვაზე, რომლის თავზე პატარა ჯვარია მოთავსებული, მხედრული წარწერაა: „ქ. ამისი ოსტატი შულავერელი ავთანდილ კინა ნახით შენდობა უბრძანეთ“. იმავე ავთანდილ ოსტატის დღემდე უცნობი წარწერა გავსხენით ჩრდ. ფასადზე შუა სარკმლის ქვეშ. წარწერა სამ სტრიქონიანია. „ქ. ამისი: ოსტატი: შულავერელი: ავთანდილ: ვნა წაიკითხოთ: შენდობა: მიბრძანეთ: ამისი წამკითხავე: ღმერთმა: დალოცოს“. აღნიშნულის გარდა, ეკლესიაში კიდევ ერთი, როსტომ ერისთავის საფლავის ქვის წარწერაა. როსტომი დასაფლავებულია კანკელის წინ, სამხრეთის კედელთან. საფლავის დიდ, ჩუქურთმით შემკულ ქვაზე კვითხულით: „წელსა ჩღ ვა (=1766) ლოდსა ამას ქვეშე მდებარე არს ეკლესიისა ამის აღმამენებელი რაჭის ერისთავი“... (აქ აშკარად სცდება წარწერის შემსრულებელი, როგორც ზევით აღვ-

ნიშნით როსტომს სოლომონ I-მა დასთხარა თვალები 1769 წელს. 1773 წელს ის დაბრუნდა ტყვეობიდან — განაახლა რაჭის საერისთავო და დაახლოებით ოთხმოციანი წლების ბოლომდე იცოცხლა).

ბარაკონს ხის, ფერწერული ხატებით ეკვს იარუსად გაწყობილი კანკელი აქვს, რომელიც საკურთხეველს ცენტრალურ სივრცისაგან ჰყოფს რუსული იკონოსტაზის მსგავსად. ყველა ხატს ქართული წარწერა აქვს, და ქართველი მხატვრის შესრულებულია.

ბარაკონის ტაძარმა 1991 წლის 29 აპრილის მიწისძვრამდე ძირითადად დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაში მოაღწია. აშენების შემდეგ მას დიდი რემონტი ან გადაკეთება არ განუცდია. მხოლოდ ღორფინის სახურავი დროთა განმავლობაში დაზიანებულია და ძველი ხელახლა მთლიანად მოთუთიებული თუნუქით გადაუხურავთ, რომელიც ამჟამად ამორტიზირებულია და უნდა შეიცვალოს. სამოციან წლებში დასავლეთ კარის ტიმპანის ადრე გაბზარული ქვა დასკდა და დიდი ნაწილი ჩამოიშალა. ჩამოშლილი ქვები დაცულია ეკლესიაში. სხვა დაზიანებები ძველზე მიწისძვრამდე არ შეიმჩნეოდა, თუ არ მივიღებთ მხედველობაში, კედლის წყობიდან ჩამოვარდნილ რამდენიმე ქვას და ცოკოლის რამდენიმე დაზიანებულ ქვას.

29 აპრილის და შემდეგმა მიწისძვრებმა ძლიერ დაანგრია გუმბათის ყელი. სარკმლებს მოერღვა საპირეები, ნაწილობრივ ჩამოიშალა მოპირკეთების ქვები. რამდენიმე ადგილზე სარკმლებშორისი კედლებიც გამოინგრა. საბედნიეროდ, ეკლესიის კედლებმა გუმბათის სფერომ, სვეტებმა, კამარებმა და თაღებმა ამ საშინელ რყევებს გაუძლეს, მათ თითქმის შესამჩნევი დაზიანება არ მიუღიათ. თუმცა საბოლოო დასკვნების გაკეთება შესაძლებელი გახდება მას შემდეგ, როდესაც ყოველი კვანძი უშუალოდ ადგილზე იქნება შემოწმებულ-გამოკვლეული.

ბარაკონის ტაძარი ძველი ქართული

გუმბათოვანი არქიტექტურის უკანასკნელი დიდი ძეგლია, მისი გეგმის სიმბლერაა. ის რიონის მწვეანე მთებში შემორჩენულ ჩამუჭებულ ხეობაში, მართლაც თეთრი გეღვიით, მომხიბლავად გამოიყურება და წარუძღვლ შთაბეჭდილებას სტოვებს მნახველზე.

როგორც ზევით აღვნიშნეთ, მიწისძვრის შედეგად გუმბათის ყელზე სარკმლებს მოერღვათ საპირეები, რამდენიმე ადგილზე გაინგრა სარკმლებს შორის კედლები. ჩამოშლილმა ქვებმა დაგლიჯეს ეკლესიის ისედაც უკვე ამორტიზირებული თუნუქის სახურავი.

შექმნილი ექსტრემალური სიტუაციის გამო — მიწისძვრები განუწყვეტლივ მეორდებოდა და გუმბათის მთლიანი დაანგრევით ემუქრებოდა — დაუყოვნებლივ იქნა დადგმული ძალოვანი ხარაჩოები და პროექტირება და გამაგრებითი სამუშაოები თითქმის ერთდროულად დაიწყო. ასევე პროექტზე პარალელურად მუშაობდნენ არქიტექტორები და კონსტრუქტორები. პირველ რიგში არქეოლოგიურად აიზომა გუმბათი, დატანილი იქნა ყველა დაზიანება. აღსანიშნავია, რომ ძველი ვაზომილი არ იყო. გაკეთდა გუმბათის გამაგრების არქიტექტურული და კონსტრუქციული პროექტები. შემდეგში ძველი უნდა აიზომოს მთლიანად. პირველ რიგში უნდა აღსდგეს სარკმლებს შორის დანგრეული კედლები. გუმბათის გაუკეთდება კარნიზს უკან დამალული რკინა-ბეტონის სალტე, რომელიც ჩაანკრდება გუმბათის ყელში. სფერო გადაიხურება რკინა-ბეტონის თხელი გარსით, რომელიც სარტყელში იქნება ჩაანკრებული. ამრიგად, გუმბათის ყელი და სფერო, რკინა-ბეტონის სარტყლის საშუალებით, ერთ მთლიან მონოლითად გადაიტყვევა. გუმბათის ყელზე ჩამოშლილი მოპირკეთების და სარკმლების საპირის ქვები თავ-თავის ადგილს დაუბრუნდება. გატეხილი ქვები შეწყობდება და ამრიგად, დანაკარგი მინიმუმამდე შემცირდება. ნაკლები ად-

გილები ახალი, გლუვად გათლილი, უორნამენტო ქვით შეივსება. ყველა ქვა ანკერებით ჩამაგრდება. ტაძარზე ყველა შემწნეული მორყეული ქვა გადაეწყო, ხოლო ნაკლული ახლით შეივსება. დასავლეთ კარის დაშლილი ტიმპანის ქვა შეწებდება, აღსდგება და წყობაში ჩამალული რკინის კუთხოვანათი საიმედოდ გამაგრდება. ცოკოლის მორყეული ქვები გადაეწყო, ხოლო ნაკლული ადგილები შეივსება. ეკლესიის გარშემო წყლის

გადასაყვანი ქვის სარინელი მოეწყო.

ტაძრის გარშემო მოქმედი სასაფლაოა. აუცილებლად უნდა მოეწყოს მისი სასაფლაოსაგან გამიჯვნის ზოლი, რათა უშუალოდ ტაძრის კედლებთან არ გათხარონ საფლავები, რაც საშიშროებას შეუქმნის მას სამირკველს.

1. გ. ბოჭორძე, რაქის ისტორიული ძეგლები, საქ. მუზ. მოამბე, ტ. V, თბ., 1930, გვ. 192-222.

2. ე. თაყაიშვილი, არქეოლოგიური მოგზაურობა რაქვაში, 1919-1920 წწ., თბ., 1963.

3. ბროსე... რაპორტი 12, 1851, გვ. 55-59. (ფრანგულ ენაზე).

4. ვ. ბერიძე, XVI-XVIII საუკუნეების ქართული ხუროთმოძღვრება, ტომი II.

შ ე ნ ი შ ვ ნ ბ : წინამდებარე წერილში აღნიშნულ ჩასატარებელ სამუშაოებიდან ამჟამად გარკვეული ნაწილი უკვე შესრულებულია. ეკრძოდ, აღსდგა გუმბათის ელი; გადაიხურა გუმბათი და ეკლესიის კალოების დიდი ნაწილი; გადაწყო, გასწორდა და შეივსო ეკლესიის ქვის იატაკი; დამთავრდა კარნიშის დაძრული ქვების გადაწობა და ნაკლული ადგილების აღდგენა. ამჟამად მიმდინარეობს ფასადებზე პერანგის მორეული ქვების გადაწობა, გამაგრება და ნაკლული ადგილების შევსება.

ასპინძის რაიონის სოფ. აწვეიტის მკვიდრი, სულხან-საბა ორბელიანის ხაზ. პედაგოგიური ინსტიტუტის კურსდამთავრებული ნოდარ ივანშიძე მრავალი წელია სწავლობს თავისი კუთხის ისტორიას, ეოფას, ხალხურ შემოქმედებას. მან შეაგროვა 400-მდე ნივთი, რომელიც გამოფენილი აქვს საოჯახო მუზეუმში, აჭარად მკითხველს ვთავაზობთ მის მიერ წესბეუ-ჭავჭავთში შეგროვილ ლეგენდებს ტომონიშებზე. (გვ. 27, 30, 48, 52).

აწვეიტა

სოფელი აწვეიტა ასპინძის რაიონშია. ლეგენდის მიხედვით თურმე თამარ მეფე ბასიანისკენ მიუძღოდა ლაშქარს. დაღლილებმა ერთგან ბანაკი დასცეს დასასვენებლად. ის იყო, პურობა დამთავრდა, რომ თამარის დაბმულმა ცხენმა აიწვეიტა და დაიჭიხენია. მეფეს გაუხარდა — ეს კარგი ნიშანია, გამარჯვების მომასწავებელიო.

ბასიანის ომის ძღვევამოსილი დამთავრების შემდეგ ამ ადგილისათვის აწვეიტა დაურქმევიათ. დღესაც მას აწვეიტა უწოდებს ხალხი.



სტელის ფრაგმენტი სოფელ ედი-ძილისიდან

ადრე შუასაუკუნეების ქართული მცირე ფორმის ქანდაკების ერთ-ერთი საინტერესო ნიმუში, სტელის ფრაგმენტი ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში¹.

ქვემო ქართლი მდიდარია სტელებით, რომელთა ზედაპირზე გამოქანდაკებულია ქრისტიანული სიმბოლოები — ჯვარი, ავგავებული ჯვარი, ვახის რტო, წმინდანების ცალკეული ფიგურები და ფიგურული კომპოზიციები. ედი-ძილისის ფრაგმენტი წარმოადგენს ნაცრისფერა კირქვის სტელის ზედა, კუბური მოყვანილობის ნაწილს, ზომით 29X28X25 სმ. ის ძლიერ დაზიანებულია — ქვედა მხარე წატეხილია, ზურგი ჩამოტეხილი აქვს, ზევიდან ამოღებულია ოთხკუთხა ბუდე ჯვრის ჩასამარებლად. სვეტისთავის პირზე დაბალი რელიეფით გამოქანდაკებულია სავარძელში მჯდომი ღვთისმშობელი ყრმით; გაირჩევა სავარძლის მარჯვენა ფეხი და ნამკლისებური აქეთ იქით აღმართული ზურგის გვერდები, ღვთისმშობლის ბიუსტი და, მის ფონზე, ქრისტეს თავი, რომელსაც ღვთისმშობელი მარჯვენა ხელით ეხება. მათი სახის ნაკეთები მსხვილი, და ტლანქია, თმა, ტანსაცმელი, სავარძელი ერთნაირად არის დამუშავებული ხშირი პარალელური ზახებით. მარცხენა წახვზე შემორჩენილია მარჯვნივ მიმართული მფრინავი ანგელოზი, მოუხეშავი, აგრეთვე ხშირი პარალელური ზახებით დამუშავებული. მარჯვენა გვერდზე და ზურგზე აღარაფერი გაირჩევა, მაგრამ უჭკველია, რომ ამ გვერდზეც მფრინავი ანგელოზი იქნებოდა გამოსახული. ამრიგად, სტელის სამივე მხარეს ერთი მთლიანი — ამალღების კომპოზიცია არის გამოქანდაკებული.

ეს სიუჟეტი ძალზე გაერცვლებულია ადრექრისტიანული ხელოვნების განვითარების პირველ საფეხურზე.² მისი არსებობა ქართულ სტელებზე თავისთავად

საყურადღებოა, როგორც შესაძინევი იშვიათობა, ძირითადად ღვთისმშობლის გამოსახულების ეს ტიპი საქართველოში, იმ ხანაში პოულობს გავრცელებას, როდესაც იგი უკვე შესულია ბიზანტიის ანტიური ხელოვნების სფეროში, ე. ი. დაახლოებით VII საუკუნისათვის, სწორედ ამ დროის ძეგლებში მოექნება პარალელები ჩვენს სტელას ბიზანტიურ წრეებში: წმ. აპოლინარი — ახალი პარენცო, მონცას ამპულები, ენმიაძინისა და კრაუკორდის დიპტიხები, ბრიტანეთის მუზეუმის ფირფიტა, კაიროს რელიეფი და სხვა. საყურადღებოა, რომ მთელი ეს პარალელური მასალა ძირითადად სირია-პალესტინურ იკონოგრაფიულ სფეროს განეკუთვნება, კონდაკოვი დასახელებულ ნაშრომში დაწვრილებით იკვლევს ამ ტიპის ჩამოყალიბების გარემოებას; იგი საგანგებოდ აღნიშნავს, რომ სირიამ, კერძოდ პალესტინამ, უაღრესად მნიშვნელოვანი როლი ითამაშა იკონოგრაფიის ჩამოყალიბებაში. ჩვენთვის საინტერესო იკონოგრაფიული სიუჟეტი გამოხატულია მცირე ხელოვნების ძეგლებზე — ამპულები მონცადან, შესრულებული პალესტინაში VI საუკუნის მეორე ნახევარში. ეს ამპულები თავისი კომპოზიციითა და დეტალებით ედი-ძილისის სტელასთან პოულობს ანალოგიას. ერთ-ერთ ამპულის გვერდზე გამოხატულია მოვთა თავყანისცემა, ცენტრში ფრონტალურად მჯდომი ღვთისმშობლითა და ყრმით; ღვთისმშობლის სავარძლის ზურგი მაღალია და მხრების უკან ორი მახვილი წვერის სახით აღმართული ბოლო, რაც მთავარია, საერთო მოყვანილობით ჩვენი სტელის ზედაპირზე გამოხატულ სავარძელთან ახლოს დგას³. მაღლა ღვთისმშობლის მხრების უკან გამოხატულია ორი მფრინავი ანგელოზი, ცხადია, რომ აქ, ღვთისმშობლისა და ყრმის გამოსახვაში არც ტიპისა და არც იკონოგრაფიულ



სიათებს — სამეფო სამოსელნი და წიშნი ნები და განსაკუთრებული სიმკაცრე კაშკაშა მოხატულები; მაგრამ არ შეიძლება არ შევნიშნოთ, რომ ღვთისმშობლის და ერძის სახის ოვალი, მოკლე, სქელი თმა გულამოჭრილი კაბა და, რაც მთავარია, სავარძლის ორი რქისებური ზურგი ანუ საყრდენი. შეტად უახლოვდება

ელი-ქილისის სტელის ფრაგმენტს. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ადრეული შუა საუკუნეების ქართული მცირე ქანდაკების ძეგლებზე ეს სიუჟეტი იშვიათად გვხვდება (ხანდისი, VI საუკ. მეორე ნახევარი, ბოლნისის სტელის ფრაგმენტი VI-VII საუკუნეები. უფრო მოგვიანებით წებელდის კანკელი VII-VIII სს. გველდის კანკელი VII-IX სს.) დასახელებული ძეგლები, ისევე როგორც ელი-ქილისას სტელა ზოგიერთი საერთო ნიშნებით ხასიათდებიან. აკად. გ. ჩუბინაშვილი აღნიშნავს, რომ ამ ჯგუფის ძეგლები განსხვავდებიან ბოლნისის სიონის, ჯვრის და მარტვილის რელიეფებისაგან სტილით, მას მხედველობაში ამ ძეგლების შესრულების გრაფიკული მანერა აქვს. ნაწილობრივ იგივე შეიძლება ითქვას ჩვენი სტელის შესახებაც.

მართალია რელიეფი მკაფიოდ არ არის გამოვლენილი, ნაკეთებში მიღწეულია ერთგვარი მოედირება, მაინც აქ მთავარ როლს ხაზი თამაშობს (ნ. ჩუბინაშვილის აზრით VI-VII სს. ეპოქისათვის, მცირე პლასტიკის რელიეფისათვის დამახასიათებელია დეკორატიული ხაზობრიობა)¹. ამ შრივ შეტად ტიპურია პირისახის ნაკეთების გამოყვანა კონტურის საშუალებით — ღვთისმშობლისა და ერძის თვალები სადა წრეს წარმოადგენს, წერტილით ცენტრში. ეს მანერა აახლოვებს ელი-ქილისას იმ სტელებთან, რომლებიც დათარიღებულია VI საუკუნის მეორე, VII საუკუნის პირველი ნახევრით. (ხანდისი, დავათი, ბოლნისი, გორა). ზემოთმოყვანილი პარალელები ქართული და უცხოური ხელოვნების წრეებიდან ამკარად ხდიან იმ



სტელის ფრაგმენტი.

სახის მსგავსებაზე ლაპარაკი არ შეიძლება და საყურადღებოა მხოლოდ სცენის საერთო კომპოზიციური, ტიპური გადაწყვეტა.

აღსანიშნავია, რომ ჩვენ ძეგლზე როგორც ღვთისმშობელი, ასევე ერძა მოკლებულია იმ იკონოგრაფიულ ნიშნებს, რაც სირიისათვის არის დამახასიათებელი — ჩაცმულობა, თავსაბურავი, შარავანდელი, პირისახის ტიპური ნაკეთები, ისეთი შთაბეჭდილება იქმნება, თითქოს გარკვეული კომპოზიციური სახე აქ მისთვის უცხო სტილისტურ ხაზებშია გამოცემული, მაგრამ სავარაუდოა, რომ ჩვენ საქმე უნდა გვექონდეს VI საუკუნის იმ ნიშნებთან, რომელიც ცნობილია ღვთისმშობლის „დედოფლის“ სახელწოდებით. მისი საუკეთესო ნიმუშია *Sea Maria antiqua*-ს (საკურთხევის ფრესკა). კონდაკოვი ამის შესახებ წერს, რომ, თუმცა იგი აღმოსავლურ-ბერძნულ-სირიული, ნაცნობი მხარეების შემცველია, სინამდვილეში ახალ სტილისტურ ფორმაში გვევლინება; ჩვენ სტელაზე არ არის ის დეტალები, რომელთაც კონდაკოვი ჩამოთვლის, როდესაც ამ ახალ სტილისტურ ფორმას ახა-



გარემოებას, რომ აქ წარმოდგენილი ტიპი უკვე ერთგვარად გამოუმუშავებულ სალოცავ სახეს წარმოადგენდა; ამით აიხსნება მისი ცენტრალურობა, ფრონტალურობა და სადღესასწაულო იერი. მაშასადამე მოიპოვება ყველა ის მხარე, რომელიც მონუმენტურ ხელოვნებას ახასიათებს და ცხადია სწორედ ასეთი პროტოტიპის განმეორება უნდა იყოს.

ქრისტიანულმა სარწმუნოებამ ანტიკური სამყაროდან აიღო არა მარტო იკონოგრაფიული სიუჟეტები არამედ, მათი მხატვრული სტილისტური სახეებიც. ადრექრისტიანული ხანის ქართულ ხელოვნებაში სიუჟეტურმა გამოსახულებებმა — იქნებიან ისინი ღვთაებები თუ წმინდა პერსონაჟები, აგრეთვე კონკრეტული პიროვნებები ადრევე დაიკავეს მნიშვნელოვანი ადგილი, როგორც მცირე ფორმის საკულტო ძეგ-

ლებზე — სტელეზე, აგრეთვე ტაძრების ფასადებზე.

სტელა სოფელ ედი-ქილისიდან თავისი სიუჟეტური, იკონოგრაფიული მხატვრული სტილისტური მხარეებით ნათელ წარმოდგენას გვიქმნის ადრექრისტიანულ მცირე ფორმის ქანდაკების რაობაზე და ექცევა ქართული ქანდაკების VI საუკუნის ბოლოსა და VII საუკუნის პირველი ნახევრის ხასიათის ძეგლების კვანძში.

1. სტელის სვეტის ფრაგმენტი. წალკის რ-ნი სოფ. ედი-ქილისა. ხელოვნების მუზეუმის ქვის ფონდი № 533.
2. Н. Кондаков, Иконография Богоматери. I, 1914, стр. 13, 14, 48, 49.
3. Кондаков — დასახელებული ნაშრომი გვ. 204. სურ. 123.
4. ნ. ზუბინაშვილი, Хандиси. გამოცემლობა „მეცნიერება“, თბ., 1972.

როკითი

აწვეიტის გვერდით არის ნასოფლარი როკეთი. ლეგენდის მიხედვით დიდა ხნის წინათ ეს ადგილი გაუვალი ტყით ყოფილა დაფარული. ზეთა სიმრავლეს შეუფერხებია მომზდური. მტრის სარდალს უბრძანებია, როკეთ — ე. ი. კაფეთ ტყე და ადვილად გაევალით. მერე ამ განეხილი ტყის ადგილას სოფელი გაუშენებიათ და როკეთი დაურქმევიათ.

6060ა ხ330

პატარა ხევი, ჩაედინება მტკვარში, ლეგენდის მიხედვით ქალის სახელთანაა დაკავშირებული. ქალს, რომელსაც ნინია რქმევია, ახალ გაზედნილი მოზერები შეუბამს ჯილღაში, ხარებს, რომ ბავშვი არ გადაეთელათ, ჯილღა მიწას ააყოლა და ჩაუვლია დაღმართი ბალამდე, შემდეგ წვიმების დროს აქ დიდი ხრამი გაჩენილა და ადგილს ამის გამო შეერქვა ნინიას ხევი.



ნოქალაქევი გამოვლენილი ე. წ. „წებელური“ ცულხების შესახებ
და ლომის რაობისათვის

ეგრისის სამეფოს დედაქალაქი — ციხე-კოჯი-არქეპოლისის (თანამედროვე სოფ. ნოქალაქევი სენაკის რ-ში) ყოველთვის მეცნიერთა დიდ ინტერესს იწვევდა. მისი ისტორიის შესწავლას მნიშვნელოვნად შეუწყო ხელი ნოქალაქევის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელ-ლი — აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. პ. ზაქარაია) მიერ ჩატარებულმა გათხრებმა, რომელმაც მდიდარი მასალა მისცა თანამედროვე ისტორიოგრაფიას. ამჯერად, ჩვენ ყურადღებას გავამახვილებთ ორიოდ ნივთზე, რომლებიც ჩვენი აზრით, თავისი დატვირთვით მეტად მნიშვნელოვანია ეგრისის ისტორიის შესწავლისათვის. ესენია დოქები და ე. წ. „წებელური“ ცულები.

უკანასკნელ პერიოდში მნიშვნელოვნად გაძლიერდა ინტერესი იმ არქეოლოგიური მონაბურვის მიმართ, რომელიც გამოვლენილ იქნა თანამედროვე აფხაზეთის ტერიტორიაზე. სამწუხაროდ, აღნიშნულ მასალებზე სხვადასხვა მიზეზების გამო თანამედროვე ქართული ისტორიოგრაფიის წარმომადგენლებს უშუალოდ ხელი არ მიუწვდებოდათ: ამის გამო ზოგიერთ არაკეთილსინდისიან მეცნიერს (ი. ვორონოვი, გ. შამბა, ი. ბლაჟბა და სხვა) მიეცა საშუალება ფართოდ წარმოეჩინათ თავიანთი ფსევდომეცნიერული შეხედულებები. ამჯერად ჩვენ მხოლოდ ერთ კონკრეტულ საკითხს, ე. წ. „წებელური კულტურის“ პრობლემებს შეეხებით.

როგორც საყოველთაოდაა ცნობილი, ლოკალური კულტურების გამოყოფა ცალკეული მახასიათებლების მიხედვით შეუძლებელია. ნებისმიერი კულტურა, რა თქმა უნდა, შესწავლილ უნდა იქნას კომპლექსურად. რა მდგომარეობაა ამ მხრივ ე. წ. „წებელური კულტურის“ დაკავშირებით?

ზემოჩამოთვლილ მეცნიერებს აღნიშნული კულტურის ცალკე წრედ გამო-

ყოფის ერთ-ერთ მნიშვნელოვან საფუძველს აძლევს აქაურ სამაროვანზე გამოვლენილი ცულები და დოქები, რომელთა გარკვეული რაოდენობა კულტურულ ფენებშიცაა დადასტურებული. ზოგადად, გარკვეული ლოკალური ელემენტების არსებობა, ამა თუ იმ ხალხის კულტურულ შემკვიდრობაში გამოირჩეული არაა, მაგრამ ორიოდ დასახელების ნივთით ცალკე კულტურის გამოყოფა, როგორც ამას ზემოჩამოთვლილი ავტორები ცდილობენ, ჩვენ დაუშვებლად მიგვაჩნია. მით უფრო რომ, როგორც დასავლეთ საქართველოს სხვა მკვლევარების მეცნიერული შესწავლა აშკარად მიუთითებს, აღნიშნული ნივთები ეგრისის, დასავლეთ საქართველოს, თითქმის მთელ ტერიტორიაზეა მოფენილი. მათ რიცხვშია ნოქალაქევიც.

„წებელური“ ცულის ნოქალაქევიში აღმოჩენის ფაქტები კიდევ უფრო ხვეწავს და ავსებს ასეთი ტიპის ნივთების აღმოჩენათა ტოპოგრაფიას და ჩვენი აზრით, გარკვეული კორექტივიც შეაქვს მასთან დაკავშირებულ ზოგიერთი საკვანძო საკითხის გარკვევაშიც. როგორც ვ. ჯაფარიძე შენიშნავს — „დასავლეთ საქართველოში ამგვარი ცულების გავრცელების არეალი მნიშვნელოვნად გაფართოვდა. ბოლო ხანის აღმოჩენებიდან ჩვენთვის ცნობილია შემდეგი პუნქტები: ჩხარი, ლეჩხუმი, ზუგდიდის რ-ნი, აჯამეთი, ვანი, ვარდციხე და სხვა“.¹ ამრიგს ნოქალაქევიც შეემატა. აღნიშნული ცული გავრცელებულია აჭარაშიც. იქვე ვ. ჯაფარიძე სამართლიანად მიუთითებს, რომ „აღნიშნული ტიპის ცულები აშკარად ცილდებიან ე. წ. „წებელური“ კულტურის წრეს“.² მისი აღმოჩენის შემთხვევები, როგორც უკვე აღნიშნეთ, იმდენად მრავალრიცხოვანია ადრეუსასაუკუნეებით დათარიღებულ დასავლეთ საქართველოს სხვადასხვა მკვლებიდან, რომ აშკარაა ამ ტიპის ცულების საერ-



თო ეგრისულ მოკლედნად გამოცხადება.

ნოქალაქევის ორივე ე. წ. „წებელდური“ ტიპის ცული IV-VI სს-ის კულტურულ ფენაშია გამოვლენილი. წებელდაში ანალოგიური ცულები სამარხულ კომპლექსებშიც ჩნდება (1977 წელს გათხრილ № 4 სამარხში, რომელიც IV-V სს-ის I ნახევრით თარიღდება).³

„წებელდური“ ცულის ქრონოლოგია სამეცნიერო ლიტერატურაში საკმაოდ კარგად არის განსაზღვრული. ნოქალაქევი გამოვლენილი ნიმუშები მიეკუთვნებიან შედარებით გვიანდელ ვარიანტებს. თვით წებელდაში აღრეული ცულება, რომელთაც სწორი გვერდი და შედარებით დავიწროებული პირის შიდა დაბოლოება აქვთ, IV ს-ით თარიღდებიან (აპიანას სამაროვანი).⁴ რაც შეეხება გვიანდელს, იგი თარიღდება V ს-ის ბოლოთი და VI ს-ით (ატარა არმიანსკაია).⁵ ნოქალაქეური ცულების ქრონოლოგია განისაზღვრება V ს-ის ბოლოს და VI ს-ის დასაწყისით.

რაც შეეხება მათი ნოქალაქევი გამოვლენის ფაქტს, იმდენად ხშირია ასეთი ცულების აღმოჩენა დას. საქართველოს ცენტრალურ რეგიონებში, რომ თავისუფლად შეიძლება ლაპარაკი მათზე, როგორც ადრეშუასაუკუნეების დასავლეთ საქართველოს სამეურნეო ფენომენტზე და ჩვენი აზრით, პირობითად შეიძლება „ეგრისულ“ ცულებადაც იქნენ სახელდებულნი (სხვათა შორის, თვით ი. ვორონოვიც კი აღნიშნულ ცულს მაინცდამაინც ე. წ. „წებელდური კულტურის“ კომპონენტად არ მიიჩნევს, თუმცე შორეულ პარალელებს კვლავ საქართველოს გარეთ — ფრანგულ „ფრანცისკებთან“ ავლებს).

ასევე გვინდა შევხერდეთ დოქის ერთ ნიმუშზე (№ 12-974; 1201). მას ძალიან მოკლე ველი და შედარებით ფართოდ გადაშლილი პირი აქვს. ჩვენ იგი ე. წ. „წებელდური“ დოქის პროტოტიპად მაგვჩანია.⁶ მას ოვალურგანიკვეთიანი, ზემოდან არაპროპორციულად ერთ ადგილას ჩაზნექილი ყური გააჩნია. აღნიშნული დოქის აღმოჩენა ნოქალაქევი კიდევე ერთი ფაქტობრივი მოწმობაა

იმისა, რომ ამ პერიოდში ნოქალაქევისა და წებელდის კულტურის განსაკმაოდ დამორებული პუნქტების არქეოლოგიური მასალის ერთი თვალის გადავლევაც საკმარისია მათი საერთო არქეოლოგიურ კულტურად აღქმისათვის. ეს ამ არქეოლოგიურ ძეგლებიდან მომდინარე მასალის ყველა კომპონენტში იგრძნობა. სხვათაშორის, დას. საქართველოში ძირითადად ერთგვაროვანი არქეოლოგიური კულტურა ძვ. წ. III ათასწლეულის მიწურულიდან ჩანს, რაც ზოგიერთ მეცნიერს ერთგვაროვანი ეთნოსის არსებობას აგარაუდებინებს. მათ შორისაა ი. ვორონოვიც. მხოლოდ იგი ამ კულტურას აფსილებსა და მათ წინაპარ ტომებს უკავშირებს.⁷ ამჯერად ამ თეორიის განხილვა ჩვენი სტატიას ფარგლებს სცილდება. მიუთუმეტეს, რომ იგი საკმაოდ კარგადაა განხილული ე. ჯაფარიძის მიერ.⁸ ჩვენ მხოლოდ ერთს აღვნიშნავთ, რომ ე. წ. „წებელდური“ კულტურა, ჩვენი აზრით, ცალკე არ არსებობს და იგი დას. საქართველოს საერთო კულტურაში ჯდება, რა თქმა უნდა, გარკვეული ლოკალური ელემენტებით, ხოლო რაც შეეხება მისი აფსილებისადმი მიკუთვნებას, ესეც მეტად სადავო საკითხია. თუმცე წებელდაში მოსახლე ხალხი მართლაც რომ აფსილები ყოფილიყვნენ, მათ მიერ შექმნილი და დღეისათვის უკვე არქეოლოგიური გათხრებით გამოვლენილი მატერიალური კულტურის შესწავლა, ადასტურებს მათ საერთო დასავლურ ქართულ (ეგრისულ) წარმომავლობას.

1,2,8. ე. ჯაფარიძე, წებელდური კულტურის ისტორიის ზოგიერთი საკითხისათვის, საქართველოს არქეოლოგიის საკითხები, II, თბ., 1979, გვ. 82, 78-89.

³ Археологические исследования в Цebelъде. Тб. 1983, табл. 95.

⁴, ⁵ Арташаква В. Е. Железообрабатывающее ремесло древней Грузии. Тб., 1976, стр. 131—134, 53.

⁶ Воронов Ю. Н. Бражба О. Х. Материалы по археологии Цebelъди, Т., 1985, таб. 52—3, 35.

⁷ Воронов Ю. Тайна Цebelъдинской долины. М., 1975, стр. 132—137.

მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა მდ. თერგის ხეობიდან

მკ. წ. IV ათასწლეულის მეორე ნახევარში ქვემო ქართლსა და მის მიმდებარე რაიონებში ვალიბდება თავისებური სამიწიამოქმედო კულტურა, რომელიც დღეს მტკვარ-არაქსის კულტურის სახელითაა ცნობილი (I, გვ. 62). შემდგომში ეს კულტურა ფართოდ ვრცელდება როგორც სამხრეთით (აღმოსავლეთ ანატოლია, ურმიისპირეთი, სირია, პალესტინა), ისე ჩრდილოეთით (დაღესტანი, ცენტრალური კავკასიის გარკვეული ოლქები) (I, გვ. 96).


უკანასკნელ ხანებში მთიულეთში, ხევსურეთსა და ფშავეში აღმოჩენილი არქეოლოგიური ძეგლები (2, გვ. 144; 3, გვ. 90) მიუთითებენ, რომ ქართლის ტერიტორიაზე მცხოვრებ მტკვარ-არაქსული კულტურის მატარებელ ტომებს ათვისებული ჰქონდათ არა მარტო აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სამხრეთი ფერდობები, აღბიური საძოვრების ჩათვლით (ვაკისსოფლის მასალები), არამედ კავკასიის მთიანეთის ჩრდილოეთი ფერდობიც (ვიორგინშინდის მასალები (4, გვ. 4).

მდ. თერგის ხეობაზე ოდითვანვე გა-

დიოდა ჩრდილოეთ კავკასია-ამიერკავკასიის დამაკავშირებელი ყველაზე ხელსაყრელი და უმოკლესი გზა. ისტორიული ხევის ტერიტორია უკვე ენეოლითური ხანიდან მჭიდროდ უნდა ყოფილიყო დაკავშირებული ქართლის ბარის რაიონებთან (2, იქვე), თუმცა, საკუთრივ ხევიდან მიმდინარე მასალების უქონლობის გამო, ამ ურთიერთობათა შესახებ ბევრი ვერაფერი ითქმობდა.

მტკვარ-არაქსის კულტურის მატარებელი ტომების მიერ მდ. თერგის ხეობის ათვისებასა და ამ კულტურის ჩრდილოეთ კავკასიაში გავრცელების საკითხთან დაკავშირებით მეტად მნიშვნელოვანია აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის (ხელმ. რ. რამიშვილი) ხევის რაზმის მიერ მდ. თერგის მარცხენა სანაპიროზე, სოფ. ტყარშეტში შემთხვევით მიკვლეული ორი ჭურჭელი. ერთი მათგანი წარმოადგენს მოზრდილ ღერგს. იგი პირგამშლილია. ფართო, დაბალი ყელით. გამობერილი მუცლითა და მკვეთრად დაიწროებული ბრტყელი ძირით. ოვალურგანიკეთიანი ყური მიერთებულია მხრებზე. გამოიწვევარია მოწითალოდ. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი გადანატეხში მუქი. ღერგის ზომებია: სიმაღლე 53 სმ, პირის დიამეტრი 37 სმ, ძირის დიამეტრი 12,5 სმ, კეცის სისქე 1 სმ. (სურ. 1). მეორე ჭურჭელი მინიატურული სასმისია. ოდნავ პირგამშლილი, დაბალყელიანი, მუცელგამობერილი, ფართო ბრტყელი ძირით. ოვალურგანიკეთიანი ყური მიერთებულია ჭურჭლის პირსა და მხარზე. სასმისი შავპირიალა. თიხა მსხვილმარცვლოვანია, კეცი თხელი. ჭურჭლის ზომებია: სიმაღლე 6,5 სმ, პირის დიამეტრი 6 სმ, ძირის დიამეტრი 4,5 სმ. (სურ. 2). საფიქრებელია, რომ ჭურჭელი ეკუთვნოდა სამარხეულ ინვენტარს.

აღნიშნული მასალები ფორმებით ახ-



მტკვარ-არაქსის კულტურის კერამიკა. მდ. თერგის ხეობიდან (სოფ. ტყარშეტი)



ლოს დგანან შატილიდან 5 კმ. დაშორებულ სოფ. ვიორგიწმინდაში გამოვლენილ მტკვარ-არაქსის კრამიკასთან, რომელიც III ათასწლეულის შუა ხანებით თარიღდება (3, გვ. 90). დაახლოებით ამავე პერიოდს უნდა მიეკუთვნოს სოფ. ტყარშეტიდან მომდინარე კრამიკაც.

როგორც ჩანს, აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის სხვა რეგიონებთან ერთად (მთიულეთი, ხევსურეთი, ფშავე) მტკვარ-არაქსის კულტურის ტომები გარკვეულ ეტაპზე ინტენსიურად ითვისებენ ხევის ტერიტორიასაც. სოფ. ტყარშეტის მასალებმა ცხადყო, რომ ჩრდილოეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების სხვადასხვა გზებს შორის ერთ-ერთ მნიშვნელოვან გზას მდ. თერგის ხეობაც წარმოადგენ-

და, ხოლო არაგვისა და თერგის ხეობებში, კერძოდ: ვინეალში (5, გვ. 59), დიდველზე (2, იქვე) და სოფ. ტყარშეტში გამოვლენილმა ძეგლებმა ამ გზის ცალკეული მონაკვეთებიც დაახუსტა.

უფიქრობთ, მომავალი გათხრები მდ. თერგის ხეობაში მნიშვნელოვნად შეუწყობს ხელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში მტკვარ-არაქსის კულტურის გავრცელების პრობლემის კვლევას.

³ P. M. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Г. Ч. Чиковани... Археологическая экспедиция горного региона восточной Грузии. Полевые археологические исследования в 1986 г.; Тб., 1991.

4. რ. რამიშვილი, ხევის ურთიერთობა აღმოსავლეთ საქართველოს მთისა და ბართან აღრეულ შესაღწევებში (გელნაწერი).

⁵ P. M. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, М. Г. Глonti... Работы Жинвальской комплексной археологической экспедиции. Полевые археологические исследования в 1981 году; Тб., 1984.

1. თ. ჭაფარიძე, ქართველ ტომთა ეთნიკური ისტორიის საკითხისათვის, თბ., 1976.

2. ჯ. გვასალია, არაგვის კარი (დარიალანის), კრებული, ძიებანი საქართველოსა და კავკასიის ისტორიიდან, თბ.: 1976.



ბიძინა მურვანიძე, ვაჟა ხაღრაძე


დიდი მსხეთის ტერიტორიაზე აღმოჩენილი ახალი ტიპის სამარხი

სოფელ ნატახტართან მცხეთის მუდმივმოქმედმა არქეოლოგიურმა ექსპედიციამ (ხელმძღვანელი აკადემიკოსი ა. აფაქიძე) მიაკვლია შუაბრინჯაოს ხანის სამაროვანს. სამაროვანზე დადასტურდა ამ რეგიონისათვის აქამდე უცნობი ტიპის სამარხი-ნაგებობა — კატაკომბა. ვაქვეყნებთ ერთ-ერთი მათგანის აღწერილობას:

სამარხი 8 (სურ. 1) კატაკომბა, მოყვითალო ფერის თიხნარშია გამართული, ჩასასვლელი — დროშის წარმოადგენდა ოვალისებური მოყვანილობის ორმოს, რომელიც მიცვალებულის

დაკრძალვის, თუ მის პატივსაცემად გამართული რიტუალის შესრულების შემდეგ, მიწითა და რამდენიმე რივად ჩაწყობილი დიდრონი რივის ქვების ფრთხილთ შეუვსიათ — გაუჭვდათ. დროშის ძირზე 0,8-0,14 მ. ქვემოთ, ჩრდილოეთ ნაწილში გამართული იყო ჰორიზონტალური იატაკის მქონე, წაგრძელებული, ოვალისებური მოყვანილობის დასაკრძალავი კამერა (2,20 X 0,75 X 1,68 მ), რომელსაც მსგავსი კონფიგურაციის თალი მქონდა გამოყვანილი.

სამარხი კენოტაფს წარმოადგენდა. როგორც ჩანს, იგი მიცვალებულის სა-



პატივცემულოდ გაუმართავთ. სამარხში აღმოჩნდა მსხვილფეხა საქონლის მთლიანი ჩონჩხი, რომელიც მარჯვენა გვერდზე დაუსვენებიათ, თავით 0-კენ. ყელის არეში დადასტურდა ოხსიდიანის „დანა“, ანატკეცი. „ზღვარაკთან“ ერთად კამერაში აღმოჩნდა შავბრიალა თიხის 16 ჭურჭელი (1-6) მათთვის დამახასიათებელია: მრგვალი ბაკო, გადაშლილი პირი, კონუსური ყელი, ბიკონუსური ან მხართან მკვეთრად გაფართოებული მუცელი, ვიწრო და ბრტყელი ძირი. თიხის ნაწარმის უმეტესი ნაწილი ტლანქია, ასიმეტრიული, მხარი შემკულია სავარცხლისებრი შტამპით დაჭდული სხვადასხვა გეომეტრიული სახეებითა და რელიეფური სარტყლებით, ზოგიერთი მოზრდილი შავბრიალა, წითელსარწულიანი დერვი ე. წ. „მარგალიტისებური“ რელიეფური კოეპითაა შემკული. აღნიშნული თიხის ჭურ-

ჭლის ფორმები მსგავსია და დამახასიათებელი მესხეთ-ჯავახეთისა და შიდა ქართლის შუაბრინჯაოს ხანის შეგლეპისათვის. (1).

ზემოთ აღწერილი ამ ტიპის ნაგებობა კახეთშია ორ სამაროვანზე დადასტურებული. (2, 3, 4).

ამ კონსტრუქციის სამარხები ცნობილია სომხეთიდანაც. (5).

ამრიგად, ბოლო წლებში ცენტრალურ და სამხრეთ ამიერკავკასიის ტერიტორიაზე თავი იჩინა აღნიშნული ტიპის საკრძაღვე ნაგებობამ, რაც საშუალებას მოგვცემს გაფარკვიოთ კატაკომბური კულტურის წარმომავლობისა თუ მისი გაერცელების დიდმნიშვნელოვანი საკითხები. მით უმეტეს, რომ აღნიშნული საკითხები დღეისათვის სრულად არ არის გაშუქებული. (6).

ნატახტარის სამაროვანზე შესწავლილი კატაკომბური სამარხები მნიშვნელოვნად ავსებენ ჩვენს წარმოდგენას დიდი მცხეთის ტერიტორიაზე ადრე არსებული დასაკრძალავი ნაგებობების კონსტრუქციული თავისებურებების შესახებ შუაბრინჯაოს ხანაში.

1. ო. ჯაფარიძე, ი. კვიციანი და სხვ. მესხეთ-ჯავახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის შედეგების შედეგები. თბილისი 1981.

2. კ. ფიცხელაური და სხვ. კახეთის არქეოლოგიური ექსპედიციის 1969 წლის საველე-არქეოლოგიური შედეგების შედეგები. არქეოლოგიური კვლევა-ძიება საქართველოში, თბილისი, 1970.

3. Ш. Ш. Дедабришвили, работы второго отряда Кахетинской археологической экспедиции. Археологические открытия 1970 г. М., 1971.

4. Ш. Ш. Дедабришвили, Работы Кахетинской экспедиции. Арх. открытия Кахетии. Т., 1959, с. 3.

5. Т. С. Хачатрян. Материальная культура древнего Артика. Ер., 1963.

6. Д. А. Авдусин. Археология СССР.



1971 წელს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ივ. ჯავახიშვილის სახელობის ისტორიის, არქეოლოგიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტმა შექმნა ჟინვალის არქეოლოგიური კომპლექსური ექსპედიცია (ხელმძღვანელი ისტორიულ მეცნიერებათა დოქტორი რ. რამიშვილი), რომელმაც ჰიდროტექნიკური კომპლექსის მშენებლობის ტერიტორიაზე სოფ. ჟინვალთან და მის შემოგარენში დაიწყო ფართო მასშტაბის კვლევამბა¹. გარდა გათხრებისა, მთელი არაგვის ხეობაში ჩატარდა სადაზვერვო მუშაობა, რის შედეგადაც გამოვლინდა მანამდე უცნობი მრავალი არქეოლოგიური თუ ხუროთმოძღვრული ძეგლი. მათა შესწავლა მნიშვნელოვნად ამდიდრებს ჩვენს ცოდნას აღმოსავლეთ საქართველოს მთისწინეთისა და მთიანეთის სულიერი და მატერიალური კულტურის შესახებ და წარმოადგენს მეტად საყურადღებო მასალას მთისა და ბარის ისტორიული ურთიერთობის მრავალასპექტიანი პრობლემის კვლევის საკითხში.

ერთ-ერთი ასეთი ძეგლია ფშავეის არაგვის ხეობის ძველი სოფ. გუდრუხის (დუშეთის რაიონი) თავზე, კონცხისებური ტყიანი მთის დაუკუბაზე, ე. წ. ადგილის დედაზე მდებარე ღვთისმშობლის ეკლესია². მის გარშემო ტერასულად განლაგებულია დიდი ნასოფლარი.

1981 წელს ჟინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის გუდრუხის რაზმმა (კ. წერეთელი) აწარმოა ეკლესიის გათხრა-ვახუფთავება³. 1986 წელს აღმოსავლეთ საქართველოს მთიანეთის არქეოლოგიური ექსპედიციის გურდუხის რაზმმა (ბ. ჯორბენამე), კაკახიის საუღელტეხილო რკინიგზის მშენებლობასთან დაკავშირებით, განაახლა არქეოლოგიური კვლევა-ძიება გუდრუხის მიდამოებში⁴. გაგრძელდა ეკლესიის და მიმდებარე

ტერიტორიის არქეოლოგიური შესწავლა⁵.

ეკლესიის ეზოში გაითხარა 23 ქვის სამარხი, რომლებიც ინვენტარით (მინის სამაჯურები, მძივები; ბრინჯაოს სამაჯურები, ბეჭდები, ჯვარი; რკინის სამაჯური და სხვა) თარიღდება XII-XIII სს. გარდა ამისა, ეკლესიის აღმოსავლეთით გაიწმინდა განვითარებული შუა საუკუნეების ნასოფლარის ორი ნათავი, აგებული კლდის დიდი ქვებით⁶.

სამხრეთი მინაშენის მქონე გუდრუხის ერთნაიან ეკლესიას ზღუდავს ვალავანი, რომელიც სამხრეთ-დასავლეთით კუთხეს კრავს, ხოლო ვალავანის დანარჩენი მონაკვეთი გლევი მოხაზულობისაა. ვალავანი ნაგებია ორპირი წყობით შუაში ყორე ქვით. გამოყენებულია სხვადასხვა ზომის ქვები, მათ შორის მსხვილი. წყობა დაკავშირებულია მტკიცე დუღაბით. ვალავანი შემორჩენილია სხვადასხვა სიმაღლეზე (1-1,8 მ), ხოლო სიგანე — 0,75-1 მ. ვალავანში ნათხალწარმოხლიანი კარი გაჭრილია სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში (სიგანე — 1,1 მ).

ძველის გაწმენდის და ეზოს გათხრისას გაირკვა, რომ ეკლესიის გარდა სხვა (ნაგებობა იქ იმთავითვე) არ არსებობდა.

ეკლესიის მინაშენის კედლები ორგანულად არაა დაკავშირებული. მათ წყობის ხასიათს შორის არსებითი სხვაობაა. თუ ნატეხი კლდის ქვით ნაგები ეკლესიის კედლების წყობის მწკრივები მეტ-ნაკლებად მოწესრიგებულია, მინაშენის საპერანგე წყობაში გამოყენებულია განსხვავებული ზომის ქვები. ეკ-

¹ ეკლესია აზომა ო. კალანდარიშვილმა, საველე ფოტო გადაღება შესრულა ბ. ჯორბენამე, ხოლო კამერალური — ვ. ასტაშოვა და ს. რუნიხინმა. ძეგლის შესწავლაში კონსულტაცია გაეწეოა ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატმა გ. აბრამიშვილმა.

ლესიის და მინაშენის კედლები დულაბ-ზეა ნაგები.

ეკლესიის ჩრდილოეთი კედლის გარეთ თხრისას გაირკვა, რომ ის აგებულია აღმოსავლეთიდან დასავლეთით დაქანებულ ნაშალ კლდოვან მასივზე, რის გამოც დასავლეთ მხრიდან ეკლესიის და მინაშენის კედლების გაყოფებით მოწყობილია ზეპირკველი.

ღარბაზული ეკლესია, ვეგმით წაგრძელებული სწორკუთხედა, რომელიც ოღნავე დეფორმირებულია. აღმოსავლეთით ჩაწერილია, ნახევარწრიული აბრისის, კედლებში ოღნავე მომრგვალებულსა საკურთხეველის აბსიდი. აღმოსავლეთი კედლის ცენტრში გაჭრილია შირიმის თაღგადაყვანილი სარკმელი, რომელიც შიგნით მნიშვნელოვნად განიერდება და ხუთი საფეხურითაა გაწყობილი. სარკმლის ვიწრო საფასადო მხარე მოკვიანებით წერილი ქვით ამოუშენებიათ.


სარკმლის ღერძზე, კედლებზე მიშენებული სწორკუთხა ფორმის ტრაპეზის ნაშთია შემორჩენილი. საკურთხეველის სარკმლის სამხრეთით, აბსიდის კედელში სწორკუთხა ნიშია დატანებული (სიგანე — 0,27 მ., სიმაღლე — 0,3 მ., სიღრმე — 0,29 მ.). ჩრდილოეთ ნიშს, ნატეხი კლდის მომცრო ქვებით შემდგარი ორფერდა, ისრული გადახურვა აქვს (სიგანე — 0,26 მ., სიმაღლე — 0,39 მ., სიღრმე — 0,25 მ.). ჩრდილოეთი ნიშის კარი 2—2.

ზემოთ ფასადებისაგან განსხვავებულ ინტერიერის კედლების ირგვლივ ხასიათის წყობაში ერთგვარი დისონანსი შეაქვს ე. წ. „თეუზიფურად“ გამოყვანილ წყობის მეორე ფრაგმენტს.

ეკლესიის ინტერიერში შემორჩენილ ფრაგმენტებზე დაყრდნობით ირკვევა, რომ სატრიუმფო თალი შირიმის კვადრებით იქნებოდა გადაყვანილი. აბსიდის კუთხეები ძველის აბსოლუტურ ზომებთან შედარებით ვანიერია და უდრის 0,25 მეტრს.

საკურთხეველის აბსიდის სამხრეთ კუთხეში კონქის თაღის ქუსლის საბჯენ პროფილირებული კაპიტელი გამოიყოფა. კაპიტელი შირიმის მასიურ კვადრშია გამოკვეთილი და წარმოადგენს მარტივი ფორმის, ცერად წაკვეთილ თაღს, ქვედა ნაწილში წრის საძი შეითხედი განიკვეთის თარაზული ლილვით.

საკურთხეველის არდაბაგი მნიშვნელოვნადაა შემაღლებული (0,5 მ), რომლის



ეკლესიის ინტერიერი. ზედი ჩრდილოეთიდან.

გულრუბის ეკლესიის მინაშენისა და ვალაუნის გეგმა.



წინაც მიშენებულია აღსავლის კიბის საფეხური და ნატეხი კლდის ქვით ნაგები ჯვრის აღსამართავი ბაზისის ძლიერ დაზიანებული ნაშთი.

გამოვლინდა კარხსნარის იატაკი, რომელიც საგანგებოდ მოსწორებულ კედლივან ფენაზეა გაპართული.

ეკლესიის დარბაზის გრძივი კედლებიდან გამოიყოფა ერთსაფეხურიანი პილასტრების წყვილი, რომელთაც როგორც ადგილზე გამოვლენილი სამშენებლო მასალა ცხადყოფს, შირიმის კვადრებით გადაყვანილი კამარის საბჯენი თალი ვერდნობოდა*. ეს თალი თავის მხრივ, დაფუძნებული ყოფილა პილასტრებში ჩართულ იმპოსტებზე. თხრისას ნახვრევებში, სამხრეთი პილასტრის ძირობაზე, მიკვლეულ იქნა ზუსტად პილასტრის სივანის ნახევარწრიული განიკვეთის სამი ღიღვით დეკორირებული იმპოსტი.

სამხრეთი პილასტრის აღმოსავლეთით, კედელში გაჭრილი ყოფილა შიგნით გაგანიერებული სარკმელი, რომლის მხოლოდ შირიმით გამოყვანილი წირთხლის ძირის ფრაგმენტებიღა შემორჩენილი.

სამხრეთი კედლის დასავლეთ ნაწილში გაჭრილი კარი ინტერიერისა და ფასადის შხარეს კარგად მორგებული შირიმის კვადრებით შემდგარი თაღებით არის გადაყვანილი. თაღის ნახევარწრეს ავსებს ქვიშაქვის ტიპიანი. სადა წირთხლიანი კარის ზღურბლი, ეკლესიის იატაკიდან 0,25 მ, ხოლო მინაშენის მხრიდან 0,4 მეტრზეა ამაღლებული.

ჩრდილოეთი კედლის მნიშვნელოვანია ნაწილი განადგურებულია, ხოლო იქ, სადაც ეკლესიის ჩრდილო-დასავლეთი

კუთხე უნდა იკვრებოდეს, სამარკვლამდეა დაქცეული.

ეკლესიის სამხრეთი მინაშენის გვერდისა და გვირგვინის გაირკვა, რომ გვეგმაში ის წაგრძელებული სწორკუთხეა, დასავლეთით მხრიდან კართ, აღმოსავლეთის კედლის ცენტრში კი სწორკუთხა ფორმის, შიგნით მკვეთრად გაგანიერებული სარკმლით და კედლების გასწვრივ მაღალი და საკმაოდ განიერი ხარისხით. სამხრეთი მინაშენი 0,3 მეტრით დაცილებულია ეკლესიის კორპუსს და წყობით ორგანულად არ უკავშირდება მას. ამ მიზეზით კამარის საბჯენად ჩრდილოეთ მხრიდან გამოყენებულია მასიურ პილასტრებზე გადაყვანილი ორთაღების კონსტრუქცია. დასავლეთი თალი განადგურებულია, მაგრამ გადარჩენილის გათვალისწინებით, შესაძლებელია მისი თავდაპირველი ფორმისა და პროპორციების რეკონსტრუქცია. ირკვევა, რომ დასავლეთი თაღის მალის კეხი ეკლესიის სამხრეთი კარის ტიპანს ნახევრამდე ფარავდა. მინაშენის თაღები ამჟამად სამხრეთითაა გადახრილი, რაც იძლევა კედლის შიდაპირზე დაკვირვების საშუალებას. აქ თაღის კეხში, წყობაში ჩაშენებულია დიდი ზომის ცალფურა ხელადა ვერტიკალურ მდგომარეობაში. მსგავსი ხელადის თუ კოცის ყელი, ამოესებული დუღაბით, გამოვლინდა ეკლესიის სამხრეთ შესასვლელთან. როგორც ჩანს, ის დასავლეთი თაღის კეხში იქნებოდა ჩაშენებული. ამ ხელადების თაღებში ჩართვა უთუოდ კონსტრუქციული მიზნებით იყო ნაკარნახევი და ემსახურებოდა საკმაოდ მასიური თაღების განტვირთვა-შემსუბუქებას.

უნდა აღინიშნოს, რომ არქიტექტურაში კერამიკული ტურჭლის კონსტრუქციული დანიშნულებით გამოყენებას საკმაოდ ხანგრძლივი ტრადიცია გააჩნია. მაგ. იტალიის ქ. რავენის სან-ვიტალეს ადრეშუასაუკუნეების ტაძრის გუმბათი ერთმანეთში ჩადგმული მოგრძო ფორმის თხის ტურჭლითაა გადაყვანილი.:

* საგანგებო აღნიშვნის ღირსია განათხარ მასალაში გამოვლენილი შირიმის ერთი კვადრი, რომელშიც ბოლოწამბვილებული რკინის კაუჭი იყო ჩარჭობილი. ასეთი კაუჭი კედელ ორი აღმოჩნდა, რაც არ გამორიცხავს კამარისა თუ საბჯენი თაღის კვადრების ლითონის სამაგრებით დაყავშირებას.

გუდრუხის ეკლესიის გაწმენდის დროს კრამიტი არ გამოვლენილა, რაც გვაფიქრებინებს, რომ ვადახურვაში ფიქალი ქვა ყოფილა გამოყენებული.

ეკლესია მინაშენითურთ მთლიანად მობათქაშებული უნდა ყოფილიყო როგორც ინტერიერში, ასევე ფასადებზეც, რომლის ვარაუდს იძლევიან შელესილობის მცირეოდენი ფრაგმენტები.

ეკლესიის გარე სიგრძე — 6,9 მ, სიგანე — 4,15 მ (დასავლეთ კედელთან). ეკლესიის დარბაზის სიგრძე — 4,05 მ, სიგანე — 2,76 მ. (შუაში). აბსიდის სიღრმე — 1,25 მ, სიგანე — 2,31 მ, მინაშენის შიდა სიგრძე 5,35 მ, სიგანე — 2,5 მ (შუაში).

ერთნავეანი ეკლესიების დათარიღება, ამ ხუროთმოძღვრული თემის სიმარტივის მიზეზით, გარკვეულ სირთულეს აწვდის, მით უმეტეს თუ ძეგლი დეკორატიულ შემკულობას სრულიად მოკლებულია. მიუხედავად ამისა, ამ ტიპის ეკლესიების გენეზისის, გავრცელების დიაპაზონის და ქრონოლოგიის საკითხები სამეცნიერო ლიტერატურაში საკმარისი სიღრმითაა გაანალიზებული.

გუდრუხის ეკლესიის აბსიდის და დარბაზის სიგრძეთა შეფარდება უდრის 1:3, რაც მას X ს. II ნახევრის და XI ს დასაწყისის ძეგლების სიაში აყენებს (შუბიაკი, ზცისი) და რითაც განსხვავდება ადრე შუახაუკუნეების ეკლესიებისაგან, სადაც აბსიდი შიდა სივრცის მნიშვნელოვან ფართობს იკავებს. მაგ. VI ს აკანების ეკლესიაში ეს შეფარდება ასე გამოიყურება 1:2,6; VI-VII სს ძველ ოლთისში 1:2,7. ანალოგიური ვითარებაა მოგვიანო ხანის ძეგლებში. მაგ. გუდარეხში (1231-1237 წწ.) — 1:2,6; მაღალანთ ეკლესიაში (XII ს. დასასრული) — 1:2,6; მერიაში (XII-XIII სს) — 1:2.

დამახასიათებელ ქრონოლოგიურ ნიშანს წარმოადგენს ნაეის სივანისა და სიმალის შეფარდება, რომელიც გუდრუხში ტოლია 1:1,6. მსგავსი გაწონასწორებული, მშვიდი პროპორციები შე-

დარებით ადრეული ეკლესიების ნიშანთვისებაა. მაგ. VIII-IX სს, — ზვილიშა და ალანძა, IX-X სს. უბისი, ერედვი და ფია — 1:1,7.

ამრიგად, გვემის კონცეფცია გუდრუხის ეკლესიას X-XI სს ძეგლთა რიგში აყენებს. შიდა სივრცის სივანისა და სიმალის შეფარდებით იგი უფრო ადრეული, VIII-IX და X სს ეკლესიებს ემხრობა. X საუკუნეში, როდესაც ინტერიერის მხატვრული გააზრებისას აქცენტი გადატანილი იყო პილასტრების მკვეთრი ფორმებითა და განსხვავებული მალეების თაღებით, კედლის დანაწევრებაზე,⁷ ვხვდებით ისეთ ძეგლებსაც, სადაც კედლების სადა სიბრტყებიდან მხოლოდ პილასტრები გამოიყოფა, რისი მაგალითიც არის კომარეთის ძეგლები.⁸

გუდრუხის ეკლესიის დათარიღებისათვის განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება ფშავის არაგვის ხეობაშივე არსებულ კართანას ეკლესიას.⁹ მათ მკვეთრად გამოკვეთილი ანალოგიური ნიშნები აკავშირებს. კერძოდ, იდენტურია ისეთი დეკორატიულ-კონსტრუქციული ელემენტები, როგორცაა აბსიდის კუთხის კაპიტელები და კამარის საბჯენი თაღის ლილვებიანი იმპოსტები, აგრეთვე აბსიდის ჩრდილოეთი ნიშის „ორფერდა“ გადახურვა.

ამრიგად, მიუხედავად იმისა, რომ გუდრუხის ეკლესია კართანასთან განსხვავებით შიდა სივრცის გადაწყვეტის სიმარტივით გამოირჩევა და არაგვის ხეობის ქრისტიანულ ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი რიგითი ნაგებობაა, გვემის კომპოზიციით იგი მჭიდროდ უკავშირდება კართანას. ეს ქმნის იმის საფუძველს, რომ გუდრუხის დეთისმშობლის ეკლესიის მშენებლობის ხანად X ს მეორე ნახევარი განისაზღვროს. თუ გავითვალისწინებთ ორივე ძეგლის კაპიტელებისა და კამარის საბჯენი თაღების იმპოსტების იდენტურობას, არც ისაა გამორიცხული, რომ ეს ეკლესიები ერთ ხუროთმოძღვარს აეკო.

რაც შეეხება სამხრეთ მინაშენს, წყო-

ბის განსხვავებული ხასიათის ვათვალისწინებით, აგრეთვე იმაზე დაყრდნობით, რომ დასავლეთი თალი ეკლესიის შესახველელის ზედა ნაწილს ფარავდა, დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ მინაშენი ეკლესიის გვიანი დანამატია. ის უნდა მიეშენებიათ XII-XIII სს, როცა ეკლესიის გარშემო განიდა სამაროვანი. მინაშენის შიგნითაც საყარაუდოა საგვარეულო აკლდამის არსებობა.

ეკლესიის ტერიტორია უნდა შემოზღუდულიყო ალბათ XIV ს-ში, რაზედაც მიგვანიშნებს განვითარებული შუა საუკუნეების რამოდენიმე სამარბი ნაწილობრივ მოხვედრილი გალავნის ქვეშ.

ღვთისმშობლის ეკლესიის გალავანზე გარედან, ჩრდილოეთ მხრიდან მოწყობილია გვიანდელი სალოცავი ნიში, სადაც ადგილობრივი მოსახლეობა ახრულებს რელიგიურ წეს-ჩვეულებას. ეს იმის მაჩვენებელია, რომ ეკლესიას დაკარგული ქქონია თავდაპირველი ფუნქცია.

გუდრუხის ეკლესია ინტერესს იწვევს

1. რ. რამიშვილი, ლ. წითლანაძე, ბ. ჭორბენაძე და სხვ., ქინვალის არქეოლოგიური ექსპედიციის 1971 წლის მუშაობის წინაწილი შედეგები. არქეოლოგიური ეკლავა-ძიება საქართველოში 1971 წელს. თბ., 1972, გვ. 43—50.

2. კ. წერეთელი, ფშავ-ზევსურეთის ადრეულ შუა საუკუნეთა ხელომოდერული ძეგლები. — ქინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1980 (1981), გვ. 74—75.

3. P. M. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, М. Г. Глonti и др. Работы Жинвальской комплексной археологической экспедиции. — Полевые археологические исследования в 1981 году. Тб., 1984, с. 67.

4. P. M. Рамишвили, Г. К. Гогочури, В. А. Джорбенадзе и др., Исследования в горных районах восточной Грузии. — Археологические открытия 1986 года. М., 1988, с. 447—448.

5. P. M. Рамишвили, В. А. Джорбенадзе, Г. Ч. Чиковани и др., Археологическая экспедиция горного региона Восточной Грузии. — Полевые археологические исследования в 1986 году. Тб., 1991, с. 94.

იმ თვალსაზრისით, რომ გარკვეულწილად შუქს ფენს ფშავის არქეოლოგიური ძეგლების ქრისტიანული ხელომოდერული ბის ნაკლებად შესწავლილ საკითხებს. არქეოლოგიური ეკლავა-ძიებით პრაქტიკულად დასაბუთდა აკად. გ. ჩუბინაშვილის ვარაუდი ისტორიული კახეთის მითან პერიფერიაში ქართული ხელომოდერების ახალი ძეგლების გამოვლენის თაობაზე.¹⁰

უკანასკნელ წლების არქეოლოგიურმა გათხრებმა დაგვანახა, რომ ბრინჯაოს ხანიდან ბარული კულტურა ღრმად ვლინდა შეჭრილი არაგვის ხეობაში და ეს პროცესი არ შეწყვეტილა შუა საუკუნეებშიც.¹¹

ამის ერთ-ერთი დადასტურებაა ხოფგუდრუხის ღვთისმშობლის ეკლესია, რომელიც წარმოადგენს მეტად საყარადლებო ძეგლს და ესაჭიროება კონსერვაცია, რათა დავიცვათ ის შემდგომი ნგრევისაგან.

10. О Шуази. История архитектуры, т. I, М., 1907, с. 13—14.

7. რ. მეფისაშვილი, ვრედის 906 წლის ხელომოდერული ძეგლი. ქართული ხელომოდერება, ტ. 4, თბ., 1955, გვ. 122.

8. ლ. რაჭულიშვილი, თრიალეთის საერისთოსო X საუკუნის ერთი ძეგლი. — ქართული ხელომოდერება, ტ. 6A, თბ., 1963, გვ. 168.

9. კ. წერეთელი, ფშავ-ზევსურეთის ადრეულ შუასაუკუნეთა ხელომოდერული ძეგლები... გვ. 76. შემდგომი ეკლავა-ძიებისას კართანის ეკლესიის დათარიღება შეიცვალა, იხ. K. B. Церетели. Значение христианских памятников ущелья Пшавис Арагии во взаимоотношении равнинных и горных областей. — Душетская научная конференция посвященная проблеме взаимоотношении между горными и равнинными регионами (аннотация). Тб., 1984, с. 53.

10. Г. Н. Чубинашвили. Архитектура Кавказа, Тб., 1959, с. 3.

11. რ. რამიშვილი, მთისა და ბარის ურთიერთობის ზოგიერთი საკითხი არაგვის ხეობის ახალი არქეოლოგიური მასალების მიხედვით, — ქინვალის ექსპედიცია (მეორე სამეცნიერო სესიის მასალები), თბ., 1980, გვ. 103—112.



საქართველოს საკარმიდამო ნაგებობებს შორის იმერულ ხის ჭიშკარს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს. არსებული წყაროებით დასტურდება, რომ მისი ფუნქციონირება შორეული წარსულიდან მოდის და იმერეთის სამეურნეო ნაგებობათა ყოფაში დღესაც დაცულია.

აკად. ივ. ჯავახიშვილი ეხება რა ქალაქის ნაგებობათა სახეებს, აღნიშნავს, რომ ჭიშკარი წარმომდგარია ბჭის კარიბთან. ბჭე დიდ კარს ნიშნავს, შემდეგში რომ ალაყაფის კარი ეწოდა.¹ ე. ი. ჭიშკარი როგორც ნაგებობით, ასევე თავისი დანიშნულებით კარიდან არის წარმომდგარი. ქალაქს ჰქონია კარები — დიდი და ცოტა. დიდი კარი დიდი მოძრაობისათვის იყო განკუთვნილი, ცოტა კარი კი ჩვეულებრივ მოსიარულეთათვის.

მოსაღამოვებოდა თუ არა ორივე კარს კვტაუნენ და ხანამ ცისკარი არ დაიწყებოდა, კარების გაღება აკრძალული იყო. წელიწადში მხოლოდ ერთხელ — აღდგომის დამეს არ იკვებოდა ქალაქის კარი.

ივ. ჯავახიშვილის ზემოხსენებულ წიგნში, კვითხულობთ, რომ დიდი და ცოტა კარის მაგიერ შემდეგში ტერმინი — ბჭის კარი ჩნდება. სწორედ აქედანაა წარმომდგარი ჭიშკარი. ბჭე და ბჭენი ძველ ქართულში თავისთავად ნიშნავდა კარს და კარებს, მაგ., ძველ ქართულში გავრცელებული იყო გამოხატულება — „ბჭენი ჯოჯოხეთისანი“, ე. ი. ჯოჯოხეთის კარები. ბჭის კარსა და ჭიშკარს უმთავრესად დიდი კარის მნიშვნელობა ჰქონდა.²

ნათქვამიდან ცხადი ზდება, რომ ქალაქის ზღუდეს კარები ჰქონია, უმიხოდ მისი წარმოდგენა შეუძლებელია. ქალაქის კარნი მრავალ წყაროშია მოხსენებული („კარნი ქალაქისანი“ „განძის კარი“), (განძის კარი, როგორც

ვაცით დღესაც დაცულია გელათში), „თბილისის კარი“, „მოგვთა კარი“ და სხვ.).

დიდი და ცოტა კარი ჰქონია მონასტერსაც. მაგ., ვაჰანის მონასტრის განკვებაში ნათქვამია, რომ დიდმარხვის დღეს დიდი კარები ზღუდისა ნუ გაიღებო, თუ რომ მეფე არ მობრძანდეს ან დიდებული, თუ მეფე მოვიდოდა ეს დიდი კარი უნდა გაეღოთ, თუ არა „ცოტა კარი“. ცოტა კარი პატარა კარს ნიშნავს. ასეთი კარი ახლაც არის დაცული გელათის მონასტერში.

მოგვიანებით, დიდი და ცოტა კარის მაგიერ ჩნდება ტერმინი — „ბჭისკარი“, აქედანაა დამკვიდრებული ჭიშკარი. ბჭე და ბჭენი ძველ ქართულში თავისთავად ნიშნავდა კარს და კარებს. მაგრამ ბჭისკარი ჰქონია ძველ საქართველოში არა მარტო ქალაქისა და მონასტრის ზღუდეებს, არამედ გალაუნიათს თუ ეზოში-მოდობად სახლსაც, რომლის ანარქიულსაც დასაუღეთ საქართველოში დღევანდლამდე დაცული ტერმინი ჭიშკარი წარმოადგენს. XVIII ს-ის ქართულ ძეგლებში ასეთივე, ეზოში შემავალი კარების აღსანიშნავად, აღმოსავლეთ საქართველოში ალაყაფის კარი გვხვდება³ (ეს უკანასკნელი არაბულიდან მომდინარეობს, რომელიც საპატიო შესავალ კარს უნდა ნიშნავდეს).

თუ როგორი ნაგებობა უნდა ყოფილიყო ჭიშკარი, საყურადღებო ცნობა აქვს მოტანილი თ. ჟორდანიას თავისი ქრონიკების მეორე წიგნში⁴, კერძოდ „შექმენ ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანი“-ო. როგორც აღვნიშნეთ, ჭიშკარი ბჭის კარიბთან არის წარმომდგარი. ბჭე დიდ კარს ნიშნავს, აღმოსავლეთ საქართველოში ალაყაფის კარი, რომ ეწოდება. მასასადამე, ჭიშკარი საკმაოდ მკვიდრი ნაგებობა უნდა ყოფილიყო. იმდენად, რომ როგორც ივ. ჯავახიშვილი აღნიშნავს, — ალაყაფის კარზე მე-17-18 საუკუნე-

იმერული ჭიშკარი.



ებში შეიძლება სასახლეს მოთავსებულიყო. ე. ი. შეეკმენ ჭიშკარი ბოსელ-ქორედიანი“ — ნიშნავს იმას, რომ ბოსელი უეჭველად ქვედა სართულში უნდა ყოფილიყო, ქორედი კი მეორე სართულში. ქორედი აქ ისეთი ნაგებობაა, რომელიც ზაფხულში დროის გასატარებლად იყო განკუთვნილი. როგორც ჩანს, ქორედიანი ჭიშკარი რთული ნაგებობაა რომელსაც მეორე სართულიც ჰქონია. ასეთი ნაგებობის აშენება გარკვეულ სიძნელესთან იყო დაკავშირებული და ამიტომ მისი განხორციელება მოუფიქრებლად არ მოხერხდებოდა. თ. ჟორდანიას (თავის ქრონიკებში სხვა ადგილზე) კვლავ მოაქვს ცნობა „დაედგი ჭიშკარი ზემოქვემო“, აქაც შენობა ორსართულიანია.⁵

ამგვარად, ჭიშკარი ანუ ალაყაფის კარი ძველად ისეთი რთული ნაგებობა ყოფილა, სადაც სასახლეს შეიძლება მოთავსებულიყო.

ჩვენი აზრით, დასავლეთ საქართველოში ქორედიანი ჭიშკარიდან უნდა დასრულებულად ხათავეს ე. წ. სახურავიანი მოჩარდახული ჭიშკარი, რომელიც იმერეთში იყო გავრცელებული. იგი ერთდროულად ასრულებდა მოსაცდელისა და საჩრდილობლის მოვალეობას. უფრო გვიან კი, როგორც ჩანს, იგი ჭიშკარის ძირითად ნაწილს იცავდა წვი-

მისაგან და ამასთანავე ნაგებობის დეკორატიულ დანიშნულებასაც ასრულებდა. ყოველ შემთხვევაში ეს არის უკანასკნელი ნაშთი ქორედიანი ჭიშკარისა. იმერულ ჭიშკარს გვერდით ჰქონდა პატარა კარი, რომელსაც საქვეითო ჭიშკარს, ანუ კუნტ კარს უწოდებდნენ. ზოგიერთი მას კუნტ ჭიშკარსაც ეძახის იმერეთში. თავისი დანიშნულებით ჭიშკარი ანუ დიდი კარი იმერეთში მრავალრიცხოვან მგზავრთათვის, ტრანსპორტის მოძრაობისათვის, ან განსაკუთრებით პატივსაცემი სტუმრის მიღებისას იღებოდა, ხოლო კუნტი კარი ჩვეულებრივ მოსიარულეთათვის იყო განკუთვნილი. როგორც მთხრობელები გადმოგვცემენ იმერეთში ეზოში შესასვლელი ჭიშკარი ძველად ხისგან კეთდებოდა. XIX საუკუნიდან იყენებენ ქვასა და რკინას.⁶

ხის ჭიშკარის აგებულებისა და მისი დამზადების ტექნოლოგიური პროცესის შესახებ საფურადღებო ცნობებს გვაწვდიან მთხრობელები.

სამტრედიის რაიონის სოფ. კულაშის მცხოვრები ილია შენგელიას (1935 წ.) გადმოცემით — „ჩვენ ჭიშკარს ეზოს კარს უწოდებთ. ჭიშკარის ასაშენებლად ეხმარობთ წაბლს, ეკალის ზეს, კობიტს, ვეკლას (აღმათ თუთის ზეს). ჯერ ზეს დაეხერხავ, შემდეგ გადავხაზავ, შემდეგ



დაებურდავ, და ვტოხავ შიპს დაუჭრი და შევეკრავ ჭიშკარს.⁷

ჭიშკრის ლელოები (ბოძები) თავში მოჭრელებულია. დამზადებულია ლამფები, რომლებსაც თავები ასევე გამოყვანილი აქვს რომბისებრი ფიგურით. ბოძებზე ზევით და ქვევით ჩაჯენილია გამირები, რომლებზედაც მოეჭირება დამცები. გამირების შეჭედვის შემდეგ დელო ბოძზე დაკიდებულია ჭიშკარი. დელო ბოძის თავი დახიტნულით არის მოჭრელებული. ჭიშკარი დაყრდნობილია ნერჩზე. ნერჩი ჭიშკარს მიწისაგან აცილებს. დამცა დამაგრებულია, როგორც ვთქვით, ზემო და ქვემო გამირებზე, რომლის ბოლო ნაწილები შეერთებულია „შიპით“. დამცა გამირებზე მარჯვლით არის დამაგრებული. ჭიშკარს უკვეთებთ ორ ჯვარედულ გამირს, რომ სიმაგრე ჭქონდეს კარებს. დამცებს, თადებს სილამაზისათვის უკვეთებთ. ჭიშკარი ეზოს გარეთ რომ არ იღებოდეს, შუაში უსობთ პალოს. ჭიშკრის თელებში გადაებულია ურდული დასაკიდებლად. ჭიშკარს ვვერდით აქვს პატარა კარები. „კუნტი“ კარის დასაკიდებლად ეკვეთებთ პატარა ხის კოჭას“.

როგორც აღნიშნეთ იმერეთში ჭიშკარს სახურავს უკეთებდნენ, რომელსაც ჩვენ ქორედს უკავშირებთ, სამტრედიის რაიონის სოფ. ეწერის მცხ. ვ. ქუთათელაძე აღნიშნავდა: „ფიცრული ჭიშკრისათვის ჯერ წაბლის სვეტებს ჩაეხსობთ, მერმე წაბლს ქუდს ჩამოეანცობთ, სვეტებს თავში წაბლის სათავეს გაუშქმთებთ, სათავეზე ორ სახელურს გაუმართავთ, ყვრით ან კრამიტით. მეორე სვეტებს შიგნით ფიცრულ ჭიშკარს დაეკიდებთ“.

იმერეთში ეზო კარს ზოგი „ხადულს“ უწოდებს, ზოგი „ალაგვს“. ალაგვს უწოდებენ ღობეზე გადასაბიჯსაც, რომელიც შეიძლება ყოფილიყო ცალკე ჭიშკრისაგან დამოუკიდებლად სხვა ადგილზე, ეზოს ერთი ნაწილიდან მეორეში გადასასვლელად. იგი შეიძლება და ჭიშკრის ნაგებობაშიც ყოფილიყო ჩარ-

თული. კეთდებოდა უმთავრესად კუნტი კარის ქვედა ნაწილში, გადასაბიჯებზე ახეთი კუნტი კარი გვხვდება მაღალ ხშირად. იმერეთში მას „ჩერული“ ჭიშკარი ეწოდება. აქ ექვსი ფიცარი დელოზე შეერთებულია მარჯვლით. ეს ფიცრები დამაგრებულია ჯვარედული გამირით. გასაღებ დელოსთან დასობილია ბოძი, მეორე მხარე კი დაკიდებულია დედაბოძზე, რომელიც დამაგრებულია რგოლით. „ჩერული“ ჭიშკრის კუნტი კარს ეკვეთებული აქვს ალაგვ ანუ საბიჯი (ქვედა ნაწილში):

იმერეთში გვხვდება აგრეთვე „ფალავანგის“ ჭიშკარი, რომელიც შენდება წაბლის მასალით: „ჯერ გაეკვეთებთ წაბლის სვეტებს და მერმედ სვეტებზე დაეანცობთ წაბლის ქუსლს, მერმედ აეკვებთ სვეტებსა და ქუსლს, შიგნით ჭიშკარს ჩამოეკიდებთ, რაზებს გაუკვეთებთ და აკვიდებთ ჭიშკარს“.

იმერული ხის ჭიშკრის შესახებ ხალხში არსებული ცოდნა და მისი გონივრული კონსტრუქციული წყობა, რის შესახებაც მთხრობელები ხაინტერესო ცნობებს გვაწვდიან, იმაზე მიუთითებს, რომ ჩვენი წინაპრები მის გამართვას განსაკუთრებული ყურადღებით ეკიდებოდნენ. ყოველ შემთხვევაში ჩანს, რომ ქართველი კაცი, რომელშიც იშვიათი სტუმართმოყვარეობით გამოირჩეოდა, ჭიშკარს დიდი გულმოდგინებით აკეთებდა. ის უნდა ყოფილიყო განსხვავებული კარ-მიდამოს მფლობელის შეძლების, გამოყენებისა და სტუმართმოყვარეობისა.

1. ივ. ჯავახიშვილი, მასალები ქართველი ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის, მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში, თბ., 1946. გვ. 60.
2. იქვე, გვ. 49.
3. იქვე, გვ. 50.
4. თ. ყორღანია, ქრონიკები, წიგნი II.
5. იქვე, გვ. 26.
6. კ. კახიანი, გლეხის კარ-მიდამო იმერეთში, თბ., გვ. 298-301.
7. ივ. ჯავახიშვილი, დასახ. ნაშრ. გვ. 60.



ქართველი ხალხის მიერ საუკუნეების მანძილზე შექმნილ მდიდარ კულტურულ მემკვიდრეობაში, მუსიკალურ შემოქმედებას მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

მართალია საკრავიერი მუსიკა ხშირ-თან შედარებით უფრო გვიანდელია, მაგრამ ხაზი უნდა გაესვას მათ პარმონიულ თანაარსებობას. „ხშიერი მუსიკა სტიმულს აძლევს საკრავიერის განვითარებას, მაგრამ საკრავიც თავის მხრივ, გარკვეულ გავლენას ახდენს ხშიერ მუსიკაზე, ინტონირების თავისებური გარკვეულობის, ბგერათრივის, კრისტალიზების და მუსიკალურ პრაქტიკაში დახუსტებული ინტონაციის მხრივ“.¹

საქართველოში ადრე არსებულ და ნაწილობრივ დღემდე შემორჩენილ ქართულ საკრავთა შორის თავისებური ხიბ-

ლით გამოირჩევა გულა-სტვირი. აღნიშნული საკრავი, როგორც ერთ-ერთი უძველესი, გვხვდება მსოფლიოს ხალხთა: ინდოელების, ფრანგების, ინგლისელების, ირლანდიელების, შოტლანდიელების, სომხების, აზერბაიჯანელების ყოფაში, მაგრამ ეს სრულებითაც არ განსაზღვრავს გულა-სტვირის ჩვენში საზღვაგარეთიდან შემოსვლის აუცილებლობას და საესებით მისაღებაა აბ. ცანავას აზრი: „გულა-სტვირის საფუძველი უნდა ექებოთ არა უცხოეთში, არამედ ადგილობრივ ჩალის, ლელის, ლერწმის, დუღგულასა და სხვა სახის სტვირად გამოყენების ჩვეულებაში“. უნდა მივიჩნიოთ, რომ გულა-სტვირის ერთ-ერთი სამშობლო საქართველოცაა, და რომ ის სხვა ხალხებში არსებული გულა-სტვირებისაგან დამოუკიდებლად წარმოიშვა.



ლ. ტოგონიძე, ზ. ერამე, ი. ქერხული, ბ. ბურდილაძე. სურათი ამოღებულია ტ. ჩიტაძის წიგნიდან „სტვირის კვალდაკვალი“.



მით უმეტეს, რომ სალამურზე დაკვირვების ტრადიცია უძველესი დროიდან მომდინარეობს ჩვენში. (მცხეთის სამაროვანში 1938 წელს ნაპოვნია ძეღის, უნო, ორმხრივ გახსნილი, 12 ხმ. სივრძის სალამური, ძვ. წ. XV-XIII ს.ს.). ივ. ჯავახიშვილი სწორედ სალამურს მიიჩნევს სტვირის, შემდგომ კი გულა-სტვირის წინამორბედ საკრავად.

ქართული გულა-სტვირისა და მესტვირეობისადმი მრავალი ნაშრომი აქვს მიძღვნილი მუსიკისმცოდნეებს, ფოლკლორისტებს, ეთნოგრაფებს, მაგრამ განსაკუთრებით ფასდაუფლებელია ივ. ჯავახიშვილის წიგნი „ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები“.²

ავტორი ჩასაბერი საკრავების განხილვისას გამოყოფს — „ნესტ“ -ს. „ნესტ“ -რაც საკრავი განკუთრებულია არაიან; სტვირი — „სასტვანო“ — კვითხულობთ სულხან-საბა ორბელიანის ლექსიკონში. ე. ო. ნესტუ-ი სტვირის სინონიმია. საყურადღებოა ის, რომ სულხან-საბა ორბელიანი არ განმარტავს გულა-სტვირს, მაგრამ როცა ჭიბონს ახასიათებს, ამბობს — „ჭიბონი არს გულა-სტვირი“.

ივ. ჯავახიშვილი გულა-სტვირს ასე აღწერს:

„ეს საკრავი ორი მთავარი ნაწილისაგან შედგება, ერთს საბერეულის მსგავსი დანიშნულება აქვს, რამდენადაც მან თვით საკრავს განუწყვეტლივ ჰაერი მიაწოდოს. ამ ნაწილს ძველადაც და ახლაც გულა ეწოდება. გულას თავისი ბუნებრივი ნახერტები აქვს, რომლებიც ვარდა ორისა, დაცობილი უნდა იყოს... გულაში, ზევითა ნაწილში, ერთი მხრით ჩადგმული იყო ჩასაბერი, რომელსაც აქვრასი საბერევი ეწოდება. მეორე მხრით გულში შედგმული იყო ხმის გამოძლევი სტვირი, ანუ სტვირი. სტვირი რთული აგებულებისაა, გარეგანი და შინაგანი ნაწილებისაგან შედგება. გარეგანი ნაწილს ხის ბუდე ანუ ნივის ზე ეწოდება. შიგნით კი წველი დედნები და ლერწმები აქვს.

მარცხენა დედანს დამწვევი, ანუ მთქმელი ეწოდება, მარჯვენაზე მობანე, დედნებს თვლები, ანუ საითთები აქვთ; დამწვებს — ექვსი, მობანეს — სამი. დაკვირის წინ ლერწმებს და დედნებს აწეობა და მომართვა სჭირდება, რისთვისაც აწვე-დაწვევაა საჭირო. ხის ბუდეს ბოლოში ხმის გასამღერებლად რქის ქარახსა აქვს, რომელიც ფიფინურებითა და ძქვკვებით არის შემკული“.³

„გულა-სტვირის“ არსებობა რაჭაში მეტადრე ისეთ სამხრეთ-დასავლეთის თემებში, როგორც მესხეთი და აჭარაა, ნიშნავს, რომ იგი მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული“ — წერს ივ. ჯავახიშვილი და ერთ ადგილას კიდევ უფრო აკონკრეტებს აღნიშნული საკრავის საქართველოში გავრცელების საწყის არეალს. „წერილობითი და ზეპირგადმოცემითი ყველა ცნობებისდა მიხედვით ჩანს, რომ გულა-სტვირი წინათ მთელ აღმოსავლეთ საქართველოში უნდა ყოფილიყო გავრცელებული“.⁴ და იქვე მიუთითებს, რომ „ამ სამოცი წლის წინათ სწორედ აღმოსავლეთ საქართველოში იყვნენ საკრავის გამკეთებელი. სადაც გულა-სტვირი კარგა ხნის მიეწვეებოდა“-ო. ქართული მესტვირული პოეზიის შესწავლის საფუძველზე, აღმოსავლეთ საქართველოს, კერძოდ ქართლს, ვარაუდობს გულა-სტვირის წარმოშობისა და გავრცელების კონკრეტულ ადგილად აპ. ცანავაც. იგი დიდ ანგარიშს უწევს საკმაოდ ცნობილი რაჭველი მესტვირის ზაქარია კიკოს-ძე ერადის სიტყვებს; კერძოდ, ზაქარია ერადე ქართლს თვლიდა თავისი სასიმღერო რეპერტუარის სამშობლოდ. გორელ ალექსის სახელთან არის დაკავშირებული დათიკა ბურღილაძისათვის გულა-სტვირზე დაკვირის სწავლება. დათიკა ბურღილაძე პირველი ფარახეთელი მესტვირე იყო. ონის რაიონის სოფელი ფარახეთი კი „მესტვირეების ბუდედ არის ცნობილი“. აპ. ცანავას წიგნში „ქართული



მესტიურული პოეზია“ შეტანილი 1948 წლის ცნობით — 83 რაჭველი მესტიურედან 63 ფარაბეთში ცხოვრობდა, 9 სევიდან, იყო, 2 ცხმორიდან, აგრეთვე ბაჯიბევიდან, ქორთიდან, ბარიდან, უწყურიდან; (ყველა ეს სოფელი ზემო რაჭაშია).

დღესდღეობით სამეცნიერო ლიტერატურაში დამკვიდრებულია აზრი, რომ გუდა-სტვირი წარმოიშვა ქართლში და შემდგომ გავრცელდა მთელ საქართველოში. ამ საკრავის სტრუქტურა საქართველოს არცერთ კუთხეში არ შეცვლილა, მხოლოდ ესაა, რომ მისი შემადგენელი ნაწილები სხვადასხვა სახელით არის ცნობილი. მაგალითად: კახეთისთვის დამახასიათებელია ტერმინი „ჩასაბერი მასრა“, რაჭაში უბრალოდ „ჩასაბერი“ ხოლო აჭარაში „საბერავია“. თუ რაჭაში სტვირის გარეგან ნაწილს „ხის ბუდე“ ჰქვია, აჭარაში იგივე ნაწილი ცნობილია „ნაეის ხის“ სახელწოდებით. აქვე აღვნიშნავთ, რომ გუდა-სტვირის აჭარაში ჭიბონი ჰქვია და ძირითადად ცეკვის აკომპანიმენტისათვის გამოიყენება.

დ. არაფიშვილს ყველაზე დახვეწილ გუდა-სტვირად მაინც რაჭული მიაჩნია. „უნდა აღვნიშნოთ, რომ რაჭული სტვირი, ანუ გუდა-სტვირი თავისი გამართულობით განსხვავდება სხვა ხალხთა გუდა-სტვირებისაგან... რაჭულ სტვირის ორი მილი აქვს და ერთდროულად ორ ბერას გამოსცემს, ეს კი სხვა ხალხთა სტვირებისათვის იშვიათია.“

როგორც ითქვა, გუდა-სტვირი ადრე მთელ საქართველოში ყოფილა გავრცელებული (მესხეთი, ქართლი, ფშავი, კახეთი, აჭარა, რაჭა) მაგრამ ყველა კუთხესთან შედარებით, რაჭისთვის უფრო სისხლბორცული ნაწილი ვახდა. როდესაც, სიღნაღის რაიონის სოფ. ბოდბისხევეში აღნიშნული საკრავით დაინტერესდით, ჭარმაგმა კაცმა გაპრიელ დათოშვილმა ასე გვითხრა: „აბა მაგას აქ რა უნდა, ეგ ზომ რაჭველების საკრავიაო“.

რაჭული მუსიკალური კულტურის მელიც თავის თავში გუდასტვირის გადქართულ, ეროვნულ მუსიკალურ ენას, რაჭის გეოგრაფიულ-ადმინისტრაციული დაყოფის გათვალისწინებით, შემდეგნაირად შეგვიძლია წარმოვიდგინოთ:

1) მთის რაჭისთვის დამახასიათებელია ორხმიანა სიმღერები და ჭიანური.

2) ზემო რაჭისთვის — ერთხმიანი, ორხმიანი, სამხმიანი, სიმღერები და გუდა-სტვირი;

3) ქვემო რაჭისთვის — სამხმიანი სიმღერები; და მაინც, ეს დაყოფა პირობითია, რადგანაც რაჭული მუსიკალური კულტურა განხილულ უნდა იქნას, როგორც ერთიანი, ცოცხალი ორგანიზმი, აქვე შევნიშნავთ, რომ რაჭული მუსიკალური დიალექტი დიდ მსგავსებას ამჟღავნებს ქართლ-კახეთთან; ეს მსგავსება სუფთებით ვასაგებია, რადგან რაჭველები გარკვეულ ისტორიულ პერიოდში ქართლიდან მოვიდნენ იქ, სადაც დღეს მოსახლეობენ. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით დ. არაფიშვილი იშველიებს სერგი მაკალათიას: „თუ ჩვენ რაჭულ სალოცავენს შევადარებთ საქართველოს სხვა კუთხეებისას, დავინახავთ, რომ რაჭული უფრო ენათესავება ქართულ წესებს, ვიდრე სვანურ-შეგრულს, ეს დეტალი თავისთავად საყურადღებოა და აყენებს რაჭულ-ქართლური რწმენის საკითხს...“

ქართლ-კახურ მუსიკალურ დიალექტთან რაჭულის მსგავსება არ გამორიცხავს ამ უკანასკნელის თავისებურებას, მარტო ის რომ იგი სვანური და ქართლ-კახური მუსიკალური კულტურების გავლენათა მიჯნაზეა მოქცეული სპეციფიკურს ხდის მას.

რაჭაში და კერძოდ, ონის რაიონის სოფ. ფარაბეთში, გუდა-სტვირის ფართოდ გავრცელებისა და პოპულარობის მიზეზად, მკვლევართა ერთი ნაწილი ეკონომიკურ სიმწირეს მიიჩნევს. ყურადღება გამახვილებულია რაჭის ნაკლებად ნაყოფიერ საეარგულებზე, რომ მცირე



მოსავალი აიძულებს რაჭველ გლეხს შეისწავლოს სტვირზე დაკვრა და არსებობისათვის ბრძოლაში დამატებით შემოსავლის წყაროდ აქციოს იგი. მათ ნაშრომებში, მესტიერეობა ხშირად გაიგებებოდა ღურგლობასთან, ზაბაზობასთან, მეკურტნეობასთან, და სხვა. მართალია გუდა-სტვირზე დაკვრის ესთეტიკური ღირებულებები იგნორირებული არ არის, მაგრამ ამ საკრავის დამკვიდრება რაჭის ყოფით კულტურაში ახსნილია არა ადამიანის სულიერებიდან გამომდინარე, არამედ ცხოვრების პირობების მოწესრიგების ფაქტორით. საყურადღებოა ისიც, რომ ასეთი შეხედულება, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებობს მხოლოდ რაჭასთან მიმართებაში. აქ გვინდა მოვიხმოთ ა. ცანავას სიტყვები: „მესტიერეობა რაჭველებსათვის იყო არა თავისთავადი მოვლენა, როგორც ქართული და ფშაველი მესტიერეობისათვის, არამედ დამატებითი შემოსავლის წყარო; ისინი იძულებულნი იყვნენ ეს ხელობა შეესწავლათ“. თუ ჩვენ ყურადღება გავამახვილეთ მუსიკალური საკრავის სოციალურ ასპექტებზე, შესაძლებელია, რომ მას მოუძებნოთ ადამიანის ცხოვრების პირობების მოწესრიგების ფუნქცია. ამიტომ არ ვდაობთ იმაზე, რომ მესტიერეობა რაჭველებისთვის (და არა მარტო რაჭველებისთვის) იყო „დამატებითი შემოსავლის წყარო“. მაგრამ ამ კონტექსტში ნიშანდობლივია, ის, რომ მუსიკალური საკრავი (ჩვენს შემთხვევაში გუდა-სტვირი) ადამიანის ყოფაში მკვიდრდება სულიერი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, ხოლო შემდეგ იძენს მატერიალური ზანიათის ელემენტებს და არა პირიქით.

სწორედ ასე დგას საკითხი დ. არაყიშვილის ნაშრომში „რაჭული ხალხური სიმღერები“. „მესტიერეები გადიოდნენ რა სოფლიდან სოფელში, ქალაქიდან ქალაქში, ავრცელებდნენ თავიანთ შესანიშნავ სიმღერებსა და ლექსებს...“⁷

როდესაც ა. ცანავა მესტიერეობის თავისთავადობაზე საუბრობს, ვაძვინჯავს, რომ ქართულ-კახელი მესტიერეები სტვირს მხოლოდ პერიკაობა-ყვენობის დროს უკრავდნენ, გასართობად; რომ ისინი რაჭველი მესტიერეებივით არ დადიოდნენ ერთი ადგილიდან მეორეში, სარჩოს საშოვნელად. რომ ქართლისა და კახეთის ზეაერიელი სარჩო-საბადებელი მათ მძღვრად ცხოვრების საშუალებას აძლევდა. როცა ადამიანი მუსიკასთან თანაზიარი ხდება, სხვა მოტივების უპირატესობაზე საუბარი, გარდა სულიერისა, ჩვენ მიგვაჩნია, არამართებულად. მითუმეტეს, როდესაც საქმე ეხება ერთი და იგივე საკრავის, ერთსა და იმავე ხალხის ყოფაში დამკვიდრებას. ასევე კრიტიკულ მიდგომას მოითხოვს მტიციება იმისა, რომ თითქოსდა შესაძლებელია „ადამიანის მუსიკალურ სამყაროსთან იძულებით ზიარება“.

ჩვენ გვინდა, ყურადღება გავამახვილოთ ა. ცანავას შემდეგ სიტყვებზეც „ეკონომიკური სივიწროვე აიძულებდა რაჭველ გლეხს ხელი მოეკიდა ასეთი საწოთირო საქმისათვის. თვითონ მას დამამცირებლად მიაჩნდა თანასოფლელების თვალში თავისი ხელობა. სწორედ ამით უნდა აიხსნას ის გარემოება, რომ რაჭველი მესტიერეები ადგილობრივ დღეობებსა და დღესასწაულებზე იშვიათად იღებდნენ მონაწილეობას. ...ისინი მიისწრაფოდნენ შორეული კუთხისაკენ, სადაც მათ არ იცნობდნენ“.⁸

ფარაზეთელი მესტიერეები რომ უდიდესი სიყვარულითა და პატივისცემით სარგებლობდნენ, როგორც თანასოფლელები, ისე საქართველოს სხვა კუთხის მცხოვრებთა შორის, ამაზე მეტყველებს ფარაზეთელების მიერ, მესტიერე ბიჭია ბურდილაძისათვის ძველის აკების ფაქტიც.

თუმცაღა, ა. ცანავა „ქართულ მესტიერულ პოეზიაში“ საუბრობს, გუდა-სტვირის მუსიკალურ ღირსებებსა და მესტიერეების დიკ ავტორიტეტზეც (მას



მოტანილი აქვს მესტიერული ლექსი, ხადაც ხაზგასმულია გუდა-სტვირის ლეთიური ჩამომავლობა;

„მე რომ ღმერთთა გამაჩინა,
პაპა გონება დამატანა,
ხელში მომცა ჭრელი სტვირი,
ამ ზოფელში დამატარა“.

მაგრამ აღნიშნულ ნაშრომს ლეიტ-მოტივად გასდევს გუდა-სტვირის გავრცელებისა და პოპულარობის მიზეზად მატერიალური საწყისის აღიარების ცდა. (ამგვარი ტენდენცია შეინიშნება გუდა-სტვირისა და მესტიერობისადმი, მიძღვნილ მთელ რიგ სტატიებსა თუ სამეცნიერო ნაშრომებში) ხაკითხისადმი ასეთი მიდგომა, წარმოადგენდა ხარკის გადახდას არსებული დროისა და იდეოლოგიისადმი, მაგრამ ბოლოს და ბოლოს, ყველაფერს ხომ თავისი სახელი უნდა დაურქვას. ადამიანი პირველ რიგში შემოქმედია, შემდეგ კი მომხმარებელი. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე, რაჭაში, ისევე როგორც მთელ საქართველოში, გუდა-სტვირის, ადამიანის ფოფაში დამკვიდრების მთავარ პირობად უნდა მივიჩნიოთ თავად ამ ხაკრავის გამართულობით, ხმითა და გარეგნულ იერ-სახით ტკბობა. მესტიერეს პირველ რიგში საიმოვნებას ჰკვრიდა ზალხისთვის ბედნიერებისა და სიხარულის მოტანა (იგი ყველა დღესასწაულის საყვა-

რელი სტუმარი იყო) ხოლო თანამედროვე სი ბრწყინვალე, თვითმყოფადი შემოქმედებისთვის მსმენელთა პატივისცემას დაიმსახურებდა, (თუნდაც ფულითა და პურმარლით გამოხატულს) ამაში საწილოთი არაფერია.

საქართველოში მესტიერობა შთამომავლობითაც გადაეცემოდა და შეგირდობითაც ისწავლებოდა. მაგრამ რაჭაში, კერძოდ ფარახეთში მესტიერობის შთამომავლობით გადაცემას ძლიერ ჰქონდა ფესვები გადგმული, რამაც ხელი შეუწყო გუდა სტვირზე დაკვრის ტრადიციის ჩამოყალიბებას აღნიშნულ რეგიონში.

რაოდენ დასაჩანია, რომ დღეისათვის გუდა სტვირი მხოლოდ სამუზეუმო ექსპონატს წარმოადგენს; ცხოვრება ვითარდება, იქმნება ახალი კულტურული ფასეულობები, მაგრამ ძველსაც მიხედვა და აღორძინება სჭირდება.

1. რ. ი. გრუბერი, მუსიკალური კულტურის ისტორია, მოსკოვი, 1962, გვ. 134.

2. აბ. ცანავა, ქართული მესტიერული პოეზია, თბ., 1953, გვ. 28.

3. ივ. ჭავჭავიძე, ქართული მუსიკის ისტორიის ძირითადი საკითხები, თბ., 1938, გვ. 195.

4. ივ. ჭავჭავიძე, დასახ. ნაშრ. გვ. 194.

5. დ. არაყიშვილი, რაჭული ზალხური სიმღერები, თბ., 1940, გვ. 30.

6. დ. არაყიშვილი, დასახ. ნაშრომი, გვ. 28.

7. იქვე, გვ. 44.

8. აბ. ცანავა, დასახ. ნაშრომი, გვ. 64-65.

აწველა

აწვეიტის ახლოს არის ნახოფლარი ბნელა. ლეგენდა გვამცნობს: ზერთვისში ოსმალები იდგნენ. ერთ იქაურ კაცს უბრძანეს რჯული შეიკაალო. იგი გაიქცა და ერთ ციხეს შეაფარა თავი, მაგრამ შეიპყრეს და გაათარება მოსთხოვეს. კაცი იხვეწებოდა მადროვეთო. მერე მაჯა გადაიხსნა და ციხის კედელზე საკუთარი ხისხლით დაწერა „სიცოცხლე აქ დამიბნელდა ამ ადგილს ერქვას ბნელაო“.

ასე შექმნიდა ქრისტიანულ სარწმუნოებას მისი ერთგული ერთი ქართველი.

ბუნების ნიშნები საქართველოს ხალხური სუროთმოდერებისა და ყოფის მუზეუმიდან

ქვის დამუშავება ანუ „ქვით ხურობა“ ხელოსნობის ისტორიის შემადგენელი ნაწილია. აკად. ივანე ჯავახიშვილმა ძველი ქართული წერილობითი ძეგლების შესწავლის საფუძველზე დაადგინა რომ სამშენებლო ხელოვნება ძველ ქართულში ერთი საერთო ტერმინით აღინიშნებოდა და მას „ხურობა“ ეწოდებოდა. ხურობას ხურო განაგებდა ტერმინი „ხურო“ ასეა განმარტებული სულხან-საბა ორბელიანისა და ნ. ჩუბინაშვილის ლექსიკონებში: „ხურო მთლელი“ „ხურო ხელოსანი, მთლელი ძელთა ანუ ქვისა“. თავის მხრივ ხურობა რამდენიმე დარგად იყოფოდა—ხით ხურობა, ქვით ხურობა, კირით ხურობა. ამასთან ერთად ცნობილია, რომ „ქართული სამშენებლო ხელოვნების საფუძველს ხით ხურობა წარმოადგენდა და ქვის ხურობის ტრადიცია იქიდან მომდინარეობს“; თუმცა, ქვით ხურობასაც საქართველოში უძველესი ისტორია აქვს. ამის დასტურია ველისა-მონასტრების ნატიფი გემოვნებითა და ფილიგრანული ტექნიკით შესრულებული ჩუქურთმები, ბუხრის კამარის ორნამენტით შემკობის ტრადიცია და ა. შ.

საჭირო ქვის მოპოვება და მისი შემდგომი დამუშავება საკმაოდ შრომატევადი პროცესია და გარკვეულ ორგანიზაციას საჭიროებს. ქვის თლა გულისხმობს ქვის მოპოვებისა და დამუშავების მთელ პროცესს, მაგალითად: ბუხრისათვის (კამარა) ქვის მოძებნა (კლდიდან ჩამოტეხა თუ მიწიდან ამოღება), დამუშავება, მოჩუქურთმების ჩათვლით, და მთლიანად ბუხრის მშენებლობა ერთი მთავარი ოსტატის მოვალეობას შეადგენდა, რომელსაც დამხმარებელი ჰყავდა. ამდენად, ქვის ხურონი, თავის მხრივ, რამდენიმე ჯგუფად იყოფოდნენ: ყოფიდან ქვის მხელენი, ქვის მოპჭრე-

ლნი, ქვის გამოძკვეთენი, ქვის გამომკვერენი.

ქვის — მხდელი ეწოდებოდა იმას, ვინც ქვას იღებდა; ქვის მკვეთელი იყო, ვინც ქვას სტეხდა. ქვის ამოღების შემდეგ მისი დაკვერვა წარმოებდა, ე. ი. ხაგანებო იარაღით ასწორებდნენ მის ზედაპირს. სუფთად დამუშავებულ გათლილ ქვას ფიქალი ეწოდებოდა.

ძალზე სათუთ საქმეს წარმოადგენდა ქვაზე ჩუქურთმის, ორნამენტის ამოკვეთა. ქვაზე რთული გამოსახულების დასატანად იყენებდნენ ფიცრის ან თუნუქისაგან გამოჭედილ ანდაზას (თარგს).

ქვითხურობის საუკეთესო ნიმუშები დაცულია საქართველოს ხალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის სახელმწიფო მუზეუმში. ამჯერად გამოვარჩევთ მუზეუმში ექსპონირებულ ბუხრებსა და ბუხრის ქვებს.


„ბუხარი ეს (ე) თურქთა ენით არის. კვალად კედელთა შინა სახლისათა საცეცხლეთა დატანებულთა ბუხარს უკმობენ. კვალად კედელსა სახლისასა საცეცხლესა დატანებულსა ბუხარს უწოდებენ“, — განმარტავს სულხან-საბა ორბელიანი².

მუზეუმში ძირითადად ორი სახის ბუხარი გვხვდება — კამარიანი და სამთვლიანი. კამარიანი ბუხრები წარმოდგენილია მუზეუმში არსებულ ქართლის სამცხე-ჯავახეთის, აჭარისა და ნაწილობრივ იმერეთის ზონებში. აქ ბუხარი საცხოვრებლის ერთ-ერთ მხარეზეა მიშენებული. დასავლეთ საქართველოს დაბლობში კი, რომელიც მუზეუმში წარმოდგენილია სამეგრელოს, გურიისა და ნაწილობრივ იმერეთის ზონების სახით, გვხვდება „სამთვლიანი“, „სამთვლიანი“ ბუხარი.


ძალზე საინტერესოა ქ. ახალციხის რაბათიდან გადმოტანილი ღარბაზოვა



ნის ბუხარი. ინტერიერში კერძო უკვე აღარ იკავებს ცენტრალურ მდებარეობას მოშლილია და დარბაზის ერთ-ერთ მხარეზე მიშენებულია ბუხარი, რომელსაც მესხეთში „ოჯახს“ უწოდებენ. ბუხრის ძირითად თაღოვან ნაწილს ადგას ლავგარდანი, იგივე თარო, ხოლო უფრო ზემოთ თლილი ქვის კედელია აღმართული. მიუხედავად იმისა, რომ დარბაზში ხეზე ჩუქურთმა გვევლინება ინტერიერის შემკობის ერთ-ერთ ძირითად საშუალებად, ყურადღებას იქცევს ბუხრის ქვაც, რომელიც ჩუქურთმის რთული კომპოზიციითაა დაფარული. ბუხარი ბრტყელი, თლილი, ადგილობრივა ჯიშის რუხი ფერის ქვისაგანაა ნაშენები.



ცნობილია, რომ კერის კულტი თავისი შინაარსით გვარის, ოჯახის გამაერთიანებელი ცენტრი იყო, ხოლო კერამარადიული სიცოცხლის სიმბოლო. ამიტომ იყო, რომ დიდი ყურადღება სახლის იმ ადგილს ექცეოდა, სადაც კერა, ცეცხლი იყო მოთავსებული. მას ამკობდნენ აპოთროპეული დანიშნულების ორნამენტებით, ღვთაებების გამოსახულებითა და სიმბოლური ნიშნებით. იქ, სადაც კერა სახლის შუაგულიდან ბუხარში იყო გადატანილი, ზემოხსენებული სახლის ატრიბუტები ბუხრის „ქა მარზე“, კამარაზე, მის ზემოთ და გვერდებზე იყო გამოყვანილი².



ზემომოყვანილ კონკრეტულ შემთხვევაშიც ბუხრის დეკორატიული გაფორმება კამარაზე და თაროზე მოდის. ბუხრის ჩუქურთმა ჩაკვეთის წესითაა შესრულებული. ორნამენტში ასახვას პოულობს ხალხის სახვითი შემოქმედების უნარი, რელიგიური წარმოდგენები.

აღნიშნული ბუხრის თაროზე ძირითადად გეომეტრიულ ორნამენტს ენიჭება უპირატესობა, ხოლო კამარაზე ვხვდებით როგორც გეომეტრიულ, ასევე მცენარეულ ორნამენტებს. კამარის ცენტრალურ ადგილს იკავებს სიცოცხლის ზის გამოსახულება. მას ორივე მხარეს სიცოცხლის ზის კიდევ ორ-ორი გამო-

ბუხრის ნიმუშები საქართველოს ხალხური ხელოვნების მემკვიდრეობისა და ეროვნული მემკვიდრეობისა.



სახელდება უდგას. როგორც ცნობილია, სიცოცხლის ხე სხვადასხვა ჯიშის ხეებითაა წარმოდგენილი. ამ შემთხვევაში ეს უკანასკნელი ალვის ხის სახით წარმოვიდგება. ხეს წვერში ჯიხვის რქები აღვას.

ქართულ სალოცავებში ჯიხვისა და ირმის უამრავი რქა იყო დაცული. რქის მიმაგრება იცოდნენ საცხოვრებლის დედაბოძზე, საქონლის სადგომის — ახორის დედაბოძზე. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ ფოლკლორში ირემი და ჯიხვი ბუნების ნაყოფიერების ქალურ ძალებს უკავშირდებიან.

მცენარე და ცხოველი ერთი სამყაროს განმასახიერებელი მოვლენებია და სამყაროს უკეთ წარმოდგენის მიზნით ხდება ცხოველური და მცენარეული ელემენტის სინთეზი.

სიცოცხლის ხეს შემოუყვება ტალღისებური ხაზები. ნ. მარს დადგენილი აქვს ტალღისებური ხაზის მნიშვნელობა. იგი მისი აზრით, წყალს უნდა წარმოადგენდეს.

სიცოცხლის ხის ქვემოთ ვხვდებით გამოსახულებას, რომელიც ტიპურია ხეზე და ქვაზე კვეთილი კავკასიური ორნამენტისათვის. ხევსურული ტერმინოლოგიის მიხედვით მათ უწოდებენ „ხუთანს“, სვანები — „ვარსკვლავს“. ისინი ცის მცირე სხეულებს წარმოასახევენ. იგივე ორნამენტი მეორდება აჭარული ოდა-სახლის ბუხრის წინაირხეც; და რაც განსაკუთრებით საინტერესოა, მუზეუმის არქეოლოგიურ უბანში წარმოდგენილ თიანეთის სიონის ბაზილიკის ჩუქურთმიან ქვებზე.

ქართული დედაბოძის შემკულობა მთლიანად გეომეტრიული კომპინაციებითაა აგებული. ეს, ერთი მხრივ, ალბათ, მთის გეომეტრიული დეკორის ვერცხვებამ გამოიწვია, ხოლო მეორე მხრივ კი ბარში ძველი იდეოლოგიის გაქრობას ემყარება. ბარში საცხოვრებლისა და ბუხრების შემკულობაში აქაქ შემორჩენილია მდიდრული მცენარეული ხეულები სიცოცხლის ხის მოტი-

ვი, ზოომორფული გამოსახულებებითა და ასტრალური ნიშნებით⁴. მცენარეული მაგალითია მუზეუმში დაცული ბუხრის კამარა (საინვენტარო ნომერი — ცმ. შ6 2775). ცენტრში ვხვდებით „ხუთანს“, ხოლო ქვის დანარჩენ ნაწილს ფაქიზად ამოკვეთილი მცენარეული ორნამენტი ფარავს.

ბუხრის კამარაზე (საინვენტარო ნომერი — ცმ. შ6 2560) ვხვდებით მრავალფეროვან გამოსახულებას), ე. წ. — „ბორჯღალას“ თანაბარი ზომის ფრთები ერთი ცენტრიდან, ერთი მიმართულებით გამოდიან და ბრუნვას წარმოასახევენ.

არანაკლებ საინტერესოა ბუხრის კამარა, რომელიც რუხი ფერის თლილი ქვისაგანაა დამზადებული. ქვას კიდევბზე შემოუყვება გეომეტრიული ორნამენტები. გეომეტრიული ორნამენტის შემდეგ, კამარის ზემო ნაწილში ტალღისებური ხაზების ოთხი რიგია ამოკვეთილი. ბუხრის კამარას აქვს არაბული წარწერა. წარწერის ქვემოთ, მარჯვნივ და მარცხნივ, ვხვდებით ხანჯლის მსგავს გამოსახულებას. ამავე დროს უნდა აღვნიშნოთ, რომ ხანჯალს წვერი“ ქვემოთ კი არა აქვს მიმართული, არამედ ზემოთ. ხანჯლის ამგვარად წარმოსახვა საკმაოდ უცნაურია და გვაფიქრებინებს, რომ აქ რაღაც სხვა შემთხვევასთან გვაქვს საქმე.

თუ ხანჯლის ტარს გამოვირცხავთ, დარჩენილი ნაწილი წიწვოვან მცენარეს მოგვაგონებს. წიწვოვანი მცენარე, ალბათ, სიცოცხლის ხის მოტივს წარმოსახავდა. შეიძლება ვიფიქროთ, რომ ქვის მთლელს სხვაგან, სხვა ბუხრის ქვებზე ნანახი ექნებოდა ასეთი წიწვოვანი მცენარის გამოსახულება, მაგრამ რამდენადაც მას შეიძლება აღარ სცოდნოდა ამ ორნამენტის სიმბოლიკა, იგი ხანჯლისათვის მიუმსგავსებია.

რაც შეეხება მუზეუმში არსებულ ოდა-სახლების ბუხრებს, ისინი რამდენადმე განსხვავდება ჩვენს მიერ უკვე წარმოდგენილი ბუხრებისაგან. ერთ ფუ-



ძვევ გამართული ოდა-სახლის სამ თვა-
ლში გამავალი ბუხარი ამენებულია წი-
თელი აგურით. „ტაფაზე“ (ცეცხლის
დასანთები ადგილი) დაფუძნებულია
ბუხრის ფეხები, ფეხებზე დაბჯენილია
თალიანი „წინაბირი“, რომელიც განიერი
სასანთლეთი ანუ თაროთია მომთავრე-
ბული. ბუხრის ყელი სცილდება სახლის
სახურავსა და სხვენს და მთავრდება
აგურით ნაშენები ქუდით. ბუხარს ორნა-
მენტი არა აქვს. აღნიშნული ბუხარი
მთელი საცხოვრებლის — ოდა სახლის
საყრდენს წარმოადგენს.

აქვე უნდა აღვნიშნოთ ერთი საყუ-
რადღებო შემთხვევა — მუზეუმში სო-
ფელ ყარაღაჯიდან გადმოტანილ დარბა-
ზოვანში ერთდროულად არსებობს კე-
რაც და ბუხარიც.

დარბაზის ინტერიერში ცენტრალურ
ადგილს კვლავ კერა იკავებს. ხალხში
რაბანის ერთ-ერთ კედელში დატანებუ-
ლია სამშენებლო აგურისაგან ამენებუ-
ლი ბუხარი. კერისა და ბუხრის ერთდ-
როული არსებობა ერთ საცხოვრებელ
კომპლექსში შეიძლება ასე აიხსნას —
კერას ვერ კიდევ არ დაუკარგავს თავი-
სი ფუნქცია, ხოლო ბუხარი თანდათან
მკვიდრდება ყოფაში.

ამრიგად, მუზეუმში წარმოდგენილი
ბუხრები და ბუხრის ქვები ყურადღებას
იქცევს როგორც დამუშავების მაღალი
დონით, ასევე ორნამენტის მრავალფე-
როვნებით. ისინი კიდევ ერთხელ გვი-
დასტურებენ საქართველოში ქვით ზუ-
როობის განვითარების მაღალ კულტუ-
რას.

1. ივ. ჭავჭავაძე, მასალები ქართული
ერის მატერიალური კულტურის ისტორიისათვის.
მშენებლობის ხელოვნება ძველ საქართველოში,
თბ., 1946, გვ. 159.

2. სულხან-საბა ორბელიანი, ლექსიკონი
ქართული. I. თბ., 1966.

3. გ. ჩიტაია, სიცოცხლის ხის მოტივი ლა-
ზერ ორნამენტში „ენიმეს მოამბე“ X, 1941.
გვ. 303-320.

4. ირ. სურგულაძე, ქართული ხალხური ორ-
ნამენტის სიმბოლიკა, თბ., 1986. გვ. 124-125.

კოთხელია

ლეკენდის მიხედვით კოთელია, გაუვალი ტყით დაფარული სოფელი ყოფი-
ლა. მურჯიდან წამოსულა ორი ძმა — კოტე და ილია, რომლებსაც ამ ტყეში აებ-
ნათ გზა და აქვე დასახლდნენ. ძმებმა თავიანთივე სახელი დაარქვეს სოფელს:
კოტე — ილია. მურჯიდან წამოსული ხალხის დასახლების შემდეგ სოფელს სა-
ხელში „ტ“ — მაგიერად ჩაერთო ასო „თ“. ამჟამად ეწოდება „კოთელია“.

ზარიძეების ეკლესია

ლეკენდის მიხედვით 300 — წლის წინათ ზარიძეები, (ზუთი ძმა) სოფ.
ხოსპიოდან კოთელიაში გადმოსახლებულან. გადმოსახლებისთანავე ერთ-ერთი
ძმა დაქორწინებულა. სანამ მყფრიონი წავიდოდა რძლის მოსაყვანად სახლში
დარჩენილი ერთი ძმა შემთხვევით გარდაცვლილა. ოჯახი იძულებული გახდა,
რომ მიცვალებული დაემალა და ქორწილი არ ჩაეშალათ.

ქორწილის შემდეგ გარდაცვლილი ძმა დაასაფლავეს და მის საპატივსაცემ-
ად ახლობლებმა ააგეს ეკლესია, რომელსაც ხალხი დღესაც ზარიძეების ეკ-
ლესიას უწოდებს.

ამბავი სოციალად მიწეწული

ბირთვისის ციხისა

ახლაც კარგად მახსოვს ომის წინა წლებში, ჯერ კიდევ ყმაწვილკაცობისას მე და ჩემს თანატოლებს რაოდენ დიდი სიამე და სიხარული მოგვეკვარა რ. ჯი-ოუანოლის წიგნის სპარტაკის წაკითხვამ. ყველანი, რასაკვირველია, მოხიბლულნი ვიყავით მისი საერთო შინაარსით, მაგრამ წიგნში მოთხრობილ ამალელებელ მოვლენათა შორის განსაკუთრებით საინტერესოდ რომის ლეგიონების მიერ ალფაში მოქცეული სპარტაკისა და მისი თანამებრძოლების ვეზუვის მთის ფრიალო კლდის ქიმიდან დაშვება სახელდახელოდ დაშზადებული წიგნლის კიბეებით და მერე მათ მიერ მოწინააღმდეგის სრული განადგურების ამბის წაკითხვა მიმანდა. ამის ანარკული მერეც ხშირად გამიღვებდა ხოლმე კუნებაში, როგორც გამორჩეულად გასახსენებელი რამ.

მაშინ და შემდგომშიც ჩვენდა სამწუხაროდ, დიდ ხანს არ ვიციდით, რომ თურმე არანაკლებ საკვირველი და საინტერესო ამბები დატრიალებულა ჩვენშიც, ბირთვისის ციხესთან, საქართველოში თემურლენგის ურდოების 1403 წლის, რიგითი მერვე და უკანასკნელი შემოსევის დროს.

ბირთვისის ციხე ქართულ საისტორიო წყაროებში იხსენიება XI საუკუნიდან. იგი აღმართულია მალალ მთაზე, — ისტორიულ ქვემო ქართლში, დღევანდელი თეთრი წყაროს რაიონში, მდინარე ალგეთის მარცხენა ნაპირიდან ორიოდე კილომეტრის დაშორებით და დღესაც შედიდურად გადმოკეურებს არემარეს. ეს მთა თავისი მკვეთრი აზიდულობისა და მის გარშემო უსწორმასწორო რელიეფის გამო თითქმის ერთნაირად მიუდგომელია ყველა მხრიდან, მაგრამ კიდევ უფრო მიუყალი და მიუდგომელია მის მთავარ და სხვა მიმდებარე მწვერვალებს შორის ჩადგმული და, მათი შემაერთებელი, მალალი კედლებით შეზღუდული

თვითონ ციხე, რომელსაც თითქმის ერთი კვ.მ. ფართის მქონე, ამრეც-დამრეცი სიერცე უჭირავს. მას საგულდაგულოდ გამაგრებული ალაყაფი აქვს დატანებული ერთადერთსა და თანაც უგზო მისასვლელთან. შეგნით არის საცხოვრებელი და სამეურნეო დანიშნულების ნაგებობები, აგრეთვე კლდეში ამოჭრილი აუზები წყლის დასაგროვებლად, სამხრეთიდან მიმდებარე მთის მწვერვალზე კა კოშკია აგებული გარშემო მიდამოების სათვალთვალოდ. იგი ვოვლად მიუდგომლად და აუღებელ ციხედ არის მიწნეული ქართულ წყაროებში. ამიტომაცაა, რომ ისტორიამ მხოლოდ რამდენიმე შემთხვევა შემოგვინახა მოწინააღმდეგის მიერ ბირთვისის ციხის დამორჩილებისა და დაუფლების შესახებ და ისიც თითქმის ყველა მეციხოვნეთათვის დანდობისა თუ უვნებლობის ვალბად შეპირების გზით. ასე, მაგალითად, ირანის შაჰმა თამაზ I-მა (1524-1576 წწ) საქართველოში 1541 წ. ლაშქრობის დროს ბირთვისის ციხეს ძალით რომ ვერაფერი მოუხერხა, მეციხოვნეებს უვნებლობას შეჰპირდა დანებების შემთხვევაში და მოტყუებით მოახერხა ციხის დაუფლება.

თითქმის ასეთივე ხერხის გამოყენება დასჭირდა მის დასაუფლებლად ვიორგი სააკაძესაც, როცა იგი ციხის მაშინდელ მფლობელ-მყრობელს ქაიხოსრო ბარათაშვილს ებრძოდა. ბირთვისის ციხეში მაშინ ვიზილბაშთა 500 კაციანი გარნიზონი იდგა. ვიორგი სააკაძემ ტბისში შეიპყრო ქაიხოსრო და მისი ძმა ხოსია და აიძულა ბირთვისის ციხიდან ვიზილბაშთა ჯარის გამოყვანა.

ბირთვისის ციხის ძალით დაპყრობა ვერც ერეკლე II შეძლო XVIII ს-ის 50-იან წლებში, როცა იგი ბატონიშვილ აბლულა ბეგს ებრძოდა, თუმცა ამ მიზნით მან ციხის მთელი და მიმდებარე ტერიტორიები მოაოხრა და ყველაფერი

ეს იმიტომ, რომ როგორც მემკვიდრე შენიშნავდა „ბირთვისის ციხის ომი ხომ არ იქნებოდა“.

და მაინც მოახერხა ამის გაკეთება, ბირთვისის ციხის ბრძოლით დაუფლება ავად მოსაგონარმა თემურლენგმა 1403 წ. საქართველოში თავისი რიგით მე-8 და უკანასკნელი შემოსევის დროს.

როგორც ისტორიული წყაროებიდან ირკვევა თემურლენგი სხვა დროსაც ყოფილა ბირთვისის მიდამოებში, მაგრამ მაშინ დროის სიმცირის გამო დასაპყრობად არ შემოდგომია მას.

ეს კი მოხდა 1400 წლის ზაფხულზე, როდესაც საქართველოს მეფემ გიორგი VII (1393-1407 წწ), მძიმე და სასტიკი ომი გაუმართა თემურლენგის ურდოებს გოგინის ტბის მიდამოებში, მდინარე საგომის პირას და შემდეგ კი დაიწყო უკან დახევა ფიცხელი ბრძოლებით.

სპარსული ისტორიკოსები, რომლებიც თან ახლდნენ თემურლენგს ამ ლაშქრობის დროს, დაწვრილებით მოგვითხრობენ თუ როგორ ებრძოდა მტერი ძლიერ ციხეებში, მიუვალ მთებსა და მღვიმე-ქვაბუბში გამაგრებულ და შეხიზნულ ქართველებს, მაგრამ მათ მიერ დაპყრობილ ციხეებს არ ასახელებენ. მხოლოდ ზოგადად აქვთ ნათქვამი, რომ თემურლენგის მოლაშქრეები, ვიდრე თბილისს მოაღწევდნენ და დაიკავებდნენ — გზად აიღეს 15 ძლიერი ციხესიმაგრე. აქვე მოიხსენიებენ მუხრანის ველს, ავნიწერენ გორის, ძოვრეთისა და სვანეთის ციხეებისათვის გამართულ ბრძოლებს. რაც შეეხება ბირთვისის ციხეს, მონათხრობიდან ირკვევა, რომ მართალია თემურლენგი მისულა ამ ციხესთან, მაგრამ ამჯერად, დროის მომჭირნობისა და სხვა მიზეზთა გამო, დასაპყრობად არ შემოდგომია. თავისი მდივან-შვიგნობრებისათვის კი დაუვალებია, საგანგებოდ — ამ ციხის ადვილმდებარეობა და მისკენ მიმავალი გზები შეესწავლათ.

აზიის დიდი დამპყრობელი, რომელიც გულში არაერთხელ ხინჯს არ დაიტოვებდა

თავისი მიზნების აღსრულებისათვის, თურქ-ოსმალთა სულთანს შიშობდა ილდირიმის დამარცხებისა და მისი მფლობელობის მოთარეშების შემდგომ საგანგებოდ გამოემართა ბირთვისის ციხისკენ მთელი თავისი უზარმაზარი მხედრობით და ჩამოღვა მის ახლოს.

ბირთვისის ციხესა და მის შემოგარენს უაღრესად დიდი შთაბეჭდილება მოუხდენია თემურლენგის მხედართმავრებსა და კარის მოხელეებზე; მისი ისტორიკოსები ერთხმად აცხადებდნენ, რომ მსგავსი ციხესიმაგრე არსად ენახათ. მათივე აღწერით ორ უძირაო ხეობას შორის 150 წყრთის სიმაღლეზე ცისკენ თავი აუხიდა მთას. ამ მთას ყოველი მხრიდან ერთყა სიბა და ციციბო კლდე ბირთვისის ციხე სწორედ ამ მთაზე იყო აგებული. მას ბუნებრივად შემოხლული კლდეების ვიწრო ვასახველში დიდი ალაყაფი ჰქონდა, რომელიც კიდევ თავისთავად მეორე ციხეს მოგვაგონებდა. ამ მთას სამხრეთიდან ერთი პატარა ნაწილი გამოეყო, რომელიც კიდევ უფრო აზიდულიყო ცისკენ. თვით ციხიდან კი ამ შვევრვალზე ასულა თოკების, კიბეებისა და სხვა მსგავსი სამარჯვეების მოშველიების გარეშე ყოველად შეუძლებელი იყო. ამ მთასა და მასზე აღმართულ ბირთვისის ციხეს, ერთი ძალიან ვიწრო და დაკლანძვილი ბილიკის გარდა არსაიდან ჰქონდა მისასვლელი გზა. ციხის გარშემო მიდამოები ისე იყო დასერილი და დაღარული უთვალავი უსწორმასწორო ხეობებით, ღელებით, ზრამებითა და მთის კალთებით, რომ კარების გასაშვლად ერთი მტკაველი სწორი ადგილიც კი არსად ჩანდა. ყოველივე ამასთან, თემურლენგის ლაშქრობისას ციხის მიდამოებში ისეთი სიციხის ბუღი მდგარა, რომ მისივე კარის ისტორიკოსების თქმით — იქაურობა ვახურებულ თონეს ჰგავდა.

ბირთვისის ციხისა და მისი მიდამოების მფლობელ-მპყრობელად იმ დროს სპარსული წყაროებისვე მოწმობით თო-

რელი ჩანს. იგი ყოველმხრივ მომზადებული დახვედრია მრისხანე მტერს.

თორელთან ერთად ბირთვისის ციხეში კიდევ 30 სხვა დიდებული ქართველი აზნაურიც ყოფილა გამაგრებული ცოლ-შვილიანად მათ თან ახლათ 150 მეციხოვნე მეომარი. ისინი საუცხოოდ იყვნენ მომზადებული ხანგრძლივი ალყისათვის. უხვად იყვნენ მომარაგებულნი სურსათ საწოვავით, ჰყოლიათ ცხვრის ფარა და ღორების კოლტი, კლდეში ამოჭრილი დიდრონი აუზები კი სახევ ყოფილა წვიმის წყლით; ჰქონიათ აგრეთვე ბევრი ჭურიც ღვინით საესე.

გადამწყვეტი ბრძოლების დაწყებამდე მხარეებს შორის ერთგვარი მოლაპარაკებაც გამართულა ციხის მშვიდობიანად დანებებაზე, მაგრამ აქედან არა გამოხულა რა.

თორელი და მისი თანამებრძოლები მოელოდნენ, რომ მტერი ძირითადად ალაყაფის მხრიდან მიიტანდა იერაშს, ამიტომაც დიდ სიფხიზლესა და სიფრთხილეს იჩენდნენ მის დასაცავად. ამასთან ერთად, სპარსელი ავტორების გადმოცემით ისინი დროდადრო მთის მწვერვალებზე გადმოედგებოდნენ ხოლმე მტრის დასახაზად ხელში ყანწმომართულები და ხმაშალდა აგუგუნებდნენ ქართულები სათვის დამახასიათებელ სიმღერებს“.

ესე გადიოდა დრო, მტერი კი ვერ ახერხებდა ბირთვისის ციხის აღებას. ციხის აღების ერთ-ერთ შესაძლო საშუალებად მათ მიაჩნდათ თვით თემურლენგის მისვლა ციხესთან, იმ მიზნით რომ შემოქმედება მოეხდინა ქართველ მეციხოვნეებზე და დანებებულყვენენ უბრძოლველად. თუ ეს მეთოდიც შედეგს ვერ გამოიღებდა, აქედან წასვლისა და ვაცილის მეტი სხვა გზა აღარ დარჩენოდათ მის ლაშქარს, რომელიც სწორედ ამ განწყობით იყო უკვე.

თემურლენგი იძულებული გახდა პირადად თვითონ ჩასდგომოდა სათავეში ამ ბრძოლებს. მისი ბრძანებით სარდალმა შაჰმელექმა ციხის ალაყაფის პი-

რდაპირ, რაღაც სამიოდე დღეში ააგო ისეთი სიმაგრე, რომელშიაც ეფუძნებოდა სამი ათასამდე კაცი ეტეოვანთა მან ზურგიხაკურ გადანიცვლა და იქაც ორი ციხესიმაგრე ააგებინა თავის ჯარს. ამის გარდა, მეციხოვნეებს რამდენიმე მხრიდან მიუყენეს სხვადასხვანაირი ჭახრაკ მანქანები და ბალისტ-მანჯანიყები. ყოველივე ამის მიუხედავად, ციხის აღების საქმე ერთი ვოჯითაც არ წაწეულა წინ, დრო კი უმოწყალოდ გადიოდა. თემურლენგი მაინც არ იცვლიდა ფეხს ბირთვისის ციხის მიდამოებიდან, მისი დაპყრობის იმედს არადა არ ჰკარგავდა და ათასნაირ ზრიცებსა და ოინებს მიმართავდა.

აქ კი შეუძლებელია არ აღინიშნოს, ერთი რამ, სახელდობრ ის, რომ მართალია თემურლენგი ისტორიაში ცნობილია, როგორც ბიროტი, უღმობელი და სასტიკი დამპყრობელი, მაგრამ იგი ამავე დროს დიდი სამხედრო სტრატეგი იყო, რაც თვალნათლივ გამოჩნდა ბირთვისის ციხისათვის გამართული ბრძოლების დროს.

ახიის დიდი დამპყრობელი თემურლენგი თავის უზარმაზარ ლაშქარში ათასობით სხვადასხვა დარგის ოსტატ-ხელოსნებს წარმატებით იყენებდა ომების დროს. მათ შორის იყვნენ საალფო და ქვის სატყორცნი ჭახრაკ-მანქანების ოსტატები, ზუროები, მჭედლები, ქარქანები, რომლებიც უწყლო ველებსა და უდაბნოებში ხელდახელ ამოიღებდნენ ჭახ. ჰყავდა სიპ კლდეებზე ცოცვაში გაწვრთნილი, გაწაფული მეომრებიც მექრითთა ტომიდან, რომლებსაც ქვეყანაზე ბადალი არ მოეკებნებოდათ ამ საქმეში. თემურლენგს სწორედ მათთვის დაუკავლებია ბირთვისის ციხეზე ასასვლელი საშუალებების გამოძებნა. მართლაც, ერთ ღამეს, ერთ-ერთმა მექრითმა ბირთვისის ციხეს სამხრეთიდან მაღალი და გლუვი მთის მწვერვალი რომ ერტყა, სწორედ იმაზე ასვლა და ციხეში შეპარვა მოახერხა.



თემურლენგის ბრძანებით ბაბისა და ხამი აბრეშუმისაგან დაგრიხეს უზარმაზარი მოძრაიე კიბე, რომელსაც 400 ხაფეხური ჰქონდა. ეს კიბე ღამე იმ მთაზე უნდა აეტანათ მექრთიებს და დაემკრებინათ მისი ერთი ბოლო. მთელ ღამეში ნებაყოფლობით გამოარჩიეს ყველაზე გაბედული და თავგამებულნი მეთრები. რომლებსაც აურაცხელ სიმდიდრესა და სხვა სახის წყალობებს შეჰპირდა საქმის წარმატებით დავერგვინების შემთხვევაში. მათი რიცხვი 50-მდე ყოფილა. ისინი გვეგის მიხედვით, ღამის განმავლობაში მალედიან ვადმოკიდებული მოძრაიე კიბით მთაზე უნდა ასულიყვნენ, მერე დილით ციხეში ჩაღწიათ და გაჭრილიყვნენ ალაფაფისაკენ. იქ ორად გაიყოფოდნენ და ერთი ნაწილი რომ ალაფაფის ვალებას შეეცდებოდა, მეორე რკალად შეიკვრებოდა და დაიკავდნენ ქართველებისაგან. ამასობაში თემურლენგის მეომრები გარედანაც მიიტანდნენ იერიშს ალაფაფეზე.

მართლაც ყველაფერი ასე წარიმართა: თემურლენგის ბრძანებით მოაღვეებმა ერთ საღამოს ბოლოს და ბოლოს, შეაჩერეს ბაღისტმანჯანიყებით ციხისათვის მძიმე ლოდების დაშენა, რომლებიც მართალია მის კედლებამდე ვერც კი აღწევდნენ, მაგრამ დღე-ღამის განმავლობაში საშინელი ხმაურით, ბათქითა და ზარით მოხვენებას არ აძლევდნენ ციხის დამცველებს, ახლა კი დადღივდაქანცულ მეციხოვნეებს მიეცათ ნებიერად ჩაძინების საშუალება, მტერსაც სწორედ ეს უნდოდა. დაბნელდა თუ არა მექრთიებმა იწყეს ციხის სამხრეთით აღმართულ მწვერვალზე ასვლა, იქიდან თოკი ჩამოუშვეს და მალეა აზიდეს მოძრაიე კიბე. მთის ძირში კი სარდალი შაჰმელექი იდგა წინასწარ გამორჩეული მეომრებით და სათითაოდ ისტუმრებდა მათ მთელი ღამის განმავლობაში მთის წვეროსაკენ. დილისთვის უკვე 33 მათგანს მოუხერხებია მალეა მთაზე ასვლა. გამთენიისას სასწრაფოდ დაიწყეს იქიდან ციხეში ჩაღწევა. მართალია მე-

ციხოვნეები მაშინვე მიეგებნენ ხმალდახმალ, მაგრამ უკვე არც იხრჩხვდნენ მომხნა მტრის მოგერიებამ.

როცა ციხეში ეს ამბები ხდებოდა მის ალაფაფეზე უკვე გარედანაც მიიტანა იერიში მოწინააღმდეგის რჩეულმა ჯარმა. დანარჩენი ღამეში თემურლენგს მოფენილი ჰყავდა ბირთვისის ციხის გარშემო მთის ფერდობებსა და მწვერვალებზე და „მეციხოვნეთა სულისათვის მოთმინებისა და ხორცისათვის ძალის წახართმეველ“ მწყობრად აგუგუნებდნენ სამხედრო ყიფინას. თემურლენგი კი თვითონ ბირთვისის ციხის მოპირდაპირე მთის ფერდობზე იდგა თავისე სარდლებითა და კარისკაცებით და იქიდან ადევნებდა თვალყურს ციხისათვის გამართულ ბრძოლას.

ამ უთანასწორო ბრძოლის დროს ქართველი ისტორიკოსის ფარსადან გორგიჯანიძის თქმით — საღამოდისინ ღონე და ძალა შესწყვედათ და თან მკლავში ძალა ჰქონდათ, ქართველნი ნამეტნავად კარგად იყვნენ. პრავალი თურქი მოაკვდინეს ასე, რომ თარა ციხის პატრონს ასორმოცდაათი კაცი ჰყავდა და თითოს ხუთი და ექვსი მოეკლათ და თავიანთი ასორმოცდაათის კაცისაგან სამოცი ცოცხალი იყო. ისინიცა დაჭრილნი და დაკოდილნი“.

ბოლოს და ბოლოს რიცხოზრებმა სიმრავლემ მაინც თავისი გაიტანა და მტერმა გასტეხა ქართველთა წინააღმდეგობა. დაჭრილ-დასახინრებული და ილაჯგაწყვეტილი ცოცხლად დარჩენილი მეციხოვნეები, რომელთა შორის იყო ბირთვისის ციხისა და მიდამოების მყრობელ-მფლობელი თორელიც, შეიპყრეს და თემურლენგს წარუდგინეს.

თემურლენგი კიდევ ერთხელ შეეცადა სახელოვანი ქართველი მამულიშვილების სულიერ წარწყმენდას და ქრისტიანული რჯულის დაგმობა და ისლამის მიღება შესთავაზა სიცოცხლის შენარჩუნების ფასად, რაზეც ცივი უარი მიიღო.

ამის შემდეგ ყველა მათგანი, იქვე,

თავიანთი დატყვევებული ცოლშვილის თვალწინ წამებით სიცოცხლეს ვამოასალმეს (ზოგს თავი წაჰკვეთეს, ზოგნიც მთიდან უფსკრულში გადაჩეხეს), მათი ცოლ-შვილი კი თემურლენგმა საჩუქრად დაურიგა თავის სარდლებს.

ეს ამბავი 1403 წელს 12 აგვისტოს მოხდა.

ასე დასრულდა ბირთვისის ციხისთავის გამართული სამკვირიანი ბრძოლა. და აი, ახლა, ბირთვისის ციხესთან გადახდილი ცხარე ბრძოლებისა და ჯარის შესვენებისა და წესრიგში მოყვანის შემდეგ თემურლენგი დასავლეთ საქართველოსაკენ წარუძღვა თავს მრავალრიცხოვან მხედრობას, სადაც საქართველოს მეფე გიორგი VII ეგულეობდა.

თემურლენგის ლაშქრობა დასავლეთ საქართველოში ვაგრძელდა გვიან შემოდგომამდე. მან აქ ძალიან დიდი სივრცე მოითარემა ქუთაისამდე და აფხაზეთის საზღვრამდე, 700-ზე მეტი დაბა, სოფელი და დასახლებული პუნქტი გაძარცვა გაანადგურა იაყარ ჰყო, მაგრამ ვერა და ვერ მოახერხა გიორგი მეფის ხელში ჩაგდება. ეს უკვე მერამდენეჯერ, ალყაში მოქცეული საქართველოს მეფე, უკანასკნელ ისრამდე და ამოსუნთქვამდე ხასტიკი წინააღმდეგობის გაწევის შემდეგ, ბოლო მომენტში ხმალდახმალ ჰკვეთდა მტრის ალყას და ხელიდან უსხლტებოდა მას. დრო კი თავისას შერებოდა, ზამთარი კარზე იყო მომდგარი და სურამის გადასასვლელების დათოვლის შემთხვევაში იგი შიმშილითა და სიცივით სიკვდილს უქადა დასავლეთ საქართველოში მომწყვედულ მტერს.

ბოლოს თემურლენგი იძულებული გახდა ხელი აეღო თავის განზრახვებზე და ზავი დაედო საქართველოს მეფესთან, ამასთანავე ოფიციალურად აღიარებდა საქართველოს დარჩენასა და არსებობას ქრისტიანულ ქვეყნად.

ყოველივე ეს კი, მიუხედავად დიდი ფიზიკური და მატერიალური ზარალისა, საქართველოს მეფის – გიორგი VII და მთელი ქართველი ხალხის უზარმაზარი პოლიტიკური ისტორიული გამარჯვება იყო.

ამ საქმეში ერთერთი გადაწყვეტი როლი ბირთვისის ციხემაც შეასრულა რომლის დამცველთა გმირულმა და თავგანწირულმა წინააღმდეგობამ ერთი თვით მაინც შეაყოვნა თემურლენგის უზარმაზარი ლაშქარი, მის კარიბჭესთან.

აღსანიშნავია, რომ დაცემის შემდეგ ბირთვისის ციხე საგულდაგულოდ დაუთვალეიერებიათ თემურლენგის სარდლებსა და კარისკაცებს, ერთერთი კარის ისტორიკოსი მთის იმ მწვერვალზე ასვლით დაინტერესებულა ციხეს, რომ სამხრეთიდან ერტყა და ზედ კლდეზე მცოცაემა მეომრებმა მოძრავი ციხე გადაჰკიდეს. იგი საგანგებოდ შენიშნავს, რომ სანამ მაღლიდან თოკებსა და სხვა სამარჯვებს არ მიაშველებდნენ კაცს, ისე იმ მთაზე ასვლა ყოვლად შეუძლებელი იყო გამოგიტყდებით და ვერც მე მოვახერხე ციხიდან იმ მწვერვალზე ასვლა, თუმცა ეს საგანგებოდ ვცადე და თან რამდენიმეჯერ, კლდეში ამოკვეთილი აუზების ნახვამ კი რომლებიც ახლაც ხავსვა წვიმის წყლით, გულიც გვარიანად ამიწყა და ცრემლიც ბევრჯერ მომგვარა.



თბილისის აეროპორტში ჩამოსვლა... რა კონტრასტია ღრუბლიანი, ნაცრისფერი მოსკოვის შემდეგ — ხმელთაშუა ზღვის საღამო, მკლავგაყრილი მოსიერ-ნენი განიერ, გამწვანებულ ქუჩებში.

პირველი დღია. ელდა უცნობი კულტურისაგან. აღმოსავლური ქალაქი, თურქული ყაიდის ხის სახლები და აბანოები. ყველგან მშვენიერი და ამოუცნობი ხვეული ქართული წარწერები. თვალწარჭტაცი ხალხი, შავკერძიანი, შავთვალეზა თითქოს აბულაძისა და ფარაჯანოვის ფილმებიდან გადმოსულნი. იხინიც ჩვენ ვეიყურებენ ცნობისმოყვარეობით! "საიდანა ხართ?" გოგონები სადად, მაგრამ გემოვნებით ჩაცმულნი, თავი ამაყად უჭირაეთ, როგორ არ ჰგავს ეს მოსკოვის დაბეჩავებულ ბრბოს, განუყოფელი სავაჭრო ჩანთებით.

წარმართული ხელოვნების მუზეუმში სტუმრობა ახალგაზრდა გიდ ქალიშვილთან ერთად, რომელიც საქმის ცოდნით საუბრობს საგანზე და ბრწყინვალედ ლაპარაკობს ფრანგულად. ნატიფი ლითონქანდაკეობა ძვ. წ. III ათასწლეულისა, ხშირად ცხოველთა დახლართული გამოსახულებებით შემკული ხელოსნობისა და ესთეტიკური გრძნობის გრძელი ტრადიციის მოწმობა — არაა გასაკვირი, რომ ქართველები საკუთარი კულტურით ამაყობენ.

ქალაქგარეთ მგზავრობა ჩვენს არქიტექტურ მეგზურებთან ერთად ეკლესიების, მონასტრებისა და ციხეების სანახავად. ზოგიერთი მშვენიერ ეკლესიათაგან ძალზე აღრეულია (მეექვსე, მეშვიდე, საუკუნისა): ჩვენ თანდათანობით ვეჩვევით სტილს — დახვეწილი ასიმეტრიული ქვაში კვეთილი შემკულობა გარედან და ფრესკები შიგნით. თუა, ჩვენი თარჯიმანი, ასრულებს ფანტასტიკურ სამუშაოს, თარგმნის დაუბრკოლებლად ქართულიდან, რუსულიდან და ფრანგულიდან.

ერთ-ერთი მთავარი ღირსშესანიშნობა ყოველი დღისა — საუზმეები ბუნების წიაღში; საოცრად გემრიელი სალათები, უნაზესი ბატკნის ზორცი, ცოცხალი მწვანელი. ახალი არომატი: უცნაური ბალახი რომელიც მუქ იისფერ ბაზილიკს ჩამოჰგავს, მაგრამ პიტნის გემო გადაჰკრავს. ქინძისა და კაკლის ჭარბი ხმარება. ცხადია ჩვენი მეგობარი არქიტექტორები დილა უთენია მიდიან ბაზარში ყოველივეს მოსამარაგებლად. ჩვენც მივიღვართ ბაზარში ერთ დღეს და ვხედავთ ზორაგით გადაჭედილ დახლებს; მაგრამ ფასები წარმოუდგენლად მაღალია ადგილობრივთათვის — წიწილა ჩვენი თარჯიმნის ერთი კვირის ხელფასი ღირს.

კლდეში ნაკვეთი ძეგლები კაპადოკიურსავით მშვენიერია. უზარმაზარი მონასტერი ვარძია თურქეთის საზღვრის სიახლოვეს და უძველესი ნაქალაქარი უფლისციხე ხეხილის ბაღებითა და დამუშავებული მინდვრებით დაფარულ ნაყოფიერ ველზე ამოზიდულ ქარაფში ნაკვეთი.

უცნაურია თავისუფლად მოხეტიალე, თავისი საქმით გართული ამდენი გოჭის ნახვა.

პატარა, კოხტა მეშვიდე საუკუნის ეკლესია ატენში, საუცხოო რელიეფებითა და ფრესკებით, მდინარის თავზე ვენახში აღმართული. ისევე, როგორც უმეტეს ეკლესიებში, სადაც ვიყავით, აქაც ადგილობრივი მკვიდრნი ანთებენ სანთლებს და ლოცულობენ.

საზარელი გზა ფიტარეთისაკენ, ველურ, შეურყვნელ ტყიან ფერდობზე შემადგობული, შემალულ ეკლესიისაკენ. მშვენიერი სადილი ახლადდაკლული ბატკნის მწვადებით სოფლის სახლის აივანზე, გარეთ კი ჭექა-ქუხილი და კოკისპირული წვიმა.



სალამობით ხშირი სტუმრობა სხვადასხვა ადამიანებთან. შიდა ნახევრადდანგრეული კიბეები, მაგრამ ბინები ევროპული სტანდარტების ბაზისადაა მოწყობილი. მასპინძელთა სითბო და გულუბრება გვამცხუნებს. ურთიერთობა, თუ თუა არაა, ძნელია, მაგრამ ვცდილობთ, ჩვენ უამრავი რამ გვიანტერესებს მათი ცხოვრების შესახებ. როგორ ახერხებენ ისინი მცირედის მოპოვებასაც კი, როცა ყველაფერი აგრერიგად ძნელი საშოვნელია.

კვებით დაუსახლებელ ველებს. გვხვდებიან მხოლოდ მეცხვარეები ფარებით, ვხად დავით გარეჯის მონასტრისაკენ, სადაც მეუდაბნოენი მეექვსე საუკუნეში დამკვიდრნენ, ლოცვით ცხოვრებისათვის განმარტობის ძიებაში. ასვლა სურნელოვანი მინდვრის ყვაილებით მიოფნილ ფერდობებზე მათ ფრესკებმოხატულ სამლოცველოთა და სატრაპეზოს სანახავად, რომელიც გარშემო, უწყლო, უკაცრიელ დაბლობს გადასცქერის. ძნელი წარმოსადგენია, რომ მხოლოდ ორიოდე საათის ვხაა მწვანეში ჩაფლულ მტკვრის ხეობამდე.

ხანდახან სალამობით სასტუმროს რესტორანში ზალხი, რომელიც იქ სადილობს იწყებს სიმღერას — მრავალხმიანს, ეს ყველაფერი სპონტანურია. არც ერთი სუფრა სადღევრძელოების გარეშე, სიზალიხე — აგრერიგად ნაცნობი ქართული ფილმებიდან.

ქრისტიანული ხელოვნების მუზეუმი: კვლავ მშენიერი ხელოსნობის ნიმუშები, გაცილებით უკეთესად ცნობილი ბიზანტიური ხელოვნების დონის შესაბამისი. ცხადია, ოსტატთა ინტენსიური ურთიერთმიმოსვლა, მაგრამ ქართული ხელობა გაცილებით ჰუმანურია, ნაკლებად გაყინული და ხისტი, ვიდრე კლასიკური ბერძნული ძეგლები. სამწუხაროა, რომ თანამედროვე ხელოვნება, რომელიც ვნახეთ, ძალზე დაკნინებულია, სამოცდაათწლიანმა კომუნისტურმა წობამ ჩანს შეწყვეტა მრავალსაუკუნოვანი ტრადიციები.

აეროპორტი, ნალველი. მე გაჭირვებით ვისწავლე 28 ასო ქართული ანბანიდან და გაკამდიდრე ჩემი ლექსიკონი 10 ქართული სიტყვით — ასე მე ვერასოდეს ვისწავლი ქართულს, მაგრამ მე დიდი იმედი მაქვს, რომ კიდევ დავბრუნდები. ჩვენ ზომ ქვეყნის მხოლოდ მცირედი ნაწილი ვნახეთ; აქ კი ამდენი რამაა დარჩენილი: შავი ზღვის სანაპირო, კავკასიონი, კახეთი... მაგრამ უპირველეს ყოვლისა მე მინდა ამ ზალხის ხელახლა ხილვა, ზალხისა, რომელიც ასე კეთილი და სტუმართმოყვარეა.



ინგლისურიდან თარგმნეს ა. პროზოროვამ და კ. ხიმშიაშვილმა

1991 წლის მაისში, სარესტავრაციო ფორმა „ხერთვისის“ მოწვევით, საქართველოში კულტურული მემკვიდრეობის გააცნობად საფრანგეთიდან ბტუმრად იპოფეზოდნენ იკომისის ასოციაცია „მემკვიდრეობა და ახალგაზრდობის“ წარმომადგენლები.

გთავაზობთ მიხი ერთ-ერთი წევრის ან ჯონსტონის სტატიის თარგმანს, რომელიც გამოქვეყნდა საფრანგეთში.



მუზეუმები იქმნება მხოლოდ მაღალი დონის საზოგადოებებში. კერძოდ, ისტორიული ხასიათის მუზეუმი ხალხს სჭირდება იმისათვის, რომ ყოველმა ახალმა თაობამ იცოდეს, თუ საიდან მოდის, რათა სწორად აიღოს მომავლის ორიენტაცია. ამ უკეთესობილეს საქმეს ემსახურებოდა ნოქალაქევის არქეოლოგიური მუზეუმიც, მაგრამ მას არ დააყადეს გამართულად ემოქმედა და ნათელი ეფინა ყველას გზაზე. სამწუხაროდ, უცნაურად საზოგადოებაში მანკიერნიც ურევია.

გაგაცემით თუ რას წარმოადგენს თვით ნოქალაქევი და რა იყო მუზეუმში ექსპონირებული მის გამარცხამდე.

იმის გამო რომ წარმოდგენილად მცირეა, როგორც ქართული, ასევე უცხოური წყაროები დასავლეთ საქართველოზე საერთოდ, და კერძოდ, კოლხეთისა და ვერისის სამეფოების შესახებ, მათი ისტორიის ბევრი საკითხი დღემდე უცნობია. აქედან გამომდინარე დიდ იმედს ამყარებენ არქეოლოგიაზე, ცდილობენ „მიწა ააღაპარაკონ“.

ამ მიმართულებით დასავლეთ საქართველოს ისტორიული ძეგლებიდან ყველაზე დიდი იმედის მომცემი ნოქალაქევი იყო. ამიტომაც 20-იან წლებში, აკად. ი. ჯავახიშვილმა პირველ შესასწავლ ძეგლებად მცხეთა და ნოქალაქევი ჩათვალა. მაშინ საქართველოში არქეოლოგები არ ჰყავდათ და გერმანიასთან კულტურული თანამშრომლობის გზით „ნოტგემაინშაფტის“ („გერმანელი მეცნიერების დამხმარე საზოგადოება“) მეშვეობით მოწვეულ იქნა მაღალი დონის სპეციალისტი ალფონს შნაიდერი. ექსპედიციამ 1930-31 წლების მიჯნაზე რამდენიმე თვე შედეგადად იმუშავა, მაგრამ შემდგომში პოლიტიკური სიტუაციის გაუარესების გამო გათხრები აღარ გაგრძელდებულა.

ექსპედიციის მუშაობა განახლდა მხოლოდ 1973 წ. (პროფ. პ. ზაქარაიას ხელმძღვანელობით) და აქედან მოყოლებული თერამეტი წელი აწარმოა ფართო მასშტაბის გათხრები ნოქალაქარზე და მის შემოგარენში. გათხრებმა დიდძალი მასალა მოგვცა კოლხეთისა და ვერისის სამეფოების ისტორიის ბევრი, მანამდე უცნობი საკითხის გასაშუქებლად. ამათგან აღვნიშნავთ რამდენიმეს:

თითქმის ორასი წელია, რაც მეცნიერები ეძებენ კოლხეთის ქალაქ „აიას“. ზოგი მათგანის აზრით „აია“ ნოქალაქევაა. ექსპედიციის მასალებით ეს აზრი აბსოლუტურად გამოირიცხა;

გასარკვევი იყო, აგრეთვე თუ სად მდებარეობდა „ქართლის ცხოვრებაში“ მოხსენიებული „ციხეგოჯი“, რომელიც ძვ. წ. III ს. დასაწყისში აავო კოლხეთის ერისთავმა ქუჯიმ. შესაძლოა, ერისთავთა ეს რეზიდენცია ელინისტური ხანის კოლხეთის სამეფოს პოლიტიკური ცენტრი იყო. ექსპედიციის ხანგრძლივმა და ნაყოფიერმა მუშაობამ დაადასტურა, რომ „ციხეგოჯი“ არის ის ნოქალაქარი, რომელიც მდებარეობს დღევანდელი სენაკის რაიონში მდ. ტეხურის მარცხენა ნაპირზე, სოფ. ნოქალაქევის ტერიტორიაზე.

ასევე დაუდგენელი რჩებოდა ბიზანტიურ წყაროებში, ლაზიკაში ნახსენები ქალაქ „არქეოპოლისის“ მდებარეობა. VI ს. ბიზანტიელი ისტორიკოსის პროკოპი კესარიელის ერთი ცნობით „არქეოპოლისი“ იყო „მთავარი და უდიდესი ქალაქი ლაზების ქვეყანაში“. ექსპედიციამ საბოლოოდ დაადგინა, რომ არქეოპოლისი, რაც ქართულად „ძველ ქალაქს“ ნიშნავს, — ნოქალაქევაა.

ისტორიკოსი უუანშერი, აღწერს რა მურვან-ყრუს ლაშქრობებს სა-



ქართველოში მის მიერ სხვა ქალაქებთან ერთად ნოქალაქევის დანგრევაზე წერს: „ციხე იგი სამ-ზღუდე, რომელ არს ციხე-გოჯი, შემუსრა“. ე. ი. შუა საუკუნეებში მას კიდევ ერთი სახელი — „სამზღუდე“ ჰქონია. აქედან ირკვევა, რომ ნოქალაქევი არის „ციხეგოჯი“, ასევე არქეოლოგიისა და სამზღუდე.

ნოქალაქევის ნაქალაქარზე იმდენი რამ არის შემორჩენილი, რომ მათი საშუალებით ადვილად წარმოვიდგინოთ ადრეშუასაუკუნეების ქალაქის გვეგმარებას და საერთოდ ხუროთმოძღვრებას. დადგინდა იმ დროის ქალაქის მასშტაბი, გვეგმარება, სასახლეთა სახეები, სამეფო და სამოქალაქო აბანოები, პირველი ეკლესიები და მრავალი სხვა.

შესამჩნევი შედეგი გამოიღო ახალი ეკლესიების აღმოჩენამ. დასავლეთ საქართველოს სინამდვილეში IV და V საუკუნეებით დათარიღებული ეკლესიები არ გვქონია. არც ის იყო ცნობილი, თუ როდის იქნა ეგრისში ქრისტიანობა ოფიციალურ რელიგიად მიღებული. ნაქალაქარის ტერიტორიაზე გამოვლენილი ექვსი ეკლესიიდან ერთი IV ს. შუა ხანებისაა, მეორე დაახლოებით ასი წლის შემდეგაა აგებული, ხოლო დანარჩენი VI ს. სხვადასხვა მონაკვეთებში. ასეთმა აღმოჩენებმა საშუალება მოგვცა საბოლოო კორექტივი შეგვეტანა ისტორიის სახელმძღვანელოებში, აქამდე ცნობილი თარიღი, 523 წელი, ორასიოდე წლით ქვემოთ ჩაეწიეთ.

ნაქალაქარზე გამოვლენილი მეფეთა ორი სასახლიდან პირველი ორსართულიანი იყო, ხოლო მეორე — სამსართულიანი. ორივეს საინტერესო გვეგმარება აქვს. IV და VI საუკუნეებისათვის ახეთი დიდი სასახლეების მიკვლევა ამჟამად მიღწევია. ასევე, პირველად იქნა ფიქსირებული ერთ ქალაქში ორი აბანო. ერთი მათგანი, უკეთ ნაგები, ემსახურებოდა მეფე-დიდებულებს, ხოლო მეორე — მოქალაქეებს და გარნიზონს.

რაც შეეხება ექსპედიციის მიერ მოპოვებულ არქეოლოგიურ მასალას, იგი მეტად მრავალფეროვანია. მისი დიდი ნაწილი ადგილობრივი წარმოშობისაა, მაგრამ არის მასალები წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვის ქვეყნებიდანაც.

ნოქალაქევის ექსპედიციის მიერ საკმაოდ მდიდარი არქეოლოგიური მასალის დაგროვების შემდეგ, 1988 წლის ნოემბერში გავეხსენით მუზეუმი.

მუზეუმში ექსპოზიციაზე თვალსაჩინო არქეოლოგიური მასალებით წარმოდგენილი იყო კოლხეთისა და ეგრისის სამეფოების ცხოვრება. ორ დარბაზში წარმოდგენილი მატერიალური კულტურის ექსპონატებით ნაჩვენები იმ ორი სახელმწიფოს ისტორია სულ ახალ პრინციპებზე იყო აგებული, რამაც ადგილობრივი და უცხოელი სპეციალისტების მალალი შეფასება დაიმსახურა.

გამოფენაზე სამი მორბილი ვიტრინა ეკავა სამკაულს. პირველი დარბაზის ორ ვიტრინაში ელავა კოლხეთის სამეფოს სამკაული, ხოლო მეორეში — ეგრისისა. აქვე იყო ადგილობრივი და იმპორტული ნივთები წინა აზიისა და ხმელთაშუაზღვისპარეთის ქვეყნებიდან, როგორც ხელოვნების იშვიათი ნიმუშები. ოქროს, ვერცხლის, ბრინჯაოს, სპილენძის, მინის და პასტის ნივთებიდან აქ შეიძლება ჩამოვთვალოთ მათი სახეობები: ბეჭდები, საყურეები, სამაჯურები, ბალთები, საკინძები, მძივები, ფიბულები, ქინძისთავეები, ზარაკები, მონეტები და სხვა. მონეტებიდან აღსანიშნავია უნიკალური „კოლხური თეთრი“, რომაული, ბიზანტიური, ტრაპიზონული და თურქული. მათი დიაპაზონია ძვ. წ. IV საუკუნიდან — ძვ. წ. XVII საუკუნემდე. ამათგან ჩვენი ისტორიისათვის განსაკუთრებით ფასდაუდებელია კოლხური მონეტების მნიშვნელობა.

რა დასანანია, რომ ასეთი დიდი მნიშვნელობის ერის საუნჯე დაიტაცეს „ეროვნების არა მქონე“ პირებმა და მით უფრო გულსატკეპნია, რომ ამ მიმართებით ბევრი არც საგამომძიებლო ორგანიზებმა გააკეთეს, რადგან უკვე ორი წელი გავიდა ამ საზარელი ფაქტიდან და დამნაშავე ჯერაც არ არის მზილებული.



საქმეზანე შეგნასე

თუმცა წელიწადზე მეტი გავიდა მას შემდეგ, რაც ბრმა შემთხვევამ იმსხვერპლა საქართველოს ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ხელოვნებათმცოდნეობის კანდიდატი **ოთარ ხანებლიძე** — მის ხსოვნას ჩრდილი არ აღეგება.

მისი თანამშრომლები, თანამოაზრენი, მეგობრები ჯერ კიდევ ვერ შერიგებიან მომხდარ ფაქტს, რადგან ამ პირქუშ, აუტანელ ცრემლიან დროში ძნელია გაძლო მისი იმედიანი თანადგომის, მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი ვანუმეორებელი იუმორისა და კაცური კაცობის გარეშე.

ბატონი **ოთარი** დაიბადა ქალაქ თბილისში 1926 წელს, ცნობილი ინტელიგენტის ვლადიმერ ხანებლიძის ოჯახში. საშუალო სკოლის დამთავრების შემდეგ, სწავლა განაგრძო თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ისტორიის ფაკულტეტზე. სტუდენტობიდანვე მთელ თავის ცხოვრებას უკავშირებს ქართული ხელოვნების შესწავლას. თავის ახალგაზრდა კოლეგებთან ერთად მუშაობას იწყებს რა ახლად ფეხადგმულ ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში ცოდნას

იღრმავებს ცნობილი მეცნიერის აკადემიკოს შავლა ამირანაშვილის ხელმძღვანელობით.

მიუხედავად მძიმე ეკონომიური პირობებისა ოთარის თაობამ დიდი ზონდომებით, სიბოთით და ქართული ხელოვნების ღრმა ცოდნით მუზეუმში მძლავრ სამეცნიერო კერად აქციეს. რომელიც ამჟამად სათანადო პატივისცემას იმსახურებს რესპუბლიკის ვარეთაც.

მუზეუმში **ოთარ ხანებლიძე** ყალიბდებოდა როგორც ერთ-ერთი ნიჭიერი ხელმძღვანელი და ორგანიზატორი, თავის ძალას და ცოდნას ავლენს 1966-1986 წლებში, როდესაც იგი მთელი ოცი წლის მანძილზე პრაქტიკულად უძღვებოდა საქართველოს ისტორიისა და კულტურის ძეგლთა დაცვის საზოგადოების რესპუბლიკური საბჭოს პრეზიდიუმს; იმ დროისათვის თითქმის ერთადერთ ორგანიზაციას, რომელიც ქართული კულტურის და ისტორიის ძეგლთა ჭირისუფალს წარმოადგენდა.

როული, მრავალმხრივი და მრავალწახნაგოვანი იყო ძეგლთა დაცვის საზოგადოების მიზნები და საქმიანობა,



რომლის წაძღვლა ღრმა პროფესიულ ცოდნასთან ერთად დიდ ენერჯიას, პრინციპულობას, ადამიანებისადმი კეთილმოხურნილობას და ტაქტს მოითხოვდა, რაც ბატონს ოთარს აგრე უხვად ჰქონდა ღვთისაგან ბოძებული.

მისი თავკაცობით და უშუალო მონაწილეობით გამოვლინდა არაერთი საექტაპო მნიშვნელობის ხუროთმოძღვრული ძეგლი, შეკეთდა და მეცნიერულად შეისწავლეს ათობით ციხე-დარბაზი თუ საკულტო ნაგებობა, ამ მხრივ მარტო სვეტიცხოველის კარიბჭის თავდაპირვანდელი სახით აღდგენის უზრუნველყოფა რად ღირს.

ბატონმა ოთარმა ღირსეული წვლილი შეიტანა ზალხური ხუროთმოძღვრებისა და ყოფის მუზეუმის მშენებლობის დაჩქარებაში, მისი თავკაცობით გამოიცა არაერთი სამეცნიერო შრომათა კრებული, ფოტო ილუსტრირებული ალბომი, ბუკლეტი თუ პლაკატი, რაც ხელს უწყობდა ქართული ხელოვნების პოპულარიზაციას.

ოთარ სანებლიძეს ჩვეული სტილით შექონდა მრავალ საერთაშორისო კონფერენციასა თუ სიმპოზიუმში; მასთან მეგობრული ურთიერთობა ჰქონდა რუს, უკრაინელ, ბალტი სპირულ, კავკასიულ თუ შუაზიულ კოლეგებს.

1986 წელს ბატონი ოთარი ისევ მშობლიური მუზეუმის კოლექტივს დაუბრუნდა, სადაც იგი ასე უყვარდათ და ღირსეული პატივისცემით სარგებლობდა.

აღდგომის დღეს, თავის საყვარელ ვერის უბანში, მოულოდნელად მოუწია მარადიულობაში გარდასახლება შესანიშნავ მოღვაწეს, კარგი ოჯახის უფროსს და ღირსეულ მეგობარს ოთარ სანებლიძეს.

მის მეგობრებს დიდხანს, ძალიან დიდხანს უჭირდათ შეგუება მომხდარი სინამდვილისადმი, ამიტომ ასე გვიან დაიწერა ეს გახსენების ბარათი; რას იზამ ოთარ, გაუტანელმა წუთისოფელმა შენს მეგობრებს მაინც დააწერინა ეს სტრიქონები, მაგრამ ერთი რამ გააიმედებს, ბევრი რამ გააკეთე და საქმემან შენმან უკვლავყო შენ.

ირაკლი ზაქარიაშვილი,

ლია დოლაბერიძე.

კვალი ნათელი



ეს გახსენება ეძღვნება საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის არქიტექტურის ინსტიტუტის ღვაწლმოსილ პედაგოგს არქიტექტორ გიორგი ნივოგომეს.

ამბობენ შეუცვლელი კაცი არ არსებობსო. ეს ასეა, მაგრამ ზოგი ადამიანის კვალი კარგა ხანს რჩება შეუვსებელი იმ გარემოში, სადაც ის ნოღვაწეობდა. ბატონი გოგი ასეთი ადამიანების რიცხვს მიეკუთვნებოდა. მისი არსებობა და მოღვაწეობა არქიტექტურის ინსტიტუტს რაღაც განუმეორებელ ჰეწსა და სილამაზეს მატებდა.

ბატონი გოგი — გულისხმიერი, ყველას დამხმარე ადამიანი, ბატონი გოგი — იუმორით აღსავსე, რომელიც გაჭირვებულ მდგომარეობაში მყოფი ადამიანისთვისაც კი მოძებნიდა რაღაც შესაფერის ამბავს, ბრძნული და ხალისიანი შინაარსით ცდილობდა დარდი გაექარწყლებინა.

მთავარი ბატონი გოგის პიროვნებაში იყო ეღვარე ნიჭი, რომლითაც ის ღმერთს ყავდა დაჯილდოებული. მასში შერწყმული იყო სხარტი გონება და აღლო, რომელიც არქიტექტურულ აზროვნებასთან ერთად, ლიტერატურისა თუ ხელოვნების ნაწარმოების სხვანაირ, თავისთავად საინტერესო აღქმას განაპირობებდა; და ეს ყველაფერი იღვრებოდა შესანიშნავი მჭერმეტყველებით აფერადებული ლექციებისა და საუბრების სახით. მის პროფესიულ ნაშრომებში გამოვლენილი შემოქმედებითი აზროვნება და ერუდიცია ადამიანებთან ცოცხალ ურთიერთობაში განუმეორებელი სახით მჟღავნდებოდა. წარუშლელი შთაბეჭდილების სახით დარჩათ მის მსმენელებს — კოლეგებსა და მუგობრებს, მის სტუდენტებს განსაკუთრებული მახვილი სიტყვით მოთხრობილი მოვონებები 30-იანი წლების თბილისის ახალგაზრდობაზე, ომის ამბებზე. ბატონი გოგი სიცოცხლის სიყვარულისა და მომავლის იმედის ატმოსფეროს ქმნიდა ყოველთვის თავის ირგვლივ. ბევრი ჩვენთაგანი დავალებულია მისგან ტკბილი სიტყვითა და რაც მთავარია, პროფესიული დახმარებით.

სამწუხაროდ, ეს სიკეთით აღსავსე, ნიჭიერი კაცი ცხოვრებამ არ გაანებივრა. ის გაცილებით მეტი პატივის ღირსი იყო ვიდრე მას უწილადა ბედმა. მაგრამ, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეს დანაკლისი ამქვეყნიური იყო მისთვის. ჩვენგან წავიდა ბატონი გოგი და დაგვიტოვა სახელი გამორჩეული პიროვნებისა, რომლის მოვონება სიყვარულითა და სინანულით ყოველთვის დარჩება მისი მუგობრებისა და აღზრდილების ხსოვნაში.

თინათინ ჩიჩუა

SUMMARY

A. PROZOROVA, M. BOCHOIDZE

TO THE PROBLEMS OF THE FACADE RESTORATION (3RD EXPERIMENTAL SCHOOL OF TBILISI)

On the example of the work fulfilled by the restoration firm „Khertvisi“ in Tbilisi 3rd experimental school, the article discus-

ses typical problems of facade restoration and construction reinforcement in the architectural monuments of Tbilisi.

T. NEMSADZE

KHOSPJO CHURCH

In 1980 the restoration of the 10th c. hall church in Khospjo was fulfilled. The article tells of the complicated and versatile process of the reinforcement and restoration of the monument.

The examination of the church revealed the fragments of an earlier, 8th—9th cc. building. Stylistic analysis of the wall ma-

sonry made it possible to outline an outstanding, bright personality of the builder, active on the second, main stage of the church erection, his high professionalism, which enabled him masterly to adapt the masonry to the scale and facture of the original one.

I. MIRIJANASHVILI

KHVILISHA

The article gives concise historical and stylistic characteristics of the 8th—9th cc. Georgian architecture, based on the evidence of the hall church in the village Khvilisha.

The monument, due to its stylistic pecu-

liarities, is dated to the turn of the 8th c. to 9th c. At the same time, the article makes an attempt to find the place and role of this monument in the general evolution of Georgian culture.

M. DVALI

RESTORATION OF BARAKONI CHURCH AFTER THE EARTHQUAKE OF 1901

Domed church of the Virgin in Barakoni, erected in 1753, was preserved in hearily the original form before the earthquake of April 1901. After it the dome drum and ashlar

facing of the facades were severely damaged.

Projecting and restoration of the monument were begun and are held simultaneously.

G. JAVAKHISHVILI

A FRAGMENT OF THE STELE FROM THE VILLAGE EDI-KILISA

The article is concerned with the publication of the 6th—7th cc. Stele fragment—one of the characteristic samples of minor

plastics of the early middle Ages from the historical province of Georgia—Kvemo Kartli.

BURIALS OF THE NEW TYPE FROM THE GREAT MTSKHETA

The article deals with the burial of Mid Bronze Age, excavated near the vil. Natakhtari, belonging to the catacomb type, which is not characteristic of the region. It is erected in yellow clay, its entrance — dromos is an oval pit, filled up with cobble; an oblong, oval burial compartment with a

niche of the simila form, was located in the north part of the dromos.

Catacomb burials from Natakhtari significantly enrich our knowledge on the peculiarities of Mid Bronze burial structures in Great Mtskheta.

D. MINDORASHVILI

CERAMICS OF MTKVAR-ARAX CULTURE FROM THE GORGE OF THE RIVER TERGI

The problem of settlement of the tribes, which were the bearers of Mtkvar-Arax culture, on the territories of mountaneous Georgia and North Caucasus is the most interesting question. In 1991 two vessels, belonging to Mtkvar-Arax culture were accidentally discovered in the vil. Tkarsheti, on the right bank of the river Tergi, in the historical Khevi.

It is ascertained, that the territory of Khevi, alongside other mountaneous regions of East Georgia was already inhabited in the Early Bronze Age. The available material confirms the supposition, put forward earlier, that one of the ways by which Mtkvar-Arax culture was penetrating to the North Caucasus lay along Tergi gorge.

B. JORBENADZE, K. TSERETELI

CHURCH OF THE VIRGIN IN THE VILLAGE GUDRUKHI

The church of the Virgin in the vill. Gudrukhi (Dusheti district) was excavated in 1981, 1986. The hall church is of an oblong rectangular plan with a semicircular apse from the east and a rectangular annex from the south.

The church is dated to the second half of

the 19th c., while the annex seems to be built in the 12th—13th cc., when the burials began to appear round the church. 23 burials of the 12th—13th cc. were excavated. Some of them are partially covered by the enclosure, which seems to be built in the 14th c.

M. NIKOLEISHVILI

IMERETI GATES

The article gives a description of the samples of gates, characteristic of Georgian mode of life, special attention being paid to Imereti wooden gates.

The author analyses the forms, constructions, building technique and carved decoration of the object, its function and aesthetic significance in the secular architecture of the West Georgia.

B. SULADZE

GUDASTVIRI AND ITS TRADITION IN RACHA

The article is concerned with one of the oldest folk musical instruments—gudastviri, Georgian variation of the bagpipes. It was played all over Georgia, but especially po-

pular gudastviri was in Racha. Vagrant musicians brought pleasure to everyone by their witty poems and harmonious singing.

A STORY OF THE AMAZING BIRTVISI FORTRESS



The article tells of Birtvisi fortress, one of the amazing monuments of the antiquity, which is inferior to none of the well-known architectural masterpieces. It is erected on an inaccessible high mountain, surrounded by deep gorges, to the south-west of Tbilisi.

Historical sources mention Birtvisi fortress beginning from the 11th c. but especially significant was its part in the defence of the country during the invasions of Tamerlan in the 14th—15th cc.

ANN JOHNSTON

IMPRESSIONS OF GEORGIA

In spring 1991 Georgia was visited by a French group of ICOMOS from the section „Youth and National Heritage“: the group was received by a restoration firm „Kher-tvisi“.

The author, one of the members of the group, shares her impressions of the monuments of culture and everyday life of Georgia.

P. ZAKARAIA

ARCHAEOLOGICAL MUSEUM IN NOKALAKEVI IS ROBBED

From 1988 archaeological museum, dedicated to the history of the material culture of Kolkheti and Egrisi kingdoms, is functioning in Nokalakevi. On the 20th of July, 1991 the museum was robbed. The banditti took ornaments, coins and other objects

of gold, silver, bronze, copper, glass and paste.

These unique things were of great significance for the history of ancient Georgia. Unfortunately, the corresponding bodies could not yet find the lost exhibits.

РЕЗЮМЕ

А. ПРОЗОРОВА, М. ВОЧОНДЗЕ

О ПРОБЛЕМАХ РЕСТАВРАЦИИ ФАСАДОВ

(3-я тбилисская экспериментальная школа)

На примере работ, проведенных реставрационной фирмой «Хертвиси» на здании 3-й Тбилисской экспериментальной школы, в статье обсуждаются ти-

пичные проблемы реставрации фасадов и укрепления конструкций на памятниках архитектуры в городе Тбилиси.

Т. НЕМСАДЗЕ

ЦЕРКОВЬ ХОСПИО

В 1980 г. завершилась реставрация зальной церкви Хоспио X в. В статье передан весь сложный и многогранный

процесс укрепления и восстановления памятника. Вследствие исследования оказалось, что церковь включает в се-

бя фрагменты ранней постройки VIII—IX вв. На основе художественного анализа кладки стен вырисовывается незаурядная, яркая личность зодчего II-го основного этапа строительства, его вы-

сокий профессионализм, благодаря которому виртуозно приспособлена новая кладка к масштабу и фактуре существующей.

И. МИРИДЖАНАШВИЛИ

Х В И Л И Ш А

Статья дает краткое историческое и стилистическое описание грузинской архитектуры VIII—IX веков на основе одностолбчатой церкви в селе Хвилища.

Памятник на основе художественно-стилистического анализа датирован ру-

бежом VIII—IX веков и вместе с тем, в статье дана попытка установить место и роль этого памятника Джавахети в общей канве развития грузинской культуры.

М. ДВАЛИ

РЕСТАВРАЦИЯ ХРАМА БАРАКОНИ ПОСЛЕ ЗЕМЛЕТРЯСЕНИЯ 1991 Г.

Купольный храм Богоматери Баракони, возведенный в 1753 г., сохранился почти в первоначальном виде до землетрясения в апреле 1991 г., а после него были сильно повреждены барабан купола (разрушены оконные простенки,

наличники) и каменная облицовка фасадов.

Проектные и реставрационные работы на памятнике начались одновременно и ведутся параллельно.

Г. ДЖАВАХИШВИЛИ

ФРАГМЕНТ СТЕЛЫ ИЗ СЕЛА ЭДИ-КИЛИСА

Публикуется фрагмент стелы VI—VII веков — один из характерных об-

разцов малой пластики раннего средневековья исторической провинции Грузии — Квемо Каргли.

Б. МУРВАНИДЗЕ, В. САДРАДЗЕ

ПОГРЕБЕНИЕ НОВОГО ТИПА ИЗ ВЕЛИКОЙ МЦХЕТА

У села Натахтари Мцхетская археологическая экспедиция обнаружила могильник среднебронзового периода.

На могильнике был засвидетельствован нехарактерный для этого региона вид погребального сооружения-катакомба.

Катакомба построена в желтоватой глине, вход дромос — представляет собой яму овальной формы, которая бы-

ла заполнена булыжником; в северной части дромоса находилась продолговатая, овальная погребальная намера с нишей той же формы.

Катакомбные погребения из Натахтари значительно пополняют представления о своеобразиях конструкций погребальных сооружений среднебронзового периода на территории Великой Мцхета.



КЕРАМИКА КУРО-АРАКСКОЙ КУЛЬТУРЫ ИХ УЩЕЛЬЯ Р. ТЕРЕКА

Проблема освоения территории горных районов Грузии и Северного Кавказа племенами носителей Куро-Аракской культуры является интереснейшим вопросом. В 1991 г. в историческом Хеви на правом берегу р. Терека в с. Ткаршети случайно были найдены два сосуда, относящиеся к Куро-Аракской культуре (рис. 1, 2).

Выясняется, что территория Хеви наряду с другими горными районами Восточной Грузии была освоена уже в эпоху ранней бронзы. На основе конкретного материала подтверждается ранее высказанное предположение о том, что одним из путей проникновения Куро-Аракской культуры в Северный Кавказ является Терекское ущелье.

В. ДЖОРБЕНАДЗЕ, К. ЦЕРЕТЕЛИ

ЦЕРКОВЬ БОГОМАТЕРИ сел. ГУДРУХИ

Археологическими раскопками в 1981 и 1986 гг. была изучена Гудрухская церковь Богоматери в Душетском районе. Церковь зального типа, в плане вытянутый прямоугольник, с востока полукруглая абсида, с устроенным алтарем. С юга имеет прямоугольную пристройку.

Церковь датируется второй половиной X века, а пристройка вероятно была возведена в XII—XIII вв., когда вокруг церкви появились погребения. Раскопано 23 погребения XII—XIII в. Некоторые погребения частично перекрывает ограда, видимо построенная в XIV в.

М. НИКОЛЕИШВИЛИ

ИМЕРЕТИНСКИЕ ВОРОТА

В статье описываются образцы ворот, которые были характерны для грузинского быта; анализируются формы, конструкции, строительная техника исследуемого объекта; прослеживаются пути развития резьбы по камню и по дереву, что и было использовано в строитель-

стве ворот. Главное внимание уделено изучению имеретинских деревянных ворот, которые занимали значительное место в архитектуре Западной Грузии; говорится об ее функциональной нагрузке и эстетическом значении.

Б. СУЛАДЗЕ

ГУДАСТВИРИ И ЕГО ТРАДИЦИЯ В РАЧЕ

В статье рассмотрен один из древних народных музыкальных инструментов гудаствири — грузинской разновидности вольнки. На гудаствири играли почти по всей территории Грузии, но осо-

бенно этим делом славилась рачицы. Бродячие музыканты приносили радость всем, своим остроумным стихотворением и гармоничным пением.

К. ТАБАТАДЗЕ

ПОВЕСТЬ ОБ УДИВИТЕЛЬНОЙ

БИРТВИССКОЙ КРЕПОСТИ

В Грузии много удивительных памятников старины, ничем не уступающих широкоизвестным диковинкам ми-

ра. К числу таких следует отнести и Биртвисскую крепость, которая возвышается на неприступной, окруженной

со всех сторон глубокими ущельями высокой горе, недалеко от реки Алгети в юго-западном направлении от столицы Грузии — Тбилиси.

В источниках Биртвисская крепость упоминается начиная с XI века, но осо-

бо важную роль в виде защиты отечества она сыграла во время ¹⁹¹⁹⁻¹⁹²⁰ настоящей орд Тимура на Грузию на рубеже XIV — XV веков, о чем и рассказывается в настоящей статье.

Ани ДЖОНСТОН

ВПЕЧАТЛЕНИЯ О ГРУЗИИ

Весной 1991 года Грузию посетила группа из Франции по линии ICOMOS-а секции «Молодежь и национальное наследие», которую принимала реставрационная фирма «Хертвиси». Одна из

гостей вспоминает свои впечатления о знакомстве с памятниками культуры и архитектуры, а также повседневной жизнью Грузии.

П. ЗАКАРАЯ

РАЗГРАБЛЕН АРХЕОЛОГИЧЕСКИЙ МУЗЕЙ В НОКАЛАКЕВИ


В Нокалакеви (Сенакский р-н) с 1988 года функционирует археологический музей, посвященный истории материальной культуры Колхидского и Эгресского царств.

20 июля 1991 года музей был разграблен. Бандиты взяли украшения,

монеты и другие экспонаты из золота, серебра, бронзы, меди, стекла и пасты.

Эти уникальные вещи имели большое значение для истории древней Грузии.

К сожалению, соответствующие органы до сих пор не смогли обнаружить потерянные экспонаты.




3060836A:

1992 წ. პირველ ნომერში, გვ. 60, ტექნიკური მიზეზით დაშვებულია შეცდომა. ვთავაზობთ სწორ ვარიანტს.

მეორე სვეტში პირველი აბზაცი უნდა იკონებოდეს:

გასაოცარია ის, რომ ოსებთან დავაში სამშაბლოს ეთნიკურების საკითხში სრულად არ გამოიყენება როგორც მტკიცების საბუთი მხარის ტოპონიმიკა და იქ შედგება კულტურის ძეგლები. მათ რიცხვში არ იხსენიება იკორთის ტაძარი.



პაროქორდი

თარაზულად: 3. მონუმენტი; 7. ხუროთმოძღვრული ძეგლი მთიულეთში; 9. მცირე ზომის ნიშნები (შენიშნა); 10. პირმრუდე ფიციარი, აფრაკი; 12. უხე-
ნაესი ქართული წარმართული ღმერთი, არქიტექტურული ძეგლები მცხეთისა და
ახალგორის რაიონებში; 16. ქართველი კინორეჟისორი. 18. გამაჩქარებელი მიწა-
ში ან კლდეში, სახიზარი; 20. მრავალ ზალხში მტკიცედ დაკანონებული აკრძალ-
ვა; 21. მცირე ზომის არია ოპერაში; 22. ციხე-კოშკის საპყრობილე; 23. გამარჯ-
ვების ქალღმერთი (ბერძ.), ტაძარი ათენის აკროპოლისზე; 24. მიმდინარეობა ზე-
ლოენებაში, ხუროთმოძღვრული სტილი; 27. ნავსადგურის სასაწყობო ნაგე-
ბობა; 30. მოსასხამი; 32. ციხე-სიმაგრე კასპის რაიონში; 33. ხუ-
როთმოძღვრული ძეგლი კასპის რაიონში; 34. სარკმლის ან კარის მოძრავი ნა-
წილი; 35. ეპოქა სამყაროს ისტორიაში და კულტურაში;

შვეულად: 1. ხუროთმოძღვრული ძეგლი თეთრიწყაროს რაიონში; 2. შუ-
ქური გამოსახულების მისაღები ზედაპირი; 4. მრგვალი კვეთის საყრდენი; 5.
სანათი არმატურის სისტემა თეატრში, ავანსცენასა და მაყურებელს შორის; 6.
ციხე-სიმაგრე ქარელის რაიონში; 8. ანტიკური ეპოქის ციხე-ქალაქი; 11. ტე-
ხილი ან მრუდხაზოვანი ლენტური ორნამენტი. 13. წრიული გეგმის მქონე
ნაგებობა; 14. ხუროთმოძღვრული ძეგლი ქარელის რაიონში; 15. ასურბანია-
ლის დიდი სასახლე (ქალაქი); 17. იტალიური ქალაქის მთაყარი ქუჩა; 19. წნუ-
ლი ღობე; 25. სახურავის ზედა ნაწილი; 26. ხუროთმოძღვრული ძეგლი რაჭა-
ში — ზემო...; 28. მორთულობის ელემენტი ხუროთმოძღვრებაში; 29. ვაოცების
გამომზატველი ნაწილაკი; 30. პირობითი სიდიდე ხუროთმოძღვრებაში. 31.
ხუროთმოძღვრული ძეგლი წალკის რაიონში.

1993 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნებული კროსვორდის პასუხები

თარაზულად: 1. ბჰუე; 3. ფიდიასი; 7. ფია; 9. კასპი; 10. ნუა; 11. ვერძი; 12. ოდა; 13. გრემი; 14. გეა; 19. კვადრი; 21. სოხანე; 22. აია; 23. ნიქორი; 23. ფიქალი; 29. ალი; 30. კამეა; 31. უბე; 36. გუაში; 37. ალა; 39. ილორი; 39. ური; 40. ეპონიმი; 41. ინა.

შვეულად: 1. ბუკი; 2. ექსედრა; 3. ფოიე; 4. დინარი; 5. აიაზმა; 6. იკვი; 7. ფერწერა; 8. არია; 15. რკონი; 16. ფრიზი; 17. გონიო; 18. კელია; 20. შიო; 24. ქულბაქი; 26. ამბიონი; 27. პალატო; 28. სენაკი; 32. იგლუ; 33. დირე; 34. თირი; 35. ვილა;

პარამკანში — № 2 ექსპერიმენტული სკოლის შენობა და ხეივანბანი (ძველი თბილისის ხედი).

ანგლისური ტექსტები შეადგინა მარიამ უნიკაძე.

გადაეცა წარმოებას 30.08. 83 წ., ხელმო-
წერა და დასაბეჭდად 16.09. 83 წ., ფი-
ზიკურ ფორმათა რაოდენობა 4,5 სად-
რიცხო-საგამომცემლო თბახი 4,5, ტი-
რაფი 1000, შეკვ. 777.

შანი სხელშეპარულობ.

რედაქციის მისამართი — თბილისი, რ. თაბუკაშვილის ქ. № 6.



ეროვნული
ბიბლიოთეკა

